ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 თებერვალი 2000 №31 (1053) | ფასი 50 თეთრი


## მილჩენკომ სამი მსაჯი გააგდო

დასავლელმა მსაჯებმა აღმოსავლელებს 7:1 მოუგეს

## დინამო დინამოსთვის დინამოა

თბილისის „დინამომ“ ბუქარესტისას 4:2 მოუგო

18 ტური

## დაგვიბრუნეთ კოშკელოვი!

გივი კოშკელოვის „შევარდენმა“ სერგო იმნაძის „შევარდენის“ წაგებას უყურა

## ქართველ და არაბ მამლუქთა ომი საფრანგეთში

**საქართველო — მაროკო 20:10 (3:5)**

კვირას საფრანგეთში ქართველმა მორაგბეებმა ექვსი ერის პირველობის B ჯგუფში უკონკურსოდ მოასპარეზე მაროკოელებთანაც იმარჯვეს. ბორჯღალოსნებს ძირითადის ოთხი მოთამაშე აკლდათ: შველიძე, ლაბაძე, ჯიმშელაძე და ხამაშურიძე. ამიტომაც იყო, პირველ ტაიმში ცოტა გაუჭირდათ, თამაში მძიმედ დაიწყეს და მხოლოდ ურჯუკაშვილმა მოახერხა საჯარიმოს გატანა. მეორე ორმოცწუთეულში ქართველებმა არაბებს შეუტიეს და 3 ლელოც აწვნიეს — კაცაძის, გიორგაძის და ცაბაძის მონაგარს ურჯუკაშვილმა გარდასახვაც დაურთო. საბოლოოდ, საფრანგეთში მოთამაშე ჩვენი ლეგიონერების 20 ქულის საპირისპიროდ ჩრდილოაფრიკელმა მამლუქებმა ათილა მიითვალეს.

კვირასვე ქართველთა თანაჯგუფელებმაც ითამაშეს. ამსტერდამში ჰოლანდია რუმინეთთან 10:39 დამარცხდა, ლისაბონში კი პირველ ტურში ქართველთაგან ძლეულმა პორტუგალიელებმა მეზობელ ესპანელებს 21:19 მოუგეს. 4 მარტს მადრიდში ჩვენები სწორედ ესპანელებს ეთამაშებიან.

კლოდ სორელმა მაროკოელებთან საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ათამაშა: ცაბაძე, გიორგაძე, ესაკია, ნადირაძე, პარწიკანაშვილი, მჭედლიშვილი, კაცაძე, ზედგენიძე, აბუსერიძე, იურინი, ანდღულაძე, ზიბზიბაძე, ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი, აბაშიძე.

## კანდელაკს ხელი მეთოთხმეტედ აუწიეს

გუშინ ლონდონში გიორგი კანდელაკმა პროფესიულ რინგზე მეთოთხმეტე სარეიტინგო ბრძოლა მოიგო. ფრანგ ანტუან პალატიეს 8-რაუნდიან მატჩში აშკარად აჯობა.

# ფედერაცია ბოსკამპს სასამართლოს ჰპირდება, ბოსკამპი კი ფედერაციას წერილს



ბაჩუკი კითესაშვილის ფოტო

იოჰან ბოსკამპი: ყველაფერს დაწვრილებით მოგწერთ...

— ბელგიელი ვარ. გერმანული სპორტული ჟურნალი „კიკერი“ გარკვეულ თანხას მიხდის და მეც ვუგზავნი მასალებს. რაც შეეხება იოჰან ბოსკამპის განცხადებას, რომელიც 10 თებერვლის „კიკერში“ დაიბეჭდა, გეტყვით, რომ ბოსკამპის სიტყვები — მე შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე — ერთ-ერთ ბელგიურ გაზეთში წავიკითხე და უცვლელად გავუგზავნე გერმანულ ჟურნალს. სამწუხაროდ, ზუსტად აღარ მახსოვს, რომელ გაზეთს უთხრა ეს საქართველოს ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა. გავიხსენებ იმ გაზეთის სახელწოდებას და დღესვე გაცნობებთ — გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია „კიკერში“ გამოქვეყნებულ, შეიძლება ითქვას, სკანდალური მასალის ავტორ კრისტიან მარტელურს თავის კაბინეტიდან ესაუბრა და პასუხიც ასეთი მიიღო.

იხილეთ მეორე გვერდი

# საფრანგეთი დუელში დაიჭრა

ექვსი ერის პირველობა SIX NATIONS

შაბათს სარაგბო სამყაროს ჩრდილოეთის ყურადღება პარიზისკენ იყო მიპყრობილი. იქაურ „სტად ფრანსზე“ ექვსი ერის პირველობის მეორე ტურში ფრანგები ინგლისელებს მასპინძლობდნენ. შარშანდელ მსოფლიოს თასზე წარმატებული თამაშით გაყოყლოჩინებული „მამლები“ ბრიტანელ „ვარდებს“ თავის ჭკუაში გაწიწკვნას უპირებდნე, მაგრამ... ბრიტანელებმა თავი გადადეს და ბერნარ ლაპორტის შეგირდებს 15:9 მოუგეს. ირლანდიამ შოტლანდიას 44:22 აჯობა. ხუთი ერის ბოლო, შარშანდელი პირველობის ტრიუმფატორმა სკოტებმა ორი წაგებით სატურნირო ცხრილის ფსკერზე ჩაყვინთეს. პირველი ტურის გმირმა იტალიელებმა მეორეში ვეღარ ივარგეს: კარდიფის „მილენიუმზე“ უელსელებთან 16:47 წააგეს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS კარტოთეკიდან

იტალიელები ყველაზე მეტად შონ უილიამსმა (ბურთით) აზარალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფედერაცია ბოსკამპს სასამართლოს ჰპირდება



ვალერი ჩოლარია

დასაწყისი პირველ გვერდზე

მანამდე კი გენერალურმა მდივანმა ბოსკამპის გახმაურებული განცხადების თაობაზე აი, ეს გვითხრა:

— გერმანიაში ვიზიტისას მერაბ ჟორდანიას სასტუმროს ნომერში მოუტანეს 10 თებერვლის „კიკერი". გადავფურცლეთ და ბოსკამპის ნათქვამიც წავიკითხეთ. მაშინვე თბილისში დავრეკეთ, საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებას დავავალეთ, ბოსკამპს შეხმიანებოდა და მისგან ახსნა-განმარტება მოეთხოვა. ბოსკამპს მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა, მაგრამ თბილისიდან ინფორმაცია დაუტოვეს, რომ სასწრაფოდ დაკავშირებოდა ფედერაციის ხელმძღვანელობას. შინაც დავურეკეთ, მეუღლემ, არ გახლავთო, არც თავის კლუბში იყო. ჩვენც მოვიცადეთ, ბოსკამპის ზარს ველოდით. აქამდე არ დაურეკავს, ახლა კი ჩვენ ვიცით. მან თუ ასეთი რამ მართლაც განაცხადა, რაც ძალიან მეეჭვება, პასუხს აუცილებლად მოვთხოვთ. ასეთ განცხადებას არ შევარჩენთ და თუ საჭირო გახდა, სათანადო ორგანოებშიც ვუჩივლებთ.

მისი ნათქვამის ქვეტექსტი თუ ფულია, ახლავე გეტყვით და ჩემს თითოეულ სიტყვაზეც პასუხისმგებელი ვარ — ბოსკამპმა კაპიკ-კაპიკ მიიღო ის თანხა, რაც მას საქართველოს ნაკრების მწვრთნელობისთვის ეკუთვნოდა, რასაც კონტრაქტი ითვალისწინებდა. ჩვენ ყველა პირობა შევასრულეთ, ეგ კი არა, მისი მობილური ტელეფონის გადასახადიც ფედერაციამ დაფარა...

ძალიან მაინტერესებს, რას ნიშნავს მაფიური მეთოდები. ვიმეორებ, მეტად მეეჭვება, ბოსკამპს ასეთი რამ ეთქვა. და თუ თქვა, გარწმუნებთ, პასუხს მოვთხოვთ.

საქართველოში ის ნაკრებში და თბილისის „დინამოში" მუშაობდა. გითხარით, მას ანგარიში ფედერაციამაც ბოლომდე გაუსწორა და „დინამომაც". მე არ ვიცი, არც მაინტერესებს, კლუბს ბოსკამპთან რაიმე სიტყვიერი მოლაპარაკება თუ ჰქონდა. დარწმუნებული ვარ და საამისო საბუთსაც წარმოვადგენ — „დინამომ" მწვრთნელს კონტრაქტის ყველა პუნქტი ზუსტად შეუსრულა. ბოსკამპი გუშინდელი ბიჭი არ არის, საკმაოდ გამოცდილია და კარგადაც ეცოდინება, რომ ყველაფერი ოფიციალურად, ბეჭედდასმით უნდა გააფორმოს. თუმცა ეს ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა, ეს ბოსკამპის პრობლემაა.

„დინამოს" მეკარე დენიტ დონდტის მაგალითი აიღეთ. მას კლუბთან მართლაც ჰქონდა სადავო და ფიფაშიც იჩივლა. აი, ფაქსი, რომელიც პარასკევს მივიღეთ. ფიფა გვატყობინებს, რომ „დინამომ" 30 დღეში დონდტის ვალი უნდა გაისტუმროს. ახლა გეკითხებით, ბოსკამპი ის ჩიტია, რომელიც ამას ვერ შეძლებს? მართალი რომ იყოს, მგონი, ისიც იჩივლებდა. მას საბუთი არ აქვს და ფიფასაც ამიტომ ვერ მიმართავს...

გენერალური მდივანი საკმაოდ ალელვებული იყო, ჩვენ „გენკის" მწვრთნელობა მივულოცეთ, მეორე დღეს კი „კიკერში" ასეთ განცხადებას ვკითხულობთო, საუბრის ბოლოს გვითხრა ვალერი ჩოლარიამ.

და წუხელ... ჩოლარია, როგორც იქნა, თავად იოჰან ბოსკამპს შეეხმიანა. ჰოლანდიელის პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო — ხვალ ფაქსით ყველაფერს გაცნობებთ.

რას? არ ვიცით. ხვალინდელ „სარბიელში" წაიკითხეთ...

**კობა ინასარიძე**



მიხეილ მესხის თასის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი კილასონია

# გორდა არ ხუმრობს

## კილასონიები ისევ რუსთაველი კლუბისთვის გაირჯებიან

**რუსთაველი** გუნდი რომ გაურკვევლობაშია, ადრეც ვამბობდით. ბოლო წლებია, „გორდას" პრობლემები არ გამოლევია, ტრადიციულ უფულობას რომ თავი დავანებოთ, ეს გუნდი წლეულს შემადგენლობის დაშლის და შესაბამისად პირველი ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე დადგა, მაგრამ, როგორც ჩანს, „გორდას" გაჭირვებას ბოლო მოეღება, რამდენიმე დღეში კლუბის ახალი მეპატრონეების ვინაობა გაირკვევა.

ჩვენი ინფორმაციით, „გორდას" სათავეში სოლიდური მიზნების და შესაძლებლობების მქონე პიროვნებები აპირებენ მისვლას, ყველაფერი ამ დღეებში გადაწყდება და უფრო სრულ ინფორმაციას ამის თაობაზე მაშინ გაგაცნობთ.

გუნდის მთავარი მწვრთნელის, იასონ ალადაშვილის თქმით კი, დღეისთვის ბევრი რამ უკვე გარკვეულია: „ახალ მეპატრონეებთან დაკავშირებით ბევრს ვერაფერს გეტყვით, ეს საკითხი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, სამაგიეროდ, ჩვენმა გუნდმა დიდი ხნის სურვილი აისრულა და ძმები კილასონიების დაბრუნება შეძლო, გიაც და ვალერიც მეორე ეტაპზე „გორდაში" ითამაშებენ. გარკვეულია ალექსანდრე ბურნაძის საკითხიც, სანდროც ჩვენთან ითამაშებს, ისევე როგორც „კოლხეთიდან" წამოსული მამუკა მელაძე. ასე რომ, „გორდას" არ გაუჭირდება."

გუშინ „სარბიელი" გიორგი კილასონიასაც დაუკავშირდა. იასონ ალადაშვილის ნათქვამი უმცროსმა კილასონიამაც დაგვიმოწმა, თუმცა...

„ჩვენი რუსთავში დარჩენის საკითხი ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, ისე კი დიდი შანსია, „გორდაში" ვითამაშოთ... ყველაფერი ორიოდე დღეში გაირკვევა..."

...მანამდე კი, მორიგ საკონტროლო მატჩში, ხვალ „გორდა" თბილისურ „ზოოვეტს" უმასპინძლებს.

**პაატა ძვანტალიანი**

# რატი მზად იყო. მატჩი გადაიდო

„ხუთშაბათს, 10 თებერვალს, ლონდონში ჩაფრენილ რატი ალექსიძეს მომავალი „ჩელსის" პრეზიდენტმა კენ ბეიტსმა შამპანურით დაულოცა და პირობაც ჩამოართვა, მარტის ბოლომდე ისე უნდა მოემზადო, „ჩელსის" ძირითად გუნდში ითამაშოო.

მანამდე კი რატი სათადარიგო გუნდში ითამაშებს, თუმცა მცირე გზა აქამდეცაა გასავლელი" — წერდა 12 თებერვალს „სარბიელი".

გუშინ ეს მცირე გზა უნდა დაწყებულიყო, რატი ალექსიძეს „ჩელსის" მაისურა მოერგო და გიორგი ქინქლაძის „დერბის" სარეზერვო გუნდს დაპირისპირებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან სარეზერვოთა ეს მატჩი გადაიდო.

გუშინ დილით ლონდონელებმა ოფიციალურად განაცხადეს — ალექსიძემ სატრანსფერო ფურცელი მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან და უკვე აღარაფერი უშლის ხელს „ჩელსის" სარეზერვო გუნდში ითამაშოს. თუ ეს კარგად გამოუვა და კლუბის თვკაცობას მომავალშიც თავს მოაწონებს, მზად ვართ, მასში 700 ათასი გირვანქა გადავიხადოთო.

**ხვიჩა სინიძიძე**



რატი ალექსიძე

# მილჩენკომ სამი მსაჯი გააძევა

## ადიკ დურსუნიშის შოკისმომგვრელი ტაქტიკა

**ოო, მართლაც** რამ დიდი სანახაობა იყო გუშინწინ დიღუბეში, იმდენად შთამბეჭდავი, რომ ქარმაც კი ვერ დაუკარგა ეშხი და ლაზათი. გუშინწინ ანატოლი მილჩენკომ მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტის თავკაცმა, ძველი დრო გაიხსენა, მსაჯის ტრუს-მაისურა კოხტად მოირგო, ხელში ბურთი დაიჭირა და ორ გუნდს შეუძღვა მოედანზე. განსასჯელი კი იცოცხლეთ, ჰქონდა მილჩენკოს. ხუმრობა ხომ არ არის, მსაჯთა მსაჯი თავის შეგირდების ურთიერთშორის დაპირისპირებას ემსახურებოდა. დიდი მატჩი იყო დიღუბეში...

თბილისელი მსაჯები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების და რეგიონების მსაჯებს დაუხვდნენ. დედაქალაქელებს ნიკა ამირეჯიბი წვრთნიდა, დანარჩენების გუნდს კი ადიკ დურსუნიში თავკაცობდა. დურსუნიშის ტაქტიკა შოკისმომგვრელი აღმოჩნდა თბილისელთათვის, მასპინძლები გვარიანად შერცხვნენ და 1:7-ით დამარცხდნენ.

პირველ ნახევარში ქარი თბილისელთა სასარგებლოდ ქროდა, მათ რიგებში კი ალექსანდრე შილაკაძე გამოირჩეოდა, მან გვარიანი პრობლემები გაუჩინა მოწინააღმდეგე მსაჯ-მცველებს, თუმცა ანგარიში მაინც სტუმრებმა გახსნეს და ტაიმიც 3:1 მოიგეს. მერე ქარმა მათთვის დაუბერა და... მილჩენკომ სამ მსაჯ-ფეხბურთელს წითელი ბარათი აუფრიალა, მატჩის ბოლოს კი დაღლილმა, მაგრამ საოცრად კმაყოფილმა „სარბიელისთვისაც" მოიცალა.

„კარიერაში საუკეთესოდ ვიმსაჯე, არადა, ერთგვარად დაძაბულიც ვიყავი, რადგან ჩემი კოლეგები მაკვირდებოდნენ, ვცდილობდი, მაქსიმალურად ვყოფილიყავი მობილიზებული, ვფიქრობ, შევძელი კიდეც, ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ..."

და ერთიც, მატჩის არბიტრის ვერსიით, საუკეთესონი ორივე გუნდის მეკარეები ავთანდილი ორდინიძე (ონი) და ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი) იყვნენ. ბატონ ანატოლის თქმით, ორდინიძე ისეთ ფორმაშია, რომ ბევრ ჩვენებურ გუნდსაც არ აწყენდა. მოკლედ, მსაჯებმა თამაში დაიწყეს, უახლოესი მატჩის თარიღი კი თვის ბოლოს დადგინდება.

მანამდე ბურთაობა გამორიცხულია, ტრავმებს ერიდებიან შავოსნები, წინ ხომ მეტად საპასუხისმგებლო დღეა — 26 თებერვალს ეროვნული სტადიონი მსაჯთა გენერალურ ტესტირებას უმასპინძლებს, მერე კი... მერე მსაჯობაც შეიძლება და თამაშიც.

**პაატა ძვანტალიანი**

# მეორე და ბოლო

**ხვალიდან** თბილისის „მერანი" კარსმომდგარი სეზონისთვის მზადების მეორე ეტაპს იწყებს. მერანელები დღეს საღამოს ყვავილნარისკენ აიღებენ გეზს, ხვალიდან კი შეკრებასაც შეუდგებიან. მზადების მეორე ეტაპი ავჭალელებისთვის ბოლოც იქნება, რადგან 29 თებერვალს ფოთში „კოლხეთთან" სათასო მატჩის სათამაშოდ პირდაპირ ყვავილნარიდან ჩავლენ. ასე რომ, შეკრება სულ ექვს დღეს გაგრძელდება.

მზადების პირველი ეტაპი კი „მერანმა", როგორც იცით, თბილისში გაიარა. გუნდი იანვრის შუა რიცხვებში შეიკრიბა და ვარჯიშსაც შეუდგა. ამასობაში ბევრი რამ მოხდა, რაც მთავარია, სასიამოვნო — კლუბს ახალი პრეზიდენტი ჰყავს — დავით ფურცელაძე.

ამ შეკრების მოწყობა სწორედ ფურცელაძის დამსახურებაა. ათიოდ დღის წინ იგი თავად ჩავიდა გურიაში და ყველა წვრილმანი საკითხი მოაგვარა. საკმაოდ კარგი პირობები გვექნება, ვეცდებით, მაქსიმალურად გამოვიყენოთო, გვითხრა გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ. მისივე თქმით, ფეხბურთელები პირველ სამ დღეს ორჯერ ივარჯიშებენ, მერე კი თითოჯერ. ყვავილნარში „მერანი" საკონტროლო მატჩებს აღარ გამართავს, რადგან თბილისში მზადების პროცესში 13 საწვრთნელ-საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს, რაც საკმარისად მიაჩნიათ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს საკონტროლო მატჩები „მერანმა" საკმაოდ წარმატებით ჩაატარა, 13 თამაშიდან 8 მოიგო და 5 ფრედ დაასრულა, თუმცა ოფიციალური შეხვედრები მაინც სხვაა.

იმედია, ყვავილნარში გასამართი შეკრება „მერანს" ბევრს შესძენს და ეს გუნდის თამაშზე და შედეგზეც აისახება.

**ვანო ოქროპირიძე**

# კიკნაძის პირველი ალანიური

კვიპროსში შეკრებაზე მყოფმა ქართველების „ალანიამ“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ვლადიმერ გუცაევის შეგირდები ამჯერად რუმინეთის ჩემპიონატის მეთორმეტეადგილოსან „როკარს“ დაუპირისპირდნენ — შეხვედრა 1:1 მორჩა.

თამაში, რომელიც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მეტად ხისტი გამოდგა. მსაჯიც უხეშად მოქმედი ფეხბურთელების წისქვილზე ასხამდა წყალს და იშვიათად აფიქსირებდა წესების დარღვევას. მთელი 90 წუთის განმავლობაში თითქმის არც ერთ კართან არ შექმნილა სახიფათო მომენტები. ძლიერი ქარის გამო ფეხბურთელებს კომბინაციური თამაში უჭირდათ.

„ალანია“ მეორე ნახევარში ჩვენებური გიორგი კიკნაძის გოლით დაწინაურდა. მან კუტარბას მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულზე იხეირა — „როკარის“ კარი ახლო მანძილიდან დალაშქრა. აღსანიშნავია, რომ ეს გიორგის პირველი ალანიური გოლი იყო.

რუმინელებმაც კუთხურის გათამაშების შემდეგ გამოიღეს ხელი და წაგებას გადაურჩნენ.

„ალანიის“ სხვა ქართველებიდან ექსსკონტოელმა ლევან სილაგაძემაც ითამაშა. მან, კიკნაძის მსგავსად, 90 წუთი დაჰყო მოედანზე. რაც შეეხებათ მცველ მამუკა წერეთელსა და თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას, გუცაევმა მათი საქმეში ჩართვა არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

„როკართან“ მატჩის მეორე ტაიმში ვლადიკავკაზელთა რიგებში ითამაშა სლოვაკმა ლეგიონერმა ჰოლიმ. იგი გასულ სეზონში ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა. ჰოლის „ალანიაში“ გადაბარგება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

ხვიჩა სანიკიძე


გიორგი კიკნაძე

# ჯერ თასი

საფეხბურთო სეზონი 25 თებერვალს სათასო მატჩებით განახლდება. რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ დადგინდა საქართველოს თასის მერვედფინალური შეხვედრების გამართვის თარიღები. „სარბიელი“ ადრეც იუწყებოდა, რომ ყველაზე ადრე, 25 თებერვალს, „დინამო“ და „ტორპედო“ ითამაშებდნენ. მიზეზი სუპერთასის გათამაშებაა, რადგან სწორედ ეს ორი გუნდი შეებრძოლება ერთმანეთს სუპერმატჩში. შეგახსენებთ, რომ „დინამო“ „გურიას“ დაუპირისპირდება, „ტორპედო“ კი ქუთაისში „აკადემიას“ დაუხვდება.

28 თებერვალს ითამაშებს კიდევ ორი მერვედფინალური წყვილი: „ლოკომოტივი“ „თბილისს“ უმასპინძლებს, „დილა“ კი — რეგიონალურლიგელ „ზოოვეტს“. რაც შეეხებათ დანარჩენებს, ისინი ერთმანეთში ურთიერთობას 29 თებერვალს გაარკვევენ. ამ დღეს ოთხი შეხვედრა ჩატარდება: „ბათუმი“ — „გორდა“, „კოლხეთი“ — „მერანი“, „ვიტ ჯორჯია“ — თსუ და „მარგვეთი“ — „სამგურალი“.

საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები 8 მარტს გაიმართება.

პაატა ქვანტალიანი

# დინამო 4 დინამო 2

კვიპროსზე ორი თამაშის წაგების შემდეგ თბილისის „დინამომ“ შაბათს ბუქარესტელი, როგორც ადრე იტყოდნენ, თანაკლუბელები 4:2 დაამარცხა.

რუმინული „დინამო“ დღესდღეობით თავის ჩემპიონატს ლიდერობს, უახლეს მდევართანაც ქულათა საკმაო სხვაობა აშორებს და ქვეყნის პოტენციურ ჩემპიონადაც თუ ჩავთვლით, არაფერი დაშავდება.

მატჩი ერთობ საინტერესოდ წარიმართა, დაძაბულად. თავიდან ბუქარესტის „დინამო“ დაწინაურდა, რომელშიც ის ფეხბურთელებიც თამაშობდნენ, რომლებიც ამას წინათ კვიპროსზევე რუმინეთის ნაკრებში ირიცხებოდნენ. ანგარიში 34-ე წუთზე რევაზ არველაძემ გაათანაბრა, მეორე ტაიმის დასაწყისშივე კი გიორგი ანჩაბაძემ გაიტანა. 52-ზე დათუაძემ იყოჩაღა, მერე რუმინელებმა ერთი გოლი გაქვითეს, თუმც მატჩის ბოლოსწინა წუთზე ისევ დათუაძემ შეაგდო ბურთი. ჩვენმა „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი (შაშიაშვილი), დიდავა, ვაშაკიძე, ქემოკლიძე, დათუაძე, სიჭინავა (გუჩუა), ანჩაბაძე (რუხაძე), რ. არველაძე (ჯინჭარაძე), წიტაიშვილი, ა. ჯელაძე (ძოძუაშვილი).

ჯელაძე და ძოძუაშვილი აქამდე რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებად ითვლებოდნენ, მაგრამ „დინამოს“ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს ამ ორი ბიჭის თამაში უნახავს კვიპროსზე და მათი გადაბირება განუზრახავს. როგორც თავად გვითხრა, ჯელაძეც და ძოძუაშვილიც ყაბულს არიან, „დინამოში“ ითამაშონ, იმედი მაქვს, არც „ლოკომოტივი“ იქნება წინააღმდეგიო. რკინიგზელები და დინამოელები ამ ფეხბურთელების თაობაზე საბოლოოდ თბილისში დაბრუნების შემდეგ მოილაპარაკებენ.

დღეს კი „დინამო“ რუსეთის ჩემპიონ „სპარტაკს“ უნდა ეთამაშოს.


დინამოელთაგან ორი ბურთი დავით დათუაძემ გაიტანა

კობა ინასარიძე

# როგორც იქნა

როგორც იქნა, უკრაინული „შახტარის“ მწვრთნელებმა მიხეილ ფოცხვერიას თავის გამოჩენის საშუალება მისცეს.

უკრაინის ვიცე-ჩემპიონი ერთ კვირაზე მეტია, შეკრებაზე იმყოფება არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში. გუნდმა ამ ხნის მანძილზე რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა. სამწუხაროდ, უფოცხვერიოდ... არადა, გამგზავრების წინ „შახტარის“ ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა — რამდენიმე ფეხბურთელის განათხოვრებას ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ვაპირებთ და საბოლოო გადაწყვეტილებას საამიროებში გავლილი შეკრების მერე მივიღებთო. ფოცხვერიას ბედიც ამ შეკრებისას თავის გამოჩენაზე ეკიდა, მაგრამ თუ მოედანზე არ შეგიშვეს, რაიმეს დამტკიცებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ეტყობა, „შახტარის“ მწვრთნელებსაც გაახსენდათ ეს საფეხბურთო აქსიომა და ჩვენებურს თამაშის საშუალება მისცეს, თუმც მხოლოდ მეორე ნახევარში.

უკრაინელები ადგილობრივ „ალ-ფუჯერას“ გაეჯიბრნენ და 4:1 იმარჯვეს. მეოთხე გოლი 81-ე წუთზე შტოლცერსის ნაცვლად თავდასხმაში გამწესებულმა მიშამ ჩაიწერა ანგარიშზე.

ხვიჩა სანიკიძე

# ფოთიდან დაწყებული ფოთში დასრულდა


გიორგი დავითნიძე

გიორგი დავითნიძე ფოთის „კოლხეთს“ დაუბრუნდა. ერთ დროს „მერანში“ მოთამაშე ნიჭიერი, ძალისმიერი მცველი ტერნოპოლის „ნივაში“ იმყოფებოდა, სწორედ ამ გუნდიდან გამოისყიდეს ფოთელებმა და დავითნიძემაც პირველი წრე საპორტო ქალაქის გუნდში ჩაამთავრა. სეზონებსშორის შესვენება კი ქართველმა ფეხბურთელმა მოგზაურობას და სასურველი კლუბის ძებნას მოანდომა, ცოტა ხნის წინ გიორგის გვარი შეკრებაზე მყოფ მოსკოვის „ტორპედოს“ ახალწვეულთა შორისაც გამოჩნდა, რუსული გუნდის შემადგენლობაში მან რამდენიმე ამხანაგური მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი მახაჩკალის „ანჟის“ მიაშურა. დავითნიძემ რუსეთის მაღლესი დივიზიონის დებიუტანტ დაღესტნურ გუნდთანაც გაიარა შეკრების ნაწილი, საკონტროლო მატჩებშიც ითამაშა და თითქოს იქვე უნდა დამკვიდრებულიყო, მაგრამ ცოტა ხნის წინ „ანჟის“ მთავარმა მწვრთნელმა გაქი გაჯიევმა განაცხადა, რომ გიორგი მისი გუნდის სტილს ვერ მოერგო და ქართველი ფეხბურთელიც სამშობლოში დაბრუნდა. ფოთიდან დაწყებული მოგზაურობა ისევ ფოთში დასრულდა, რადგან დავითნიძეს დღეს საპორტო ქალაქში ელოდებიან. გუშინ „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ „სარბიელს“ განუცხადა, რომ სამეორეეტაპოდ გიორგი დავითნიძე ისევ ფოთელთა რიგებში ითამაშებს.

პაატა ქვანტალიანი

# უცნაური მირონი:

## ნორჩაში ცუდი იყო... კაიდარაშვილი მხოლოდ თოვლზე ვარგოდა

მართლაც უცნაური ყოფილა ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ თავკაცი მირონ მარკევიჩი. ამის შესახებ უკრაინელ სპორტულ ჟურნალისტებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ, მაგრამ მის მიერ სულ ახლახანს გაკეთებულმა განცხადებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

განცხადება პირველი — კეთილმოუწყობელმა მოედნებმა, მათგან საკმაოდ შორს მდებარე სასტუმროში დაბინავებამ, არასახარბიელო სპარინგპარტნიორებმა და სხვამ არასასიამოვნო მოგონება დამიტოვა. ასე გაიხსენა მირონ მარკევიჩმა იტალიაში, ნორჩაში ჩატარებული ტურნირი, რომელშიც, კარგად მოგეხსენებათ, „ბათუმიც“ მონაწილეობდა.

მარკევიჩის მეორე უცნაური განცხადება კი ჩვენებურ ალექსანდრე კაიდარაშვილს ეხება. როგორც იცით, იგი იანვარში გადაიბირა „მეტალურგმა“ ტერნოპოლის „ნივადან“. თავდამსხმელმა ახალი გუნდის რიგებში რამდენიმე შეკრების გავლა და საკონტროლო მატჩის გამართვაც მოასწრო. მისი გამეტალურგება ფაქტობრივად გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ, ყველასგან გასაკვირად, კაიდარაშვილმა ზაპოროჟიელთა კლუბი დატოვა და უკრაინის ჩემპიონატის მეორეადგილოსან „კრივბასს“ მიაშურა.


მირონ მარკევიჩი

აი, როგორ ახსნა ეს ფაქტი მირონ მარკევიჩმა — თოვლზე თამაშისას ქართველი ლეგიონერი პერსპექტიულად გამოიყურებოდა, მინდორზე კი ჩაიკარგა. მართალია, მასში სატრანსფერო თანხის ნახევარი გადახდილი გვქონდა, მაგრამ ყოველგვარი გართულების გარეშე იგი “კრივბასში“ გასინჯვაზე გავუშვით. თუ კაიდარაშვილი გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს გამოადგება, საწინააღმდეგო არაფერი გვექნება...

ამ დროს იტყვიან, კაცია და ხასიათიო. არა მგონია, მთლად ასე იყოს...

ხვიჩა სანიკიძე

# არსენალი: ყოფნა!

„ვვარჯიშობთ, საკონტროლო თამაშებსაც ვატარებთ, ერთი სიტყვით, სრულფასოვნად ვემზადებით სეზონის განახლებისთვის. ის კი, რა და როგორ იქნება „არსენალში", ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ გეცოდინებათ. გუნდში ჩემი მუშაობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებ"— გვითხრა პარასკევს „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა ჯონი ჯანელიძემ. არმიელთა კრება კი მეორე დღისთვის იყო დანიშნული.

გუშინ ჯონი ჯანელიძემ გვამცნო, საქმეს ცუდი პირი არ უჩანს, გუნდს არსებობის ელემენტარულ პირობებს შეუქმნიან და „არსენალი" პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს.

არმიელთა კლუბს ძირითად სპონსორობას ბიზნესმენი მერაბ შუკაკიძე გაუწევს პრეზიდენტ ჯონი ფირცხალაიშვილთან ერთად. ალბათ, ხელფასებიც დროულად გაიცემა და სავარჯიშო პროცესსაც ბოლომდე მიიყვანენ. მთავარ მწვრთნელს ამ საქმეში თანაშემწეები — თემურ ცერცვაძე და მალხაზ კობიაშვილი დაეხმარებიან.

ჯონი ჯანელიძემ კიდევ რამდენიმე ახალწვეულს უხმო. ერთ-ერთი მათგანი, ექსსიონელი ირაკლი კაპანაძე ჯანელიძის „მერანში" თავკაცობისას ავჭალელთა რიგებს იცავდა. „არსენალს" შეუერთდა ნუკრი მინდიაშვილი. იგი პირველ ეტაპზე „სიონში" თამაშობდა.

მესამე ახალწვეულიც პირველლიგელია — დავით ჯობაძე არმიელთა გუნდში თსუ-დან გადაბარგდა. ამ სამულს დაემატა რეგიონალური ლიგის ბინადარ „ზოოვეტის" მცველი გიორგი შუკაკიძე.

შაბათ-კვირას ჯონი ჯანელიძის შეგირდებმა ორი საკონტროლო მატჩი გამართეს. მწვრთნელმა სხვადასხვა შემადგენლობები გაიყვანა მოედანზე. არსენალელებმა ზესტაფონის „მეტალურგს" 4:0 მოუგეს, „ლოკომოტივის" ფარმკლუბს კი 3:1 აჯობეს.

მიუხედავად უამრავი პრობლემებისა, ჯანელიძე ოპტიმისტურადაა განწყობილი, იმედი აქვს, რომ შაბათის კრებაზე თქმული საქმედ იქცევა და „არსენალის" ყოფნა-არყოფნის საკითხი დღის წესრიგში აღარ დადგება.

**ხვიჩა სანიკიძე**



სამეორეეტაპოდ „არსენალი" შარშანდელივით „ისნის" სტადიონზე ემზადება

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),კ.ჯანაშია,ჩხაბერიძე(სამგურალი),ვ.მაისურაძე(თბილისი) | გ.გოგოლაძე,თავბერიძე,ვადაჭკორია,კვერნაძე,ბაბუნაშვილი(ინტერი),ქადაგიძე(ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი(თურქეთი)5:0,შინიკი(რუსეთი)0:1,ნოსტა(რუსეთი)2:2,ვენტსპილსი(ლატვია)2:1,ანთალია 2(თურქეთი)3:1,იესილი (ყაზახეთი)0:0,ლევსკი(სოფია,ბულგარეთი)1:2,ყაზახეთი2:2,დუსტლიკი(უზბეკეთი)4:3,სპარტაკი(ვარნა,ბულგარეთი)1:3 |
| დინამო *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი) | გოგიჩაიშვილი(ლოკომოტივი),კვრძევაძე(ქიმფაზი,აზერბაიჯანი),ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე (თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი),რ.არველაძე(ობერჰაუზენი,გერმანია),გონჩაროვი(არსენალი),ჩხეიძე(არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია3:2,ლოკომოტივი 1:2,საქართველოU21 2:2,ცაგ დინამო(ყირგიზეთი)5:2,ვარზობი(ტაჯიკეთი)3:5,ირტიშპავლოდარი?/ირტიშ ბასტაუ(ყაზახეთი)5:2,მერანი 0:0,დებრეცენი(უნგრეთი) 0:1,რუბინი(რუსეთი)2:3,დინამო(ბუქარესტი,რუმინეთი)4:2 |
| კოლხეთი *გია ტყებუჩავა* | დ.გოგოლაძე(ვენტსპილსი,ლატვია),ჭოხონელიძე(დილა),მელაძე(გორდა),ბულუხია,გ.გიორგაძე(თამაშიმიატოვეს) | მ.ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),გ.ჩიტაია(დილა),ფანჩულიძე,შ.ჩხენკელი(ტრავმის გამო არ თამაშობდნენ),დ.კვირკველია,კრასოვსკი(კოლხეთი 2),რ.ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი) | ნივა(ტერნოპოლი,უკრაინა) 1:1,სტალი(ალჩევსკი,უკრაინა) 0:1, 1:1,პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2,ობოლონ პპო(კიევი,უკრაინა)0:0 |
| ბათუმი *ჯანი კარნევალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (თბილისი), უვაკვე (?) | ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი),ბარნოვი(ლოკომოტივი),ბოკიჩი(ნაციონალი,ბუქარესტი,რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2,არეცო (იტალია) 3:1,სტიაუა (რუმინეთი)3:4,არჯეში(რუმინეთი) 1:2,ზაგლებიე(პოლონეთი) 4:1,ვისლა (პოლონეთი)3:2 |
| ვიტ ჯორჯია *სერგო კუტრიკაძე* | კ.ალადაშვილი(გორდა),მაზიაშვილი(თსუ) | ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),მერლანი(თსუ),თ.კობიაშვილი(დინამო) | ზოოვეტი5:0,დინამო2:3,თსუ6:4,დილა 1:0,მერანი0:0,სიონი 1:0,საქართველოU21 1:0,არსენალი2:1,ფენერბახჩე?/ფენდიქსფორი(თურქეთი)3:1,სპორტული(რუმინეთი) 1:1,სლოგა(მაკედონია) 3:0,ნოიდორფი(ავსტრია)0:0,პოგონი(პოლონეთი) 1:1 |
| სიონი *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო),დ.გოდერძიშვილი(ლოკომოტივი),ნ.მინდიაშვილი,ი.ნადირაძე(არსენალი) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი),ბ.შენგელია(იბერია) | ვიტ ჯორჯია0:1,არსენალი 1:1,1:3,გორდა 1:1,0:0,ზოოვეტი 8:2 |
| დილა *მერაბ კოჭლაშვილი* | გ.ჩიტაია(კოლხეთი),თაყაძე(შერიფი,მოლდოვა) | საყვარელიძე(დილას სკოლა),ჭოხონელიძე(კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია0:1,ლოკომოტივი3:1,თსუ0:0,თბილისი0:2, 1:0,მერანი0:0,0:5,არსენალი 1:1 |
| იბერია *სოსო ფრუიძე* | კ.მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), ქველაძე (?) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია,აბრამიძე,ზ.ხიზანიშვილი(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ძოძუაშვილი(სამგურალი),დ.გოდერძიშვილი(სიონი),პარამონოვი(თბილისი2),ჭიჭველიშვილი(ალანია,რუსეთი),თოლორდავა(მერანი),ა.ჯელაძე(ალიტიჰადი,საუდეთი),გ.გვაზავა(თსუ),ონიანი (ხობი),ნიკურაძე,გულორდავა(გურია),მორჩილაძე,არეშიძე(ლოკომოტივი2),დევდარიანი(ცხუმი),გამცემლიძე(არ თამაშობდა) | დინამო2:1,დილა 1:3,მერანი2:2, 0:1,თსუ 1:0,2:2,ასკ(ხაბაროვსკი,რუსეთი) 2:1,აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0,შერიფი(მოლდოვა) 0:2 |
| გორდა *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?) | კ.ალადაშვილი(ვიტ ჯორჯია),ბედიაშვილი(თბილისი),გაბარაევი(მამული),დ.ნიკლაური,სულაშვილი,ძებისაშვილი,ლ.კაპანაძე(ხალიბი),ლ.სილაგაძე(სკონტო 2,ლატვია),მელაძე(კოლხეთი),ბურნაძე,გ.კილასონია,შ.მეტრეველი(არ თამაშობდნენ) | სიონი 1:1,0:0,ხალიბი4:3,3:2,2:0 |
| თსუ *თენგიზ კაკაია* | მერლანი(ვიტ ჯორჯია),ნინუა(ბელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),გ.გვაზავა(ლოკომოტივი),ჯობაძე(არსენალი) | მაზიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ფუტკარაძე(ინტერი),ებრალიძე(თბილისი),ჯავახიშვილი(განთიადი),ნანიშვილი(ცხუმი),სულავა(ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6,ლოკომოტივი 0:1,2:2,ამირანი 1:0,ზოოვეტი 4:2,დილა0:0,ზუგდიდი6:1 |
| მერანი *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | კოშკაძე,ავალიანი,მელიქია,კვანტალიანი,მიკუჩაძე(ამირანი),გ.ილურიძე,აბულაძე(განთიადი),ბოლქვაძე(გურია),ა.ხორხელი(არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია0:0,ლოკომოტივი2:2,1:0,დინამო0:0,ჭაბუკიანი 1:1,ცხუმი6:0,3:1,დილა0:0,5:0,ლოკომოტივი23:1,მეტალურგი 3:0,აკადემია 1:0,2:0 |
| თბილისი *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე(დინამო),კვარაცხელია,აბრამიძე,ზ.ხიზანიშვილი (ლოკომოტივი),ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე(ვიტ ჯორჯია),ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია),ბედიაშვილი(გორდა),ებრალიძე(თსუ) | ვ.მაისურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი),ნორაკიძე,ჩივაძე,ახალაია(თბილისი2),კოხრეიძე(სამგურალი),კ.მელქაძე,ამაშუკელი(ლოკომოტივი),ხუციშვილი(შერიფი,მოლდოვა),გადელია(ბათუმი),ყუფარაძე,(არსენალი),გ.ლუდუშაური(არ თამაშობდა) | დილა 2:0,0:1,საქართველოU18 0:0,ს.ა.იბერია0:0,ჭაბუკიანი 3:1,აკადემია2:1 |
| სამგურალი *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ.ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ.ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია) | ინტერი8:0,გაგრა5:2 |
| ხობი *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი),ნიქაბერიძე, ბაბუაძე,გოგიტაძე,ზ.კვეკვესკირი,თორია (?) | | |
| არსენალი *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გონჩაროვი(დინამო),დაუშვილი(სიონი),ყუფარაძე(თბილისი),მ.მაისურაძე(?);მამუკა გეგეჭკორი(მწვრთნელი,დაითხოვეს) | ხარებავა,ე.ალადაშვილი(მერანი),დ.ჯანელიძე,ნივნივაძე(ლოკომოტივი),ქოიავა(არაგვი),ი.კაპანაძე,ნ.მინდიაშვილი(სიონი),გ.ტულუში(ცხინვალი),ჯობაძე(თსუ),შუკაკიძე(ზოოვეტი);ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1,ვიტ ჯორჯია 1:2,არსენალი2 3:0,აკადემია 3:0,დილა 1:1,მეტალურგი 4:0,ლოკომოტივი2 3:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# ბექჰემის გარეშე



REUTERS

ლიდსი — მანჩესტერი 0:1. მანჩესტერელი დევიდ ბექჰემი თამაშს ტრიბუნიდან უყურებდა

## ინგლისი

### გადადებული მატჩები

**ლიდსი 0:1 მანჩესტერი**

0:1 კოული (52)

ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ბაკე, ბოიერი, ჯონსი, უილკოქსი, ა. სმიტი, კიუელი

მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი, სქოულზი, როი კინი, ბათი, გიგზი, იორკი (შერინგემი 30), ე. კოული

გაფრთხილება: კიუელი, ჯონსი, ირვინი, სტამი

მსაჯი: ჯონსი

**მიდლსბრო 2:0 ქოვენთრი**

1:0 ფესტა (8), 2:0 რიკარდი (20)

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, პალისტერი, კუპერი, ციგე, ჟუნინიო (მედისონი 89), ინსი, სამერბელი, რიკარდი, კემპბელი

ქოვენთრი: ჰედმანი, გუსტაფსონი (ბრინი 68), შოუ, უილიამსი, ბოროუზი (ოსტიჩი 68), მ. ჰაჯი, მაკალისტერი, პალმერი, ჩიპო, რობი კინი, რუსელი (ა. ქუინი 76)

გაფრთხილება: შოუ, პალმერი, ჰაჯი

მსაჯი: ბარბერი

**ბრუკლინ** ჯოზეფ ბექჰემი ჯერ ძალიან პატარა ბიჭია და არ ესმის, რომ უდროო დროს გაციება არ შეიძლება. პარასკევ დილით აქსუტუნებული და ცხვირის ცემინებით გამოღვიძებული ბრუკლინის მამამ, დევიდ ბექჰემმა ამის გამო სამსახური, სხვანაირად კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარჯიში გააცდინა.

ვიქტორია პოშ ადამსი სულაც არ არის პატარა გოგო. თავის მომგებიან ბიზნესში, რაც ახლა პოდიუმზე გამოსვლასაც მოიცავს, ვიქტორიას ქმრის, დევიდ ბექჰემის მხარდაჭერა სჭირდება. ბედი არ გინდა? ვიკას პოდიუმზე ყოფნა მთელ კვირას გაგრძელდა და მეუღლემ კი ერთხელაც ვერ მოახერხა წარმოდგენაზე დასწრება. პარასკევი მაინც გაცდენილი დღე იყო და ბექჰმა ლონდონისკენ გაუტია.

ოპტიმისტები ამბობენ, ვარჯიში ბავშვის გაციების გამო გაცდაო, პესიმისტები — პოდიუმის გამოო. ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს სერ ალექს ფერგიუსონისთვის, რომელსაც ყელში ამოუვიდა და შაბათს, ვარჯიშის დაწყებიდან ოთხი წუთის თავზე, დევიდი მინდვრიდან დაითხოვა: „ვინც თავის ნებაზე დააბოტებს და კლუბს არად აგდებს, იმისთვის ერთი პასუხი მაქვს — მშვიდობით!“

ბექჰმა ბურთი ააგდო, გაჯავრებით ამოსცხო ფეხი და გასახდელისკენ წავიდა. მეორე დღეს კი ლიდსის „ელანდ როუდზე“ „მანჩესტერი“ თავის უპირველეს მდევარს ხვდებოდა. თუ მასპინძლები მოიგებდნენ, ლიდერს წამოეწეოდნენ.

ბექჰემი ტრიბუნაზე იჯდა, შეხვედრა კი უჩვეულოდ ადრე, დღის პირველის ნახევარზე დაიწყო ტელეკომპანიათა გამოისობით, რახან ასეთი მნიშვნელოვანი და გამოტოვებული „ლიდს“ — „მანჩესტერი“, იმავე საღამოს, ასოციაციის თასის მეოთხედფინალებს არ დამთხვეოდა.

„ლიდსმა“ თავი დადო, თუმც კი, ამ შემთხვევაში არ მიუმართავს მუჯლუგუნებისა და წიხლებისათვის. ყმაწვილი იორკშირელების მენეჯერმა დევიდ ოლირიმ კარგად იცოდა, რომ „მანჩესტერთან“ ამით ფონს ვერ გავიდოდა. მისი გუნდი ჩვეულად ირჯებოდა — სწრაფად, აზრიანად და მოქნილად. უბექჰემო მანჩესტერი უფრო ფრთხილი იყო, თუმც დაცვაში გვარიანი შეცდომები მოსდიოდა. ლოს ანჯელესიდან საჩქაროდ ჩამოფრენილი დუაიტ იორკის (იქ კონკაკაფის ოქროს თასზე თამაშობდა ტრინიდადის ნაკრებში) ეგრეც ვერ გამოფხიზლდა და პირველივე ტაიმში დაუთმო ადგილი ტედი შერინგემს.

„ლიდსი“ მეტს უტევდა და სტუმრებიც მეტად ჯარიმდებოდნენ. იან ჰარტმა ოთხჯერ შეასრულა საჯარიმო დარტყმა საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან და სამჯერ მარკ ბოსნიჩმა გაჭიმა საუცხოო ნახტომი. ლიდსელებმა სამჯერ მოარტყეს ბურთი სტუმართა ძელს, ცარიელი კარის წინ დარჩენილმა ლი ბოიერმა კი ბურთი ზედა ძელს გადააცილა. მაგრამ ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ენდი კოულს უკვე გაეტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი. კოულმა საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო ლუკას რადებეს, ბურთი წინ გაიგდო, იგივ რადებე ჩამოიტოვა და მოხერხებულად დაარტყა კარში.

შეხვედრის მიწურულს ფერგიუსონმა მოთმინება დაკარგა და წამოჭარხლებული დაქროდა გვერდით ხაზთან, რათა თავისი გუნდის მორღვეული მარჯვენა ფრთა ყვირილით შეედუღებინა. მანჩესტერელთაგან საუცხოო იყო როი კინი, პოლ სქოულზის აქტიურობამ კი გვარიანად მოქანცა მასპინძლები. „იუნაიტედმა“ ექვსი ქულით გაუსწრო „ლიდსს“.

ფერგიმ კი თქვა: „ზოგჯერ ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა სამოცი წლისა იმ საღამოს გავმხდარიყავი, ჩემპიონთა თასი რომ მოვიგეთ. ჩემ კარიერასაც იქ დავასრულებდი. მაგრამ რას იზამ? ბრძოლა გრძელდება“.

დევიდ ოლირიმ გაიმეორა ის, რაც არაერთხელ უთქვამს: „ამ კაცისა და მისი გუნდის დიდი პატივისმცემელი ვარ. ისინი ხასიათით გვჯაბნიან, მეტად უტეხნი არიან და იმგვარი გადამდები თვითრწმენა აქვთ, რომ ყმაწვილკაცს ვერ მოსთხოვ. აი, ამ მიღწევის გამო ვცემ პატივს მათ მენეჯერს“.

„მანჩესტერი“ კი ლიდერობს.

ჰო, წინა დღით, „მიდლსბრომ“ „ქოვენთრის“ მოუგო 2:0. ბოროელთა ძირითადში დაბრუნებულმა ამილტონ რიკარდმა და კრისტიან ციგემ გუნდის წამხდარი თამაში გვარიანად გამოაცოცხლეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 25 | 17 | 5 | 3 | 57:31 | 56 |
| ლიდსი | 25 | 16 | 2 | 7 | 39:29 | 50 |
| ლივერპული | 25 | 14 | 5 | 6 | 38:21 | 47 |
| არსენალი | 25 | 13 | 5 | 7 | 43:26 | 44 |
| ჩელსი | 25 | 12 | 7 | 6 | 35:23 | 43 |
| სანდერლენდი | 25 | 11 | 6 | 8 | 41:36 | 39 |
| ასტონ ვილა | 25 | 10 | 7 | 8 | 30:23 | 37 |
| ევერტონი | 25 | 9 | 9 | 7 | 42:35 | 36 |
| ტოტენჰემი | 25 | 10 | 5 | 10 | 34:29 | 35 |
| ვესტ ჰემი | 24 | 9 | 8 | 7 | 34:31 | 35 |
| ლესტერი | 25 | 10 | 5 | 10 | 35:36 | 35 |
| ქოვენთრი | 25 | 8 | 8 | 9 | 35:31 | 32 |
| ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 44:41 | 31 |
| მიდლსბრო | 25 | 9 | 4 | 12 | 27:37 | 31 |
| საუთჰემპტონი | 24 | 8 | 5 | 11 | 29:38 | 29 |
| უიმბლდონი | 25 | 6 | 10 | 9 | 35:43 | 28 |
| დერბი ქაუნთი | 25 | 6 | 6 | 13 | 27:38 | 24 |
| ბრედფორდი | 25 | 6 | 6 | 13 | 25:41 | 24 |
| უენსდი | 25 | 4 | 5 | 16 | 23:51 | 17 |
| უოტფორდი | 25 | 4 | 3 | 18 | 22:55 | 15 |

## პირველი დივიზიონი

### XXXII ტური

**ბარნსლი 1:1 ქუინზ პარკი**

0:1 როსე (43), 1:1 ჰინეტი (90პ)

**ქრიუ 1:2 იფსვიჩი**

0:1 კლეპჰამი (60), 1:1 ტაიტი (64), 1:2 ჯ. რაიტი (89)

**ფულემი 2:0 უოლსოლი**

1:0 ფილანი (53), 2:0 კლარკი (84)

**ნორვიჩი 3:0 გრიმსბი**

1:0 მაკდერმოტი (11 ს.კ.), 2:0 რასელი (64), 3:0 ლეველინი (74)

**ნოტინგემი 2:0 კრ. პალასი**

1:0 როჯერსი (13), 2:0 ქვოში (51)

**შეფილდ იუნ. 6:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0, 2:0, 3:0 ბენტი (2, 45, 51), 4:0 დევილინი (55), 5:0 ნოტმანი (65), 6:0 ბრაუნი (82)

**სტოკპორტი 0:1 ბლექბერნი**

0:1 მაკატირი (79)

**სუინდონი 1:4 ბირმინგემი**

0:1 პურსი (11), 1:1 ჰეი (13), 1:2 რანკინი (21), 1:3 ადებოლა (26), 1:4 გრაინერი (74)

**ჰადერსფილდი 1:1 სიტი**

1:0 ვაინჰარდი (32), 1:1 გოტერი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 31 | 21 | 5 | 5 | 58:29 | 68 |
| იფსვიჩი | 32 | 18 | 9 | 5 | 54:31 | 63 |
| სიტი | 31 | 19 | 5 | 7 | 51:25 | 62 |
| ბარნსლი | 32 | 17 | 6 | 9 | 62:47 | 57 |
| ბირმინგემი | 32 | 15 | 8 | 9 | 49:36 | 53 |
| ჰადერსფილდი | 32 | 15 | 7 | 10 | 49:35 | 52 |
| ვულვზი | 32 | 13 | 10 | 9 | 44:36 | 49 |
| ფულემი | 32 | 12 | 12 | 8 | 29:26 | 48 |
| ბლექბერნი | 31 | 11 | 11 | 9 | 37:34 | 44 |
| ქუინზ პარკი | 32 | 10 | 13 | 9 | 41:38 | 43 |
| სტოკპორტი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:43 | 43 |
| ბოლტონი | 30 | 11 | 9 | 10 | 40:34 | 42 |
| შეფილდ იუნ. | 32 | 11 | 9 | 12 | 46:46 | 42 |
| ნორვიჩი | 31 | 11 | 9 | 11 | 32:34 | 42 |
| გრიმსბი | 32 | 11 | 7 | 14 | 36:52 | 40 |
| ტრანმერი | 31 | 10 | 7 | 14 | 40:47 | 37 |
| კრ. პალასი | 32 | 9 | 10 | 13 | 44:52 | 37 |
| ნოტინგემი | 32 | 9 | 9 | 14 | 35:40 | 36 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 6 | 15 | 11 | 26:40 | 33 |
| პორტსმუთი | 31 | 7 | 9 | 15 | 35:46 | 30 |
| უოლსოლი | 32 | 7 | 9 | 16 | 33:51 | 30 |
| ქრიუ | 32 | 7 | 8 | 17 | 34:45 | 29 |
| პორტვეილი | 30 | 6 | 10 | 14 | 32:41 | 28 |
| სუინდონი | 32 | 3 | 11 | 18 | 22:55 | 20 |

## მეორე დივიზიონი

27-ე ტური. ბრენტფორდი — უიკომბი 0:0; ბრისტოლი — ნოტსი 2:2; ბარნლი — უიგანი 0:0; კემბრიჯი — ბლექპული 0:2; კოლჩესტერი — სტოკი 1:0; ლუტონი — როვერსი 1:4; მილუოლი — ბორნმუთი 3:1; ოქსფორდი — ჩესტერფილდი 2:1; პრესტონი — ბერი 1:1; სკანთორპი — რედინგი 2:2; რექსჰემი — ოლდემი 0:3

## მესამე დივიზიონი

32-ე ტური. ბარნეტი — პიტერბრო 0:2; დარლინგტონი — საუთენდი 1:0; ჰარტლპული — მაკლსფილდი 1:4; ჰალი — შრიუსბერი 0:0; ლეიტონი — ჩელტენემი 1:0; მენსფილდი — ჰალიფაქსი 0:2; ნორთჰემპტონი — ბრაიტონი 1:0; პლიმუთი — იორკი 2:0; როჩდეილი — ლინკოლნი 1:1; როტერჰემი — კარლაისლი 4:2; ტორკი — ექსეტერი 1:0; სუონსი — ჩესტერი 2:1

# ოთხნი დარჩნენ

## ინგლისი

### ასოციაციის თასი

მეოთხედფინალი

**ჩელსი 5:0 ჯილინგემი**

1:0 ფლო (16), 2:0 ტერი (49), 3:0 ვეა (50), 4:0 ძოლა (85პ), 5:0 მორისი (88)

ჩელსი: დე გუი, ლამბური, ტერი (კლემენტი 73), დესაი, ჰარლი, პოიეტი, დეშამპი, მორისი, ძოლა, ვეა (სატონი 78), ფლო (ამბროზეტი 73)

ჯილინგემი: ბარტრამი, საუთოლი (ბრაუნინგი 78), ეშბი, პინოკი (ასაბა 46), ბატერსი, ეჯი, სმიტი, ჰესენტალერი, ლუისი, სონდერსი, ტომსონი (ნოუსვორთი 58)

გაფრთხილება: ჰარლი, ლუისი

მსაჯი: დარკინი

**ევერტონი 1:2 ასტონ ვილა**

0:1 სტოუნი (16), 1:1 მური (20), 1:2 კარბონე (45)

ევერტონი: მირე, პემბრიჯი (კადამარტერი 75), ანსუორთი, გუგი, ვეირი, შავიერი (ჯეფერსი 64), ბარმბი, კოლინზი, ჰათჩისონი, მური, კ. კემპბელი

ასტონ ვილა: ენკელმანი, დილანი, ეჰიოგუ, ბერი, საუთგეიტი, ა. რაიტი, მერსონი (ტეილორი 46), ბოატენგი, სტოუნი, კარბონე, ჯოუჩიმი

გაფრთხილება: შავიერი, ანსუორთი, ბოატენგი, კარბონე, სტოუნი

მსაჯი: გალაჰერი

**ტრანმერი 2:3 ნიუკასლი**

0:1 სპიდი (27), 0:2 დომი (36), 1:2 ალისონი (45), 1:3 ფერგიუსონი (58), 2:3 ჯონსი (76)

ტრანმერი: მერფი, ჰაზელი, ჩელინორი, ბები, რობერტსი (ტომპსონი 89), პარკინსონი (ტეილორი 32), ჰენრი, ჯონსი, მაჰოუნი (მორგანი 52), ალისონი, ა. კელი

ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, დაბიზასი, ჰელდერი, ა. ჰიუზი, დაიერი, სპიდი, გალაჰერი, დომი, დ. ფერგიუსონი, შირერი

გაფრთხილება: ჩელინორი

მსაჯი: დანი

**ბოლტონი 1:0 ჩარლტონი**

1:0 გუდიონსენი (47)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰოლდენი, ბერგსონი, ფიში, უიტლოუ, იოჰანსენი (პასი 88), იენსენი, ელიოტი, ჯონსტონი (გარდნერი 75), გუდიონსენი, ტეილორი (რიჩი 49)

ჩარლტონი: კიელი, ბარნსი (კინსელა 58), პაუელი, ბრაუნი, რუფუსი (ტაილერი 82), ნიუტონი, ტოდი (სალაკო 67), სტიუარტი, რობინსონი, პრინგლი, ჰანტი

გაფრთხილება: ელიოტი

გაძევება: ჰოლდენი (48)

მსაჯი: პოლი

**კვირა** საღამო ასოციაციის თასისა იყო. მეოთხედფინალებში ოთხი გუნდი საერთოეროვნული ლიგებიდან მოხვედრილიყო, ნახევარფინალში კი მათი ერთადერთი წარმომადგენელი გავიდა. პირველდივიზიონურ ჯახს ბოლტონში დიდი ხმაური ახლდა. ლიგის ლიდერ „ჩარლტონს“ ზედიზედ თერთმეტი შეხვედრა მოეგო თასზე და ჩემპიონატში და „ბოლტონსაც“ უპირებდა დამარცხებას. პირიქით კი მოხდა — მასპინძელთა ისლანდიელმა ეიდურ გუდიონსენმა შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა, ბოლტონელთა ფინელმა მეკარემ იუსი იაკსელაინენმა კი თავი დადო. ათმა ბოლტონელმა (გოლის შემდეგ დინ ჰოლდენი გაუძევეს) კარი დაიცვა და 1958 წლის შემდეგ პირველად გავიდა ნახევარფინალში.

„ჩელსიმ“ მეორე დივიზიონელი „ჯილინგემი“ დაიბრიყვა „სტემფორდ ბრიჯზე“ და 5:0 მოუგო. პირველი სამი გოლი თავებით გაიტანეს ტორე ანდრე ფლომ, ჯონ ტერიმ და ჯორჯ ვეამ.

მეოთხედფინალის ერთადერთ პრემიერლიგურ წყვილში, ლივერპულის „გუდისონ პარკზე“ „ევერტონმა“ 1:2 წააგო „ასტონ ვილასთან“. ამ უკანასკნელის უფროსობა არ მალავს, რომ თასისთვის ყველაფერს გაიღებს. ახლა ფორმაში შესული „ვილა“ ბოლოს 43 წლის წინათ ფლობდა ფეხბურთის უძველეს ჯილდოს. იმის შემდეგ კი მხოლოდ მესამედ გავიდა ნახევარფინალში.

სამაგიეროდ, მესამე წელიწადია ნახევარფინალშია „ნიუკასლი“, რომელმაც ტრანმერში მოუგო იქაურებს 3:2. მოგებულთაგან გოლები გარი სპიდმა, დიდიე დომიმ და დანკან ფერგიუსონმა გაიტანეს, წაგებულთაგან ვეინ ალისონმა და გარი ჯონსმა. თუმც კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ნიუკასლი“ ყოველთვის წინ იყო ანგარიშში. „ტრანმერს“ სხვა გამოცდა ელის — ამ კვირას ლიგის ფინალში „უემბლიზე“ უნდა შეერკინოს „ლესტერს“.

ნახევარფინალებში „ბოლტონი“ „ასტონ ვილას“ შეხვდება, „ნიუკასლი“ კი „ჩელსის“.

### ნახევარფინალის წილისყრა

ბოლტონი — ასტონ ვილა; ნიუკასლი — ჩელსი

*ორივე მატჩი გაიმართება „უემბლიზე“ 2 და 9 აპრილს*



ტრანმერი — ნიუკასლი 2:3. ნიუკასლელმა გარი სპიდმა ანგარიში გახსნა და გახარებული მაყურებელს მიეჭრა

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## გერმანია

XXI ტური

### ფრაიბურგი 1:1 დორტმუნდი

1:0 ბენ სლიმანი (8), 1:1 ჰერლიხი (21)
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, ჰერმელი (იაშვილი 62), ვილი, ა. ცაიერი, კობიაშვილი, ვაისჰაუპტი, ბრუნსი (კოლი 82), სელიმი, ბენ სლიმანი (ბაია 77)
დორტმუნდი: ლემანი, ნიეგუსი, კოლერი, როიტერი, ევანილსონი, დედე, სტევიჩი, ვ. ბუტი, რიკენი (ჯ. რეინა 69), ჰერლიხი, ბობიჩი (იკპება 78)
გაფრთხილება: დიარა, ბრუნსი, ვილი, დედე, ჰერლიხი, ნიეგუსი, როიტერი
მსაჯი: ჰაინემანი

### ჰერტა 2:1 ჰამბურგი

1:0, 2:0 პრეეცი (65, 82), 2:1 კოვაჩი (88)
ჰერტა: ფიდლერი, რემერი, სვერისონი, რეკდალი, ვან ბურიკი, დაისლერი, შმიდტი, მანდრეკო (როი 55), ვოში (ვაიტი 85), პრეეცი, ალექს ალვეში (დაეი 46)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, გრავესენი (ბერონი 68), ფ. ერნსტი, ნ. კოვაჩი, კარდოზო (ხატიბი 52), მაჰდავიკია, პრეგერი (დოლი 68), იებოა
გაფრთხილება: რეკდალი, როი, სვერისონი, ვან ბურიკი, ბუტი
მსაჯი: კემლინგი

### შალკე 1:1 ლევერკუზენი

1:0 მპენზა (16), 1:1 პაულო რინკი (30)
შალკე: რეკი, კამპუისი, ტონი, ჰაპე, კმეტჩი, ალპუგანი, ლატალი (შელდი 75), ნემეცი, ვილმოტსი, სანდი, ე. მპენზა (ასამოა 58)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ემერსონი, რამელო, ბაინლიხი, ბალაკი (ბ. შნაიდერი 69), ზე რობერტო, ნოივილი, პაულო რინკი (ბრდარიჩი 69)
გაფრთხილება: კმეტჩი, ლატალი, კამპუისი, პაულო რინკი, ზე რობერტო
გაძევება: ნოვოტნი (89)
მსაჯი: ფანდელი

### ბაიერნი 4:1 დუისბურგი

1:0 პაულო სერჟიო (62), 2:0 ელბერი (68), 2:1 ვოლტერსი (75), 3:1 ლიზარაზუ (78), 4:1 ციკლერი (86)
ბაიერნი: კანი, ლინკე, კუფური, მათეუსი (ფინკი 66), სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ლიზარაზუ, ეფენბერგი, შოლი (ვისინგერი 80), პაულო სერჟიო, ელბერი (ციკლერი 77)
დუისბურგი: სტაუჩე, მ. შნაიდერი, ჰაიტო, ვოლტერსი, ბიუსკენსი, ჰირში, ვოლერტი, ტოფტინგი, ოსტჰოფი, შპისი (ბაიერლე 71), რაისი
გაფრთხილება: იერემისი, ბიუსკენსი, ჰირში, ოსტჰოფი
მსაჯი: კროპი

### ლაუტერნი 4:3 ვერდერი

0:1 ბაუმანი (24), 1:1 პეტერსონი (26), 1:2 ბაუმანი (42), 2:2, 3:2 ჯორკაეფი (49პ, 67), 4:2 შტრასერი (72), 4:3 ჰერცოგი (81)
კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, სფორცა, შტრასერი, რამზი, შონბერგი, რატინიო, ვაგნერი (რაიხი 46), ხრისტოვი, ბუკი (ბასლერი 46), პეტერსონი (ტარე 87), ჯორკაეფი
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ (ფლოკი 61), ბარტენი, ფ. ბაუმანი, ტრარესი (სკრიპნიკი 61), დაბროვსკი, აილტსი, მაქსიმოვი (ბოგდანოვიჩი 80), ფრინგსი, ა. ჰერცოგი, აილტონი
გაფრთხილება: ბუკი, ჯორკაეფი, ხრისტოვი, რამზი, შტრასერი, ვაგნერი, აილტონი, ბაუმანი, ტიკუზუ
მსაჯი: კესლერი

### შტუტგარტი 0:2 უნტერჰახინგი

0:1 რაკლი (67), 0:2 ციმერმანი (86)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ბერთოლდი, ენდრესი, ტიამი, გერბერი (კარნელი 68), სოლდო, ლისტეში, ბალაკოვი, პინტო (ჰოსნი 73), განეა (კუკა 61), დანდი
უნტერჰახინგი: ვიტმანი, გრასოვი, შტრემელი, ზაიფერტი, შტრაუბე, შვარცი, მატიას ციმერმანი (ჰერტლი 87), ჰაბერი (ბუგერი 76), ობერლაიტნერი (ბრაიტენრაიტერი 63), ზაიცი, რაკლი
გაფრთხილება: ბერთოლდი, განეა
მსაჯი: ვაგნერი

### აინტრახტი 3:1 მიუნხენი

1:0 კუჩერა (6), 2:0 ჰელდტი (21), 2:1 შროტი (36), 3:1 სალუ (55)
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, რასიევსკი (მუტცელი 46), ვებერი, სობოტჩიკი, გებჰარდტი, ჰელდტი (ბინდევალდი 76), სალუ, რაიხენბერგერი (ჩენ იანგი 83)
მიუნხენი: ჰოფმანი, კურცი, გრაილიხი, ზელიჩი, ჩერნი, რიდლი, ტაპალოვიჩი (შტრანცლი 67), ჩიჟეკი (პროსენიკი 36), ჰესლერი, შროტი, ვინკლერი (მაქსი 46)
გაფრთხილება: კრახტი, სობოტჩიკი, ვებერი, გრაილიხი, შროტი, ზელიჩი
მსაჯი: ბერგი

REUTERS გელ ზენკირხენიდან



შალკე — ლევერკუზენი 1:1. მასპინძლები ოლაფ ტონი და სვენ კმეტჩი ლევერკუზენელ ზე რობერტოს აკავებენ

# ეფენბერგი+ლიზარაზუ=წლის გოლს

### ვოლფსბურგი 2:0 არმინია

1:0 მუნტეანუ (35), 2:0 იუსკოვიაკი (68)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, ტომსენი (გრაინერი 9), ჰენგენი, კრიგერი, ნოვაკი, სებესკენი, ვაისერი, მუნტეანუ, რიშე (აკონორი 81), იუსკოვიაკი (ბალვანცი 88)
არმინია: მილეტიჩი, შტრატოსი, კლიცპერა, განსაუგე, პეეტერსი, მაისნერი (რიდლევიჩი 80), ბოდე, ვან დერ ვენი, ბომე (ვიშნიარეკი 71), ვაისენბერგერი, ლაბადია
გაფრთხილება: ბილიშკოვი, ლაბადია, მაისნერი, მილეტიჩი
მსაჯი: იანსენი

### ულმი 1:1 ჰანზა

0:1 ვიბრანი (37), 1:1 ვან დერ ჰაარი (83)
ულმი: ლაუქსი, უნსოლდი (პლოილერი 75), მარკესი, გრაუერი, რადოკი, ოტო, მაიერი, შარინგერი (როსლერი 55), გორა, ლეანდრო (ტრკულია 75), ვან დერ ჰაარი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, ვაილანდტი, ჰოლეჩეკი, ლანცი, ლანგე, ვიბრანი, იასერი (ემარა 60), ბრანდი (ბრაიტკროიცი 87), ბაუმგარტი, არვიდსონი (კოვაჩიჩი 85)
გაფრთხილება: გრაუერი, როსლერი, ვან დერ ჰაარი, ბრანდი, ჰოლეჩეკი, კოვაჩიჩი, ლანგე, ლანცი, ვაილანდტი
მსაჯი: შტარკი

„დორტმუნდთან“ მატჩამდე „ფრაიბურგმა“ თავის რიგებში კვლავ დაიბრუნა ორი წამყვანი ფეხბურთელი. პირველ წრეში ბუნდესლიგის ბომბარდირი ადელ სელიმი და ნახევარმცველი ზუბაიარ ბაია აფრიკის თასზე ტუნისის ნაკრების ღირსებას იცავდნენ და წინა ტურების გამოტოვება მოუხდათ.

სელიმის დაბრუნებამ მწვრთნელი ფოლკერ ფინკე არჩევანის წინაშე დააყენა — ძირითადი შემადგენლობიდან ან გუნდის იმედი ალექსანდრე იაშვილი უნდა ამოეგდო, ანაც ტუნისელი ბენ სლიმანი. ფინკემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ფორმადაკარგულ იაშვილს წინა სამ მატჩში ორი გოლის გამტანი ბენ სლიმანი ამჯობინა. ტუნისელმაც მწვრთნელს იმედი არ გაუცრუა, „დორტმუნდთან“ შეხვედრის მე-8 წუთზე ვაისჰაუპტის პასი გამოიყენა და ანგარიში გახსნა. სტუმრებმა მალე აღადგინეს თანაფარდობა, თავი ჰერლიხმა გამოიჩინა.

იაშვილი თამაშში 62-ე წუთზე ჩაერთო და მსაჯ ჰაინემანის შეცდომა რომ არა, იქნებ მატჩის გმირიც გამხდარიყო. 90-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილი იაშვილი კოლერმა უხეშად წააქცია, თუმცა არბიტრმა მატჩის გაგრძელება ბრძანა. ისე, მან მეორე ტაიმის შუაგულში ჰერლიხის აკრძალული ხერხით შეჩერება მასპინძლებსაც აპატია. საბოლოოდ შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა — 1:1.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, აშკარად უკეთ ითამაშეს იაშვილმა და კობიაშვილმა. პირველმა რამდენჯერმე მახვილგონივრული პასით სიტუაცია გაამწვავა, ლევანი კი მარცხენა ფლანგზე აქტიურობდა და „კიკერისგან“ არცთუ ცუდი შეფასება — 2,5 დაიმსახურა.

ბერნდ კრაუსმა კი ვერც ამჯერად გაიხარა. „დორტმუნდმა“ მისი ხელმძღვანელობით უკვე სამი მატჩი გამართა, რომლებშიც მხოლოდ ორ ქულას გამორჩა. მიუხედავად ამისა, კრაუსი იმედს არ კარგავს, მომავალი კვირიდან ალმავლობის გზაზე დავდგებითო, განაცხადა მან მატჩისშემდგომ.

„ბაიერნი“ — „დუისბურგის“ შეხვედრის 78-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ეფენბერგმა საჯარიმოს მისადგომებისკენ გამოზომილად ჩააწოდა, იქ კი ბურთს ფრანგი ლიზარაზუ დაუხვდა, რომელმაც მარცხენა ფეხით შეუჩერებლივ დაარტყა და ბურთი ცხრიანში ჩააჭედა. მართლაც ულამაზესი სანახაობა იყო. გერმანელ ჟურნალისტებს წამითაც არ უყოყმანიათ და ტურის საუკეთესო გოლი წლის გოლადაც შერაცხეს. ლიზარაზუს ეს დარტყმა კი „ბაიერნს“ „დუისბურგის“ განადგურებაში დაეხმარა. მანამდე მიუნხენელები 2:1-ს იგებდნენ, ხოლო საბოლოოდ 4:1 იმარჯვეს. მატჩზე კი რა უნდა ითქვას, ანგარიშიდანაც ყველაფერი ნათლად ჩანს. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მასპინძლების ტერიტორიული უპირატესობა ტაბლოზე მხოლოდ 62-ე წუთის შემდეგ აისახა.

ამ მოგებით „ბაიერნი“ ცხრილში კიდევ უფრო დაწინაურდა, რადგან „ლევერკუზენმა“ პარასკევს „შალკესთან“ გასვლით მატჩში ორი ქულა დაკარგა. თუმცა ლევერკუზენელთა თავკაც კრისტოფ დაუმს თუ ყურს დავუგდებთ... „ლია, ძალიან კარგი თამაში იყო. მოპოვებული ქულით კმაყოფილნი უნდა ვიყოთ“ — თქვა მწვრთნელმა.

მართლაც, მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორი ქულა „ლევერკუზენმა“ კი არა, „შალკემ“ უფრო დაკარგა. მეორე ნახევარში გელზენკირხენელები უდავო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა ეს ანგარიშს ვერ დაატყვეს. გოლები პირველ ტაიმში გავიდა. მე-16 წუთზე ემილ მპენზამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მასში გადახდილი 17 მილიონი მარკა „შალკეს“ ხელმძღვანელობას წყალში არ გადაუყრია. ეს ბურთი მპენზასთვის ზედიზედ მესამე იყო. ანგარიში პაულო რინკმა გაათანაბრა, თუმცა მასპინძლებს ოდნავ რომ გამართლებოდათ, რინკის გოლი ანგარიშში სხვაობას შეამცირებდა, რადგან მანამდე ორი წუთით ადრე ვილმოტსმა ჯარიმიდან ოდნავ ააცილა.

იმის გამო, რომ 21-ე ტურში „კაიზერსლაუტერნმა“ „ვერდერს“ მოუგო, „ჰერტამ“ — „ჰამბურგს“, „ვოლფსბურგმა“ — „არმინიას“, [illegible] „მიუნხენმა“ „აინტრახტფურტს“ [illegible] ძალიან გამწვავდა ბრძოლა ცხრილის ზედა ნაწილში. ახლა ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურს ერთბაშად ექვსი გუნდი ეცილება ერთმანეთს.

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული წლის ბუნდესლიგის ბომბარდირი, ბერლინელი მიხაელ პრეეცი ძველებურად ათამაშდა. ბოლო ოთხ მატჩში პრეეცმა ხუთი გოლი გაიტანა და საუკეთესო მეგოლეთა სიაშიც გამოჩნდა. რაც მთავარია, მის გოლებს „ჰერტასთვის“ მნიშვნელოვანი ქულები მოაქვს. ახლაც, „ჰამბურგთან“ მატჩში იგი ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ და ორჯერვე გაიტანა. პრეეცის დუბლს ნიკო კოვაჩმა 88-ე წუთზე ერთით უპასუხა და „ჰერტამაც“ 2:1 მოიგო. სულ ახლახან მეთხუთმეტე ადგილზე მყოფი ბერლინელები ამჟამად მერვეზე არიან და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან „კაიზერსლაუტერნს“, რომელიც მეოთხეა.

დრამატული გამოდგა „კაიზერსლაუტერნი“ — „ვერდერის“ მატჩი. ბოლო დროს ორივე კლუბი ალმავლობას განიცდის და სერიოზული მიზნებიც დაუსახავთ. პირველ ტაიმი „ვერდერის“ კარნახით წარიმართა. ბაუმანმა ჯერ 24-ე წუთზე დააწინაურა თავისიანები, მერე 42-ზე მის დუბლამდე პეტერსონმა გაქვითა. „ვერდერი“ 49-ე წუთამდე წინ იყო. მერე კი დაიწყო ოცდაორწუთიანი მონაკვეთი, როცა „ლაუტერნმა“ 40 ათასამდე ქომაგი უზომოდ გაახარა. 72-ე წუთზე მასპინძლები უკვე 4:2-ს იგებდნენ. ჯორკაეფმა ორჯერ გაიტანა, შტრასერმა — ერთხელ. ჰერცოგის გოლმა მატჩს ბოლო წუთებში დაძაბულობა შემატა, თუმცა „ლაუტერნმა“ თამაში გამარჯვებამდე მაინც მიიყვანა.

„შტუტგარტმა“ შინ სენსაციური მარცხი იწვნია „უნტერჰახინგისგან“. რაკლისა და ციმერმანის გოლებმა სტუმრებს 2:0 მოაგებინა, მასპინძელთა თავკაცის, რალფ რანგნიკის ბედი კი სასწორზე შეაგდო. არაა გამორიცხული, მომავალ ტურს „შტუტგარტი“ ახალი მწვრთნელით შეხვდეს.

სამიოდე ტურის წინ თითქმის უიმედო მდგომარეობაში მყოფმა „აინტრახტმა“ ბოლო სამ შეხვედრაში ცხრა ქულა მოაგროვა და ახლა ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრიც რეალურად შეუძლია. ფელიქს მაგათის ხელი ფრანკფურტელებს უმალ დაეტყოთ. ამ მწვრთნელის ცოდნას ამჯერად ჩემპიონთა ლიგის საგზურის ერთ-ერთი მაძებარი „მიუნხენ 1860“ შეეწირა. ფრანკფურტელებმა 3:1 დაამარცხეს მეტოქე. დამსახურებულადაც.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 21 | 14 | 4 | 3 | 43:15 | 28 | 46 | 10 | 7 | 2 | 1 | 28:9 | 19 | 23 | 11 | 7 | 2 | 2 | 15:6 | 9 | 23 |
| 2 ლევერკუზენი | 21 | 11 | 8 | 2 | 35:23 | 12 | 41 | 11 | 8 | 3 | 0 | 25:11 | 14 | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:12 | -2 | 14 |
| 3 ჰამბურგი | 21 | 10 | 8 | 3 | 46:23 | 23 | 38 | 10 | 7 | 3 | 0 | 28:6 | 22 | 24 | 11 | 3 | 5 | 3 | 18:17 | 1 | 14 |
| 4 ლაუტერნი | 21 | 10 | 3 | 8 | 30:36 | -6 | 33 | 10 | 5 | 2 | 3 | 17:16 | 1 | 17 | 11 | 5 | 1 | 5 | 13:20 | -7 | 16 |
| 5 ვერდერი | 21 | 9 | 5 | 7 | 44:33 | 11 | 32 | 11 | 6 | 2 | 3 | 23:15 | 8 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 21:18 | 3 | 12 |
| 6 მიუნხენი | 21 | 9 | 5 | 7 | 33:30 | 3 | 32 | 11 | 7 | 2 | 2 | 23:12 | 11 | 23 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:18 | -8 | 9 |
| 7 ვოლფსბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 28:32 | -4 | 31 | 11 | 7 | 0 | 4 | 17:16 | 1 | 21 | 10 | 1 | 7 | 2 | 11:16 | -5 | 10 |
| 8 ჰერტა | 21 | 8 | 7 | 6 | 28:33 | -5 | 31 | 10 | 5 | 4 | 1 | 17:8 | 9 | 19 | 11 | 3 | 3 | 5 | 11:25 | -14 | 12 |
| 9 დორტმუნდი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:17 | 9 | 30 | 11 | 4 | 5 | 2 | 17:11 | 6 | 17 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:6 | 3 | 13 |
| 10 შალკე | 21 | 6 | 10 | 5 | 28:26 | 2 | 28 | 10 | 2 | 7 | 1 | 12:11 | 1 | 13 | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 1 | 15 |
| 11 შტუტგარტი | 21 | 8 | 3 | 10 | 23:27 | -4 | 27 | 10 | 3 | 1 | 6 | 12:16 | -4 | 10 | 11 | 5 | 2 | 4 | 11:11 | 0 | 17 |
| 12 უნტერჰახინგი | 21 | 7 | 5 | 9 | 21:24 | -3 | 26 | 10 | 6 | 3 | 1 | 12:5 | 7 | 21 | 11 | 1 | 2 | 8 | 9:19 | -10 | 5 |
| 13 ფრაიბურგი | 21 | 6 | 6 | 9 | 28:29 | -1 | 24 | 11 | 5 | 3 | 3 | 19:9 | 10 | 18 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 6 |
| 14 ულმი | 21 | 6 | 6 | 9 | 24:29 | -5 | 24 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:8 | 8 | 18 | 10 | 1 | 3 | 6 | 8:21 | -13 | 6 |
| 15 ჰანზა | 21 | 5 | 8 | 8 | 27:40 | -13 | 23 | 11 | 5 | 4 | 2 | 17:14 | 3 | 19 | 10 | 0 | 4 | 6 | 10:26 | -16 | 4 |
| 16 აინტრახტი | 21 | 6 | 2 | 13 | 25:31 | -6 | 20 | 10 | 4 | 1 | 5 | 16:11 | 5 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:20 | -11 | 7 |
| 17 დუისბურგი | 21 | 3 | 7 | 11 | 23:40 | -17 | 16 | 10 | 2 | 5 | 3 | 13:11 | 2 | 11 | 11 | 1 | 2 | 8 | 10:29 | -19 | 5 |
| 18 არმინია | 21 | 2 | 5 | 14 | 15:39 | -24 | 11 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:16 | -6 | 7 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:23 | -18 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე 04) | 11 |
| იებოა (ჰამბურგი) | 9 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 9 |
| აილტონი (ვერდერი) | 9 |
| პრეეცი (ჰერტა) | 9 |

### XXII ტური

25 თებერვალი
ჰანზა - ფრაიბურგი
არმინია - ულმი
26 თებერვალი
ვერდერი - ვოლფსბურგი
დორტმუნდი - მიუნხენი
ჰამბურგი - ლაუტერნი
ლევერკუზენი - ჰერტა
დუისბურგი - შტუტგარტი
26 თებერვალი
ბაიერნი - აინტრახტი
უნტერჰახინგი - შალკე

## მეორე ბუნდესლიგა

XIX ტური

### ქემნიცი 0:0 ვალდჰოფი

### ნიურნბერგი 1:1 ოფენბახი

1:0 დრილერი (57), 1:1 ბუნდე (90)

### კიოლნი 2:2 ფიურტი

1:0 დონკოვი (26), 2:0 ჰაუპტმანი (40), 2:1 მაიხელბეკი (62), 2:2 შკარაბელა (81)

### ჰანოვერი 2:3 მიოხენგლადბახი

0:1 ვან ლენტი (8), 1:1 შტენდელი (35), 2:1 მილოვანოვიჩი (42), 2:2 ასანინი (74), 2:3 ვან ლენტი (90)

### ალემანია 0:1 ბოხუმი

0:1 პეშელი (90)

### მაინცი 0:0 ფორტუნა

### კარლსრუე 0:0 ბერლინი

### ზანქტ პაული 2:1 კიკერსი

1:0 კლასნიჩი (12), 1:1 კევრიჩი (45), 2:1 მარინი (66)

### კოტბუსი — ობერჰაუზენი

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 19 | 12 | 5 | 2 | 41:15 | 41 |
| ბოხუმი | 19 | 10 | 3 | 6 | 33:27 | 33 |
| კოტბუსი | 18 | 10 | 1 | 7 | 37:23 | 31 |
| ბერლინი | 19 | 7 | 9 | 3 | 26:20 | 30 |
| ნიურნბერგი | 19 | 8 | 4 | 7 | 29:34 | 28 |
| გლადბახი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:23 | 27 |
| ვალდჰოფი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:26 | 27 |
| ალემანია | 19 | 7 | 6 | 6 | 28:33 | 27 |
| ქემნიცი | 19 | 6 | 7 | 6 | 27:23 | 25 |
| ფიურტი | 19 | 5 | 10 | 4 | 14:17 | 25 |
| მაინცი | 19 | 5 | 9 | 5 | 22:23 | 24 |
| ზტ. პაული | 19 | 5 | 8 | 6 | 21:24 | 23 |
| ჰანოვერი | 19 | 6 | 4 | 9 | 27:28 | 22 |
| ობერჰაუზენი | 18 | 4 | 8 | 6 | 16:20 | 20 |
| ფორტუნა | 19 | 4 | 7 | 8 | 17:28 | 19 |
| კიკერსი | 18 | 4 | 5 | 9 | 26:35 | 17 |
| ოფენბახი | 19 | 3 | 8 | 8 | 18:31 | 17 |
| კარლსრუე | 18 | 2 | 8 | 8 | 21:27 | 14 |

## იტალია

# მამა ინძაგის ბედნიერი დღე

XXII ტური

**მილანი 2:1 ლაციო**

1:0, 2:0 ბობანი (38პ, 45პ), 2:1 ინძაგი (83)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო (ჰელვეგი 88), ალბერტინი, ამბროზინი, სერჟინიო, ბობანი (ჯუნტი 87), ბირჰოფი, შევჩენკო (ხოსე მარი 92)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო (რავანელი 87), ნეგრო, ნესტა, ფერნანდო კოუტუ, სერჟიო კონსეისაო, სენსინი (ს. ინძაგი 75), ვერონი, ნედვედი, ბოკშიჩი (რ. მანჩინი 53), სალასი
გაფრთხილება: სენსინი, ბირჰოფი, კოსტაკურტა, შამოტი
გაძევება: ამბროზინი (93)
მსაჯი: როსეტი

**რომა 4:0 ფიორენტინა**

1:0 მონტელა (6), 2:0 ნაკატა (27), 3:0, 4:0 მონტელა (80, 90)
რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, დი ფრანჩესკო, კანდელა, ნაკატა (ედნილსონი 92), დელვეკიო (პოჯი 87), მონტელა
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ფირიკანო, ადანი, ტორიჩელი, დი ლივიო (ბალბო 65), კ. ამორუზო (ოკონი 73), როსიტო (ბრესანი 59), ჰაინრიხი, ბატისტუტა, მიატოვიჩი
გაფრთხილება: ძაგო, კანდელა, რინალდი, ჰაინრიხი, ადანი, ფირიკანო
მსაჯი: რაკალბუტო

**ვენეცია 0:4 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (35პ), 0:2, 0:3, 0:4 ინძაგი (79, 92, 96)
ვენეცია: კასაცა, ბილიკა, ლუპი (ზუდანი 93), კარდონე, ბეტარინი (კარნაშალი 69), პედონე, ნგოტი, ორლანდინი, ნანამი, მანიერო, განცი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო (ტუდორი 46), იულიანო, კონტე, დავიდსი, ძამბროტა (მირკოვიჩი 90), პესოტო, ზიდანი (ესნაიდერი 89), ფ. ინძაგი, დელ პიერო
გაფრთხილება: ბილიკა, ძამბროტა, ფერარა, ზიდანი, დავიდსი
მსაჯი: პელეგრინო

**პიაჩენცა 1:3 ინტერი**

0:1 ბლანი (20), 1:1 დელი კარი (69), 1:2 ბლანი (79), 1:3 ვიერი (87)
პიაჩენცა: რომა, პოლონია, ა. ლუკარელი, დელი კარი, გაუტიერი (პიოვანი 67), საკეტი, კრისტალინი, მორონე, ლამაკი, რასტელი (დი ნაპოლი 72), რიციტელი (ტალიაფერი 78)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, ფრეზი (სამორანო 74), იუგოვიჩი, გეორგატოსი (სერენა 57), ზეედორფი, რ. ბაჯო (რეკობა 57), ვიერი
გაფრთხილება: გეორგატოსი, რიციტელი
გაძევება: დელი კარი (77)
მსაჯი: ტრენტალანჯე

**ვერონა 4:3 პარმა**

1:0 ბროკი (2), 1:1 სტანიჩი (7), 1:2 ფუზერი (21), 1:3 კრესპო (24), 2:3 მორფეო (48), 3:3 კოლუჩი (53), 4:3 მელისი (80)
ვერონა: ფრეი, დიანა, ფრანჩესკეტი, აპოლონი, ფალსინი, ბროკი, მარასკო, კოლუჩი, მორფეო, ადაილტონი (მელისი 46), კოსატო (კამარატა 71)
პარმა: ბუფონი, ტურამი, ლასისი, კანავარო, ფუზერი, დაბო (დი ვაიო 69), ვალემი, დ. ბაჯო, ბენარივო, კრესპო, სტანიჩი (ლონგო 63)
გაფრთხილება: დაბო
გაძევება: ბაჯო (52)
მსაჯი: პაპარესტა

**უდინეზე 5:1 ბარი**

1:0 ჯანიკედა (2), 1:1 მარკოლინი (8), 2:1 ფიორე (26), 3:1 სოსა (31), 4:1 სოტილი (35), 5:1 იორგენსენი (68)
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, სოტილი, ბერტოტო, ჟენო (ალბერტო 56), ჯანიკედა, ფიორე (ვან დერ ვეგტი 72), იორგენსენი, ლოკატელი, სოსა (მარჯიოტა 66), მუცი
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა (ფერარი 37), ინოჩენტი, ნექროიზი, დელ გროსო, კოლაუტო, დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი, პეროტა (კასანი 56), სპინეზი (დე გრიგორიო 62), ოსმანოვსკი
გაფრთხილება: ძანკი, ფერარი, დელ გროსო
მსაჯი: ნუჩინი

**ლეჩე 1:1 ბოლონია**

0:1 სინიორი (55), 1:1 ლუკარელი (67)
ლეჩე: კიმენტი, პივოტო, ვიალი, სავინო (სადოტი 86), ბალერი, კონტიკიო, ლიმა, პიანჯერელი (ბონომი 60), კოლონელო, მარინო (ხუარესი 75), კ. ლუკარელი
ბოლონია: პალიუკა (ორლანდონი 67), პარამატი, პაგანინი, ბია, დალ კანტო, პიაჩენტინი, ინგესონი, მაროკი, ერიბერტო (ნერვო 64), კ. ანდერსონი, სინიორი (გორეტი 89)
გაფრთხილება: ლუკარელი, მარინო, ინგესონი, ვიალი, ანდერსონი
გაძევება: პიაჩენტინი (81)
მსაჯი: კოლინა

**რეჯინა 1:1 პერუჯა**

0:1 ესპოზიტო (45), 1:1 ბარონიო (50)
რეჯინა: ტაიბი, ჯიაკეტა, ჩირილო, სტოვინი, ფოლიო (ბერნინი 70), ბრევი, ბარონიო, პირლო (პრალია 70), მორაბიტო, კალონი (კოცა 79), პოსანცინი
პერუჯა: მაცანტინი, რივალდა, კალორი, მატერაცი (რიპა 15), პილარიო, ბა, ტედესკო (კამპოლო 89), ბიზოლი, ესპოზიტო (სოლიანო 73), ალენიჩევი, მელი
გაფრთხილება: ჩირილო, რივალტა, ალენიჩევი
მსაჯი: ბრაში

**ტორინო 1:1 კალიარი**

0:1 ონილი (20პ), 1:1 ფერანტე (44)
ტორინო: ბუჩი, ბონომი, გრანდონი, გალანტე, ტრიკარიკო (დიავარა 55), ბრამბილა, იურჩიჩი, ლენტინი, სომეზე, პეკია (სილენცი 55), ფერანტე
კალიარი: სკარპი, ძებინა, ვილა, ბიანკონი (მოდესტო 78), სულჩისი (მბომა 65), ბერეტა, ონილი, დე პატრე, მაჩელარი, მაიელე, ოლივეირა
გაფრთხილება: ლენტინი, მაჩელარი, ბიანკონი, ვილა, სულჩისი
გაძევება: იურჩიჩი (56)
მსაჯი: ბოლონინო

**ხორვატი** ზვონიმირ ბობანის გატანილმა ორმა პენალტმა „მილანი" სერია A-ს ცხრილში მეორე ადგილზე გადაიყვანა — კვირა საღამოს, „სან სიროზე" იტალიის ჩემპიონმა კონკურენტ „ლაციოს" 2:1 მოუგო და ცხრილში პოზიცია გაუცვალა.

პირველ ადგილზე კვლავ „იუვენტუსია". ტურინელებმა ვენეციაში 4:0 მოიგეს. ანგარიში პირველ ტაიმში ალესანდრო დელ პიერომ (ბუნებრივი პენალტით) გახსნა, მეორე ნახევრის მიწურულს, 79-ე, 92-ე და 96-ე წუთებზე კი ფილიპო ინძაგიმ გამოიჩინა თავი.

მილანის მეორე გუნდმა, „ინტერმა", პიაჩენცაში გაიმარჯვა 3:1. სამიდან ერთი ცხადია კრისტიან ვიერიმ გაიტანა, ხოლო ორი ფრანგმა მცველმა ლორან ბლანმა, რის შედეგადაც შავლურჯები მეხუთე ადგილზე დამკვიდრდნენ.

მეოთხეზეა ფაბიო კაპელოს „რომა", რომელმაც „ფიორენტინას" 4:0 მოუგო...

... „სან სიროზე" მასპინძლები 38-ე წუთზე დაწინაურდნენ. პაოლო ნეგროსა და ოლივერ ბირჰოფის საჰაერო ორთაბრძოლის შემყურე მსაჯმა ნეგროს ბურთის ხელით შეხებაში დასდო ბრალი და პენალტი დანიშნა. თერთმეტი მეტრიდან ანგარიში ბობანმა გახსნა.

ტაიმთა გასაყარზე ბობანმა მილანელთა უპირატესობა გაზარდა. „ლაციოს" მეკარემ, ლუკა მარკეჯანიმ, ბურთისკენ დაძრულ მასიმო ამბროზინის ხელ-სარმა გამოსდო და მორიგი პენალტით დაისაჯა.

63-ე წუთზე შავ-წითლებს მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ. ეს ასე მოხდა: დემეტრიო ალბერტინიმ ნესტორ სენსინის საჯარიმოს კიდესთან აართვა ბურთი და ანდრეი შევჩენკოს გადააწოდა, მაგრამ შევჩენკოს დარტყმა ძელმა აისხლიტა.

რომაელებმა სხვაობა საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე შეამცირეს. იუვენტუსელი ჰეთთრიკოსანის, ფილიპო ინძაგის უმცროსმა ძმამ, „ლაციოში" მოთამაშე სიმონემ დაახლოებით 20 მეტრიდან ბურთი მილანელი გოლკიპერის, კრისტიან აბიატის ბადეში შეაგდო. დარჩენილ დროში სტუმრებმა, ბუნებრივია, ანგარიშის გათანაბრება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. იმავე მონაკვეთში ვერც მასპინძლებმა გაიტანეს კიდევ ერთი, არადა ჰქონდათ შესაძლებლობა: ოლივერ ბირჰოფს ორი (ბუნებრივია თავური) დარტყმა მარკეჯანიმ ოსტატურად აუღო.

მაშ ასე, „მილანმა" მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა. ერთადერთი, რამაც სან სიროელთა განწყობა შედარებით გააფუჭა მეორე ყვითელი ბარათით დასჯის გამო მასიმო ამბროზინის გაძევება გახლდათ. ეს ამბავი მსაჯის დამატებულ წუთებში მოხდა...

... განვაგრძოთ ინძაგების თემა. ვენეციაში შეხვედრა 35 წუთის დაწყებული გახლდათ, როდესაც სტუმარმა, „იუვენტუსმა" მორიგი შეტევა წამოიწყო, რაც მასპინძელი მცველის, ჯუზეპე კარდონეს მიერ უფროსი ინძაგის წაქცევით დასრულდა და ალესანდრო დელ პიერომ პენალტით ანგარიში გახსნა.

აღსანიშნავია, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში სადავეები ერთი კაცის, ზინედინ ზიდანის ხელთ იყო მოქცეული და „ბებერ ქალბატონს" რაიმე ხიფათი ერთხელაც არ უგრძვნია. მიუხედავად ამისა მეორე გოლამდე გვარიანი დრო გამოხდა: მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე კვლავ— და კვლავ ინძაგი უფროსმა [illegible] ფაბიო ბილიკას ყოყმანით ისარგებლა, ბურთი იხელთა, მეკარეს ფაბრიციო კასაცას შემოურბინა და ანგარიში გაზარდა.

სხვათაშორის, ფილიპო ინძაგის ბოლოხანს ცუდი, უგოლო თამაშისთვის ფრიად აკრიტიკებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამან ერთობ სასარგებლო შედეგი გამოიღო — ზემოთ აღწერილი მომენტიდან 13 წუთის შემდეგ მისი ერთი დარტყმული კასაცამ მოიგერია, ზედმიყოლებული მეორე კი ველარავინ.

მსაჯის წამატებულ წუთებში შეცვლაზე შესული, არგენტინელი ხუან ესნაიდერის კარგ თამაშს ინძაგიმ კიდევ ერთი შედეგიანი დარტყმით აუბა მხარი.

„ინტერის" გამარჯვება მნიშვნელოვანწილად პიაჩენცელი მცველის, დანიელე დელი კარის გაძევებამ განაპირობა. ეს 77-ე წუთზე მოხდა. „ინტერი" მანამდეც კი იგებდა — მე-20 წუთზე ლორან ბლანმა იტალიაში გადაბარგების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა — მაგრამ ზემოხსენებულმა დელი კარიმ 69-ზე გაათანაბრა.

დელი კარის გაძევებიდან ორ წუთში ბლანმა ალვარო რეკობას ჩაწოდებული კუთხური კიდევ ერთ გოლად გარდაქმნა, ხოლო მილანელთა გამარჯვებას ბოლო წერტილი კრისტიან ვიერიმ დაუსვა.

„პარმას" აგერ უკვე მეშვიდე ტურია ვერ მოუგია, ხოლო დინო ბაჯო ვერონაში 3:4 წაგებულ შეხვედრაში ახალი წლის მერე მეორედ გააძევეს. და ყველაზე საინტერესო იცით რა არის? პარმელები ამ შეხვედრას 3:1-ს იგებდნენ.

„უდინეზეს" კვლავ უეფას თასზე გასვლის პერსპექტივა გამოუჩნდა. უდინელებმა „ბარის" 5:1 სძლიეს, თან ოთხი გოლი საუცხოოდ ჩატარებულ პირველ ტაიმში შეყარეს.

ჯუზეპე სინიორიმ „ბოლონია" ლეჩეში, პირველ ტაიმში, საფირმო საჯარიმო დარტყმით დააწინაურა, მაგრამ მასპინძელმა კრისტიანო ლუკარელიმ სეზონში თავისი მე-12 გოლით ქალაქში ქულა დატოვა.

**ბაბუნა ბედია**

REUTERS მილანიდან




მილანი — ლაციო 2:1. რომაელი ხუან სებასტიან ვერონი მილანელ ზვონიმირ ბობანს უხეშად აჩერებს

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 22 | 13 | 8 | 1 | 31:10 | 21 | 47 | 11 | 9 | 2 | 0 | 19:4 | 15 | 29 | 11 | 4 | 6 | 1 | 12:6 | 6 | 18 |
| 2 | მილანი | 22 | 12 | 8 | 2 | 48:28 | 20 | 44 | 11 | 7 | 4 | 0 | 28:12 | 16 | 25 | 11 | 5 | 4 | 2 | 20:16 | 4 | 19 |
| 3 | ლაციო | 22 | 12 | 7 | 3 | 41:21 | 20 | 43 | 11 | 8 | 3 | 0 | 27:9 | 18 | 27 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 16 |
| 4 | რომა | 22 | 12 | 6 | 4 | 48:23 | 25 | 42 | 11 | 8 | 2 | 1 | 29:10 | 19 | 26 | 11 | 4 | 4 | 3 | 19:13 | 6 | 16 |
| 5 | ინტერი | 22 | 12 | 4 | 6 | 41:20 | 21 | 40 | 11 | 8 | 2 | 1 | 31:8 | 23 | 26 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:12 | -2 | 14 |
| 6 | პარმა | 22 | 9 | 7 | 6 | 34:26 | 8 | 34 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:10 | 9 | 18 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 16 |
| 7 | უდინეზე | 22 | 9 | 6 | 7 | 38:30 | 8 | 33 | 12 | 5 | 3 | 4 | 24:19 | 5 | 18 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:11 | 3 | 15 |
| 8 | ლეჩე | 22 | 7 | 7 | 8 | 22:30 | -8 | 28 | 12 | 6 | 4 | 2 | 13:8 | 5 | 22 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:22 | -13 | 6 |
| 9 | ბოლონია | 22 | 7 | 6 | 9 | 19:23 | -4 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 11:4 | 7 | 21 | 11 | 1 | 3 | 7 | 8:19 | -11 | 6 |
| 10 | ფიორენტინა | 22 | 6 | 9 | 7 | 22:28 | -6 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 15:11 | 4 | 21 | 11 | 0 | 6 | 5 | 7:17 | -10 | 6 |
| 11 | ბარი | 22 | 7 | 6 | 9 | 26:34 | -8 | 27 | 10 | 4 | 6 | 0 | 14:8 | 6 | 18 | 12 | 3 | 0 | 9 | 12:26 | -14 | 9 |
| 12 | პერუჯა | 22 | 7 | 4 | 11 | 22:40 | -18 | 25 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:19 | -5 | 14 | 12 | 3 | 2 | 7 | 8:21 | -13 | 11 |
| 13 | ტორინო | 22 | 5 | 8 | 9 | 22:30 | -8 | 23 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 12 | 11 | 2 | 5 | 4 | 10:16 | -6 | 11 |
| 14 | რეჯინა | 22 | 4 | 10 | 8 | 20:29 | -9 | 22 | 11 | 3 | 5 | 3 | 10:14 | -4 | 14 | 11 | 1 | 5 | 5 | 10:15 | -5 | 8 |
| 15 | ვერონა | 22 | 5 | 6 | 11 | 22:35 | -13 | 21 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:10 | 5 | 18 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:25 | -18 | 3 |
| 16 | ვენეცია | 22 | 5 | 4 | 13 | 20:39 | -19 | 19 | 12 | 5 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 18 | 10 | 0 | 1 | 9 | 6:25 | -19 | 1 |
| 17 | კალიარი | 22 | 2 | 10 | 10 | 20:34 | -14 | 16 | 10 | 2 | 5 | 3 | 10:11 | -1 | 11 | 12 | 0 | 5 | 7 | 10:23 | -13 | 5 |
| 18 | პიაჩენცა | 22 | 3 | 6 | 13 | 12:28 | -16 | 15 | 12 | 2 | 5 | 5 | 7:11 | -4 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:17 | -12 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 16 |
| მონტელა (რომა) | 15 |
| კრესპო (პარმა) | 14 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 12 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 12 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 12 |
| ვიერი (ინტერი) | 12 |

**XXIII ტური**

26 თებერვალი
პარმა — ფიორენტინა
ლაციო — უდინეზე
27 თებერვალი
კალიარი — მილანი
ბოლონია — პიაჩენცა
იუვენტუსი — რომა
ბარი — ტორინო
ინტერი — ვენეცია
პერუჯა — ვერონა
რეჯინა — ლეჩე

## სერია B

XXIII ტური

**ტრევიზო 3:0 სავოია**

1:0 ბორტოლუცი (30), 2:0 ტონი (60პ), 3:0 ბეგეტო (92)

**ტერნანა 1:3 კიევო**

0:1 დანა (53), 0:2 ფანტინი (61), 1:2 ბორგობელო (76), 1:3 ზაჩეტა (88)

**რავენა 0:1 სამპდორია**

0:1 კასალე (30)

**პისტოიეზე 1:0 სალერნიტანა**

1:0 კარბონე (34პ)

**ჯენოა 4:2 ჩეზენა**

0:1 კამპედელი (7), 1:1 კარპარელი (12), 1:2 ტრესოლდი (29), 2:2, 3:2, 4:2 ფრანკიოზო (33, 55, 90)

**ემპოლი 2:1 მონცა**

1:0 საუდატი (25), 2:0 კაპელინი (30), 2:1 ტოპიჩი (88)

**კოზენცა 1:1 პესკარა**

0:1 სულო (35), 1:1 დე ფრანჩესკო (56)

**ბრეშა 0:0 ფერმანა**

**ალძანო 1:3 ვიჩენცა**

1:0 მარტინელი (44), 1:1, 1:2, 1:3 კომანდინი (58პ, 67, 69)

**ნაპოლი — ატალანტა**

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 23 | 12 | 6 | 5 | 42:25 | 42 |
| სამპდორია | 23 | 10 | 9 | 4 | 23:16 | 39 |
| ატალანტა | 22 | 11 | 5 | 6 | 30:20 | 38 |
| ბრეშა | 23 | 9 | 9 | 5 | 29:20 | 36 |
| ნაპოლი | 22 | 8 | 9 | 5 | 29:24 | 33 |
| სალერნიტანა | 23 | 8 | 8 | 7 | 32:30 | 32 |
| ტრევიზო | 23 | 9 | 4 | 10 | 29:27 | 31 |
| კიევო | 23 | 8 | 7 | 8 | 28:28 | 31 |
| ალძანო | 23 | 8 | 7 | 8 | 22:27 | 31 |
| რავენა | 23 | 7 | 9 | 7 | 23:22 | 30 |
| კოზენცა | 23 | 6 | 12 | 5 | 20:19 | 30 |
| ჩეზენა | 23 | 6 | 11 | 6 | 31:28 | 29 |
| პესკარა | 23 | 5 | 13 | 5 | 31:27 | 28 |
| ემპოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 18:29 | 28 |
| ჯენოა | 23 | 7 | 6 | 10 | 28:28 | 27 |
| მონცა | 23 | 4 | 14 | 5 | 23:25 | 26 |
| ტერნანა | 23 | 5 | 11 | 7 | 23:30 | 26 |
| პისტოიეზე | 23 | 7 | 7 | 9 | 18:24 | 24 |
| ფერმანა | 23 | 4 | 8 | 11 | 21:33 | 20 |
| სავოია | 23 | 3 | 8 | 12 | 18:36 | 17 |

## სერია C1/A

გამოტოვებული მატჩი. ბრეშელო — ჩიტადელა 20

## ესპანეთი

XXV ტური

### ვალენსია 1:1 რეალი

1:0 ილიე (36), 1:1 გუტი (58)
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, მიია, კილი გონსალესი (ანგულო 59), ხერარდი, ფარინოსი, ხერარდო, ილიე, კლაუდიო ლოპესი (ხუან სანჩესი 89)
რეალი: კასილიასი, იერო, დორადო (მეკა 45), ივან კამპო, კარანკა, მიჩელ სალგადო, ივან ელგერა, გუტი, ჯერემი, მაკმანამანი (აგანსო 45), ზარატე (მანუელ სანჩისი 82)
გაფრთხილება: დორადო, ხერარდი, გუტი, კილო გონსალესი
მსაჯი: ლონჩი ანდრეუ

### ბარსელონა 4:0 ვალიადოლიდი

1:0 დე ბური (34), 2:0 კლუივერტი (44), 3:0, 4:0 რივალდო (50, 69)
ბარსელონა: არნაუ, ბოგარდი, აბელარდო, რაიციგერი, პუიოლი, რ. დე ბური, ლუის ენრიკე (გაბრი 58), ლიტმანენი (ხავი 84), ფიგუ, რივალდო, კლუივერტი (დანი 72)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, პაინცე, პენია, სანტამარია, ტორეს გომესი, ვისკაინო (ეუსებიო 51), შოჯიჯო, ხავი ხიმენესი, ჩემა (მარკესი 71), ვიქტორი
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, ტორეს გომესი, დე ბური
მსაჯი: პერეს ლასა

### დეპორტივო 2:0 ბილბაო

1:0 ფლავიო კონსეისაო (43), 2:0 პაჩი ფერეირა (59 ს.კ.)
დეპორტივო: სონგო, ნაიბეტი, რომერო, დონატო, მანუელ პაბლო, ფრანი (ტურუ ფლორესი 65), ჯალმინია (პაულეტა 81), მაურო სილვა, ფლავიო კონსეისაო, მაკაი, ვიქტორ სანჩესი (ხაიმე 84)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ლარასაბალი, პაჩი ფერეირა, კარლოს გარსია, ტიკო (იმასი 52), ალკისა, ურუტია, ლაკრუსი, ესკერო (ხოსე მარი 65), ურსაისი (სივორი 69), ხ. ეჩებერია
გაფრთხილება: ალკისა, პაჩი ფერეირა, ტიკო, ურუტია, ნაიბეკი, ლარასაბალი, იმასი
გაძევება: ალკისა (46)
მსაჯი: ხაპონ სევილია

### სოსიედადი 2:1 სარაგოსა

1:0 არამბურუ (7), 1:1 გარიტანო (84პ), 2:1 ლორენი (90)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ფუენტესი, გურუჩაგა, ლორენი, დე პედრო (გომესი 80), ხოხლოვი, არამბურუ, ხ. გერერო (პიკაბეა 70), დე პაულა (ბონილია 61), სა პინტუ
სარაგოსა: ხუანმი, ლანა, სუნდგრენი, პაკო ხემესი, კუარტერო, მარკოს ვალესი, რადიმოვი (ხუანელე 45), ხოსე იგნასიო (გარიტანო 48), აკუნია, მილოშევიჩი, ველისკა (ჟამელი 73)
გაფრთხილება: პიკაბეა, აკუნია, რადიმოვი, არანსაბალი, ხუანელე
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### ატლეტიკო 1:1 ესპანიოლი

1:0 ჰასელბაინკი (41), 1:1 ტამუდო (54)
ატლეტიკო: მოლინა, გამარა, სანტი, კაპდევილა, ს. აიალა, ვალერონი (გასპარი 49), სოლარი (ბეიბლი 71), უგო ლეალი, ბარახა, ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, ნანდო, კრისტობალი, არტეაგა, გალკა, სერხიო, მაურო ნავასი, ტამუდო, ბენიტესი (დე ლუკასი 23), ველამასანი (მანელი 68)
გაფრთხილება: ნანდო, მოლინა, აიალა, ტამუდო, გალკა, ბარახა, ჰასელბაინკი, გასპარი
გაძევება: აიალა (47)
მსაჯი: პრადოს გარსია

### მალიორკა 1:0 სელტა

1:0 დიეგო ტრისტანი (93)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, არმანდო (ნოვო 80), სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, სერისუელა (ეტოო 65), სტანკოვიჩი (კარერასი 73), ჩიჩი სოლერი, ენგონგა, დიეგო ტრისტანი
სელტა: პინტო, სერხიო, ჯოროვიჩი, კასერესი, ჰუგენდორპი (ბელმადი 73), ველასკო, სელადესი, მოსტოვოი, კარპინი (მაზინიო 87), მაკელელე, გუსტავო ლოპესი (ტომასი 80)
გაფრთხილება: ტომასი, დიეგო ტრისტანი, კარპინი, მოსტოვოი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### რაიო ვალეკანო 1:2 რასინგი

1:0 მიჩელ I (37), 1:1 ისმაელი (40), 1:2 არსენო (88)
რაიო ვალეკანო: კელერი, ლორენსი, პაბლო სანსი (კანაბალი 60), ჰელდერი, ალკასარი (ფერონი 74), კლოტე (ვან დენ ბერგი 48), ერნანდესი, კოტა, ლუის სემბრანოსი, მიჩელ I, მიჩელ II
რასინგი: ლემენსი, ნერუ, სიეტესი, ჩემა, მელბერგი, ვივარ დორადო (არსენო 72), კოლსა, ისმაელი, რუშფელტი, მუნიტისი, ამავისკა (შუსტიკოვი 95)
გაფრთხილება: ალკასარი, მუნიტისი, ლორენცი
გაძევება: ვივარ დორადო (70)
მსაჯი: ფერნანდეს მარინო

### მალაგა 3:1 ნუმანსია

1:0 კატანია (14), 1:1 რივერა (41), 2:1 დე ლოს სანტოსი (73), 3:1 ედგარი (74)
მალაგა: კონტრერასი, ფერნანდო სანსი, ვალკარსე, ბრავო, ლარაინსარი, როხასი (სანდრო 63), დე ლოს სანტოსი, მოვილია (რუანო 63), ლუკე (როტეტა 85), კატანია, ედგარი
ნუმანსია: ნუნიესი, სორია, მუნისი, ხაუმე (ინიაკი 85), პაჩეტა, კასტანიო, ნაგორე, რივერა, მუნიოსი, ბარბუ, ოხედა (დელგადო 78)
გაფრთხილება: ლარაინსარი, მუნისი, რუანო, . ოხედა
გაძევება: რუანო (80)
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ოვიედო 1:1 ბეტისი

0:1 ალფონსო (19), 1:1 რუბენი (82)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (დუბოვსკი 60), ბორისი, ონოპკო, დანჟუ, რუბენი, ივან ანია (გონსალესი 46), პომპეი, პაულო ბენტუ, ესკურსა (ლოსადა 52), დელი ვალდესი
ბეტისი: ტონი პრატსი, კარპანი (ბენჟამინი 65), მერინო, ვიდაკოვიჩი, ბორნესი, იტო, ფილიპესკუ, კროსა, ოლი (გალვესი 83), ალფონსო, დენილსონი (ლუის ფერნანდესი 56)
გაფრთხილება: ესკურსა, ბენჟამინი, ბორნესი, პაულო ბენტუ, ონოპკო, რაბარივონი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### სევილია 2:2 ალავესი

0:1 კოდრო (27), 1:1 ხუან კარლოსი (42), 2:1 ზალაიეტა (75), 2:2 ასტუდილიო (90)
სევილია: ოლსენი, ნანდო (ხესული 42), მარჩენა, პიბიჩი, პრიეტო, ცარტასი, ანხელი, კევედო, ზალაიეტა, ხუან კარლოსი (ლორენი 67), ვიქტორი (მარსელო ოტერო 57)
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, ტელიესი, კარმონა, კონტრა, ნან რივერა, იბონ ბეგონია (მაგნო 73), პაბლო (ასტუდილიო 46), დესიო, ასკოიტია (ეგენი 50), კოდრო
გაფრთხილება: პიბიჩი, კოდრო, იბონ ბეგონია, კევედო, პრიეტო
გაძევება: ნან რივერა (29)
მსაჯი: ბრიტო არსეო

# ადგილთცვლა და დიდი ბრძოლის მოლოდინი



REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — რეალი 1:1. ვალენსიელი ხერარდო ლოპესი (მარცხნივ) და მადრიდელი ხავიერ დორადო ბურთისთვის იბრძვიან

დაიძაბა, მაგრამ რა დაიძაბა. გათამაშების ცხრილში გუნდების მდგომარეობაზე მოგახსენებთ. კარგიც არის, ჩემპიონატს ინტერესი მიეცა. აბა, ის არის საქმე, „რეალი“ და „ბარსელონა“ წინ კარგა მანძილით რომ გაიჭრებიან და ჩემპიონის ვინაობას მათი ორთაბრძოლები არკვევს. თუმც ერთიცაა, „რეალი“ — „ბარსელონას“ შეხვედრები პრიმერა დივიზიონის მშვენებაა და განსაკუთრებული ხიბლი აქვს. რამდენიმე დღეც და ამ თამაშს ვიხილავთ, იქამდე კი 25-ე ტურს მივუბრუნდეთ.

ლიდერმა „დეპორტივომ“ როგორც იქნა, იგრძნო, რომ უახლოესი მდევრები სახიფათოდ მიუახლოვდნენ და გამოფხიზლდა. გამოფხიზლებას კი „ბილბაოსთან“ მოგება მოჰყვა. მატჩი ბასკთა უპირატესობით დაიწყო. ჯერ იყო და ხოსება ეჩებერიამ შეუტია სახიფათოდ, შემდეგ ისმაილ ურსაისმა მოატყუა მასპინძელთა სამი მცველი, საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ კარს ააცილა. ტაიმის მიწურულს „დეპორტივოს“ რიგიც დადგა. ბრაზილიელმა ფლავიო კონსეისაომ 25 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა და მეკარე ეჩებერია სახტად დატოვა.

შესვენების შემდეგ ერთი წუთი იყო გასული, როდესაც ბილბაოელმა ბიტორ ალკისამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი დატოვა. ამან გალისიელებს შეტევების გამძაფრების საშუალება მისცა. 59-ე წუთზე მასპინძლებმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდეს. პაჩი ფერეირამ ყველას დაასწრო და კუთხურზე მოგერიება სცადა. ვერ გათვალა — ბურთი ეჩებერიას კარში აღმოჩნდა და ბასკმა ფეხბურთელმა ავტოგოლი მიითვალა. ამის შემდეგ სტუმრები მიხვდნენ, რომ თამაშს ველარ გადაარჩენდნენ, არც ლაკორუნიელებს გამოუდვიათ თავი და შეხვედრა ამ ანგარიშიც — 2:0 დასრულდა.

მოგეხსენებათ, „დეპორტივო“ „ბილბაოს“ მატჩი სხვებზე ადრე გაიმართა და შედეგიც ადრევე იყო ცნობილი. ამიტომ ლიდერთან ქულათა სხვაობის შესანარჩუნებლად მდევრებს (უპირველესად „სარაგოსას“, „რეალს“ და „ბარსელონას“) მოგება სჭირდებოდათ. „ბარსელონამ“ ეს მოახერხა, თანაც ადვილად, „რეალმა“ და „სარაგოსამ“ — ვერა.

„ვალიადოლიდთან“ მატჩის წინ ლუის ვან გაალს უთქვამს, ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ჩვენს ნამდვილ შესაძლებლობებს ვაჩვენებთო. ახლა მწვრთნელის სიტყვები, „ბარსელონას“ „უემბლიზე“ „არსენალის“ ძლევის შემდეგ ასე კარგად არ უთამაშია — ასეთია სპეციალისტთა აზრი. ჩინებულად გაისარჯა რონალდ დე ბური, ვისაც გამთამაშებლის ფუნქცია დაეკისრა და პირველი გოლიც მანვე შეაგდო.

დე ბურმა უინსტონ ბოგარდისგან მიიღო პასი და მეტოქის საჯარიმოს მისადგომიდან ძლიერად დაარტყა. ათიოდე წუთიც და „ვალიადოლიდის“ კარში მეორეც გავიდა. ამჯერად ლიტმანენ — კლუივერტის წყვილმა ისახელა თავი. ფინელმა კარგი პასი გადასცა და ჰოლანდიელს ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია.

ტაიმი ასე დასრულდა. კატალონიელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, დასაზუსტებელი მხოლოდ ანგარიში იყო. მეორე ტაიმში რივალდომ გაიბრწყინა. 50-ე წუთზე ბოგარდის ჩაწოდებული ბურთი ბრაზილიელმა მკერდზე მიიღო, მუხლით გაისწორა და ცაციათი უძლიერესად დაარტყა. ანგარიში 3:0 გახდა. შემდეგ რივალდომ მეოთხეც გაიტანა. საჯარიმოს კუთხესთან მან კლუივერტის პასი მიიღო და ბურთი მეკარე სესარისგან შორეულ კუთხეში გაგზავნა.

მადრიდის „რეალი“ ვალენსიას ეწვია. დედაქალაქელებს მძიმე გამოცდა ჰქონდათ ჩასაბარებელი. ბოლო რვა დღეში ოთხი მატჩი — ხუმრობა არ არის. მით უმეტეს, „რეალს“ რაული და მორიენტესი აკლდა.

პირველი გოლი რუმინელმა ადრიან ილიემ შეაგდო. ამ მომენტში კლაუდიო ლოპესსაც შეეძლო დარტყმა, მაგრამ არგენტინელმა ეს საქმე ილიეს მიანდო და მანაც თანაგუნდელი არ დაალალატა. ეს შეხვედრის 36-ე წუთზე მოხდა. ანგარიშის გახსნა ორივე გუნდს მანამდეც შეეძლო. ვალენსიელთაგან იმავე კლაუდიო ლოპესმა ვერ იხეირა, ხოლო მადრიდელთაგან სალგადოსგან მიღებული ბურთი როლანდო ზარატემ ძელს გაარტყა. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში ზარატეს შეტევის გარდა სტუმრებს სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ. „რეალმა“ 58-ე წუთზე გათანაბრება მაინც შეძლო. კამერუნის ნაკრებში ვალმოხდილმა ჯერემი ნჯიტაპმა და ხოსე მარია გუტიერესმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რასაც გუტის გოლი მოჰყვა.

შეიძლება ითქვას, საინტერესო ტური იყო, თუმც მომდევნოსთან ახლოსაც ვერ მივა — 26 თებერვალს ხომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდი ბრძოლა გველის...

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 25 | 14 | 4 | 7 | 44:31 | 13 | 46 | 12 | 10 | 0 | 2 | 30:14 | 16 | 30 | 13 | 4 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 16 |
| 2 | ბარსელონა | 25 | 12 | 5 | 8 | 48:31 | 17 | 41 | 12 | 9 | 1 | 2 | 29:10 | 19 | 28 | 13 | 3 | 4 | 6 | 19:21 | -2 | 13 |
| 3 | სარაგოსა | 25 | 10 | 10 | 5 | 42:27 | 15 | 40 | 13 | 8 | 5 | 0 | 29:12 | 17 | 29 | 12 | 2 | 5 | 5 | 13:15 | -2 | 11 |
| 4 | რეალი | 25 | 10 | 10 | 5 | 41:38 | 3 | 40 | 12 | 6 | 3 | 3 | 22:20 | 2 | 21 | 13 | 4 | 7 | 2 | 19:18 | 1 | 19 |
| 5 | ალავესი | 25 | 11 | 6 | 8 | 29:27 | 2 | 39 | 13 | 7 | 2 | 4 | 16:13 | 3 | 23 | 12 | 4 | 4 | 4 | 13:14 | -1 | 16 |
| 6 | სელტა | 25 | 12 | 2 | 11 | 35:31 | 4 | 38 | 13 | 8 | 1 | 4 | 25:17 | 8 | 25 | 12 | 4 | 1 | 7 | 10:14 | -4 | 13 |
| 7 | მალიორკა | 25 | 10 | 6 | 9 | 33:32 | 1 | 36 | 13 | 9 | 3 | 1 | 23:12 | 11 | 30 | 12 | 1 | 3 | 8 | 10:20 | -10 | 6 |
| 8 | ბილბაო | 25 | 9 | 9 | 7 | 35:37 | -2 | 36 | 12 | 6 | 5 | 1 | 20:14 | 6 | 23 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:23 | -8 | 13 |
| 9 | ვალენსია | 25 | 9 | 8 | 8 | 33:26 | 7 | 35 | 12 | 6 | 3 | 3 | 21:11 | 10 | 21 | 13 | 3 | 5 | 5 | 12:15 | -3 | 14 |
| 10 | რაიო ვალეკანო | 25 | 10 | 4 | 11 | 34:35 | -1 | 34 | 13 | 6 | 2 | 5 | 20:17 | 3 | 20 | 12 | 4 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 14 |
| 11 | ნუმანსია | 25 | 9 | 7 | 9 | 34:39 | -5 | 34 | 12 | 7 | 5 | 0 | 20:9 | 11 | 26 | 13 | 2 | 2 | 9 | 14:30 | -16 | 8 |
| 12 | რასინგი | 25 | 8 | 8 | 9 | 39:36 | 3 | 32 | 13 | 3 | 8 | 2 | 22:18 | 4 | 17 | 12 | 5 | 0 | 7 | 17:18 | -1 | 15 |
| 13 | მალაგა | 25 | 8 | 8 | 9 | 36:34 | 2 | 32 | 12 | 4 | 5 | 3 | 18:11 | 7 | 17 | 13 | 4 | 3 | 6 | 18:23 | -5 | 15 |
| 14 | ბეტისი | 25 | 9 | 4 | 12 | 24:39 | -15 | 31 | 13 | 8 | 2 | 3 | 15:11 | 4 | 26 | 12 | 1 | 2 | 9 | 9:28 | -19 | 5 |
| 15 | ატლეტიკო | 25 | 8 | 6 | 11 | 38:40 | -2 | 30 | 13 | 5 | 4 | 4 | 21:16 | 5 | 19 | 12 | 3 | 2 | 7 | 17:24 | -7 | 11 |
| 16 | ესპანიოლი | 25 | 7 | 8 | 10 | 35:37 | -2 | 29 | 13 | 4 | 6 | 3 | 19:17 | 2 | 18 | 12 | 3 | 2 | 7 | 16:20 | -4 | 11 |
| 17 | ვალიადოლიდი | 25 | 7 | 8 | 10 | 22:30 | -8 | 29 | 12 | 6 | 2 | 4 | 17:13 | 4 | 20 | 13 | 1 | 6 | 6 | 5:17 | -12 | 9 |
| 18 | სოსიედადი | 25 | 6 | 10 | 9 | 28:34 | -6 | 28 | 13 | 6 | 4 | 3 | 19:15 | 4 | 22 | 12 | 0 | 6 | 6 | 9:19 | -10 | 6 |
| 19 | ოვიედო | 25 | 7 | 7 | 11 | 25:39 | -14 | 28 | 12 | 7 | 3 | 2 | 14:7 | 7 | 24 | 13 | 0 | 4 | 9 | 11:32 | -21 | 4 |
| 20 | სევილია | 25 | 4 | 10 | 11 | 28:40 | -12 | 22 | 12 | 4 | 6 | 2 | 15:11 | 4 | 18 | 13 | 0 | 4 | 9 | 13:29 | -16 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 18 |
| კატანია (მალაგა) | 16 |

### XXVI ტური

26 თებერვალი
რეალი — ბარსელონა
27 თებერვალი
სარაგოსა — სელტა
რასინგი — სოსიედადი
ესპანიოლი — რაიო
ალავესი — ატლეტიკო
ბეტისი — სევილია
ვალიადოლიდი — ოვიედო
ნუმანსია — ვალენსია
ბილბაო — მალაგა
დეპორტივო — მალიორკა

## მეორე დივიზიონი

XXVII ტური

### ხეტაფე 0:1 ლევანტე

0:1 ტომასი (85)

### ლას პალმასი 1:1 ატლეტიკო B

1:0 ელოი (18), 1:1 ლუკე (95)

### ბადახოსი 0:2 ტენერიფე

0:1 მისტა (64), 0:2 ბარატა (92)

### ესტრემადურა 1:1 ელჩე

1:0 დურე (1), 1:1 დანი ბორეგუერო (39)

### ეიბარი 2:1 ვილიარეალი

0:1 კანია (34), 1:1 ბერმეხო (45), 2:1 ურაკა (87)

### სალამანკა 0:1 უელვა

0:1 სოტო (69)

### ლეიდა 1:0 ტოლედო

1:0 ხავი პენია (16)

### ლოგრონიესი 1:2 მერიდა

0:1 სენა (29), 0:2 სესარი (47), 1:2 რიანო (67)

### კორდობა 2:1 ლეგანესი

1:0 ალბერტო სააევედრა (64), 1:1 ხოსე მარი (51), 2:1 ხუანიტო (90)

### კომპოსტელა 1:2 ოსასუნა

0:1, 0:2 ივან როსადო (18, 28), 1:2 ხუან მანუელი (78)

### ალბასეტე 1:2 სპორტინგი

0:1 ლედიახოვი (53), 1:1 ბასტი (51), 1:2 მინგო (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 27 | 14 | 7 | 6 | 42:27 | 49 |
| ლას პალმასი | 27 | 12 | 8 | 7 | 39:28 | 44 |
| ლევანტე | 27 | 12 | 8 | 7 | 41:36 | 44 |
| ესტრემადურა | 27 | 12 | 8 | 7 | 30:26 | 44 |
| სპორტინგი | 27 | 13 | 4 | 10 | 38:33 | 43 |
| ვილიარეალი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:30 | 40 |
| ოსასუნა | 27 | 12 | 4 | 11 | 27:25 | 40 |
| ლეიდა | 27 | 11 | 6 | 10 | 45:38 | 39 |
| ბადახოსი | 27 | 8 | 15 | 4 | 26:21 | 39 |
| ეიბარი | 27 | 10 | 8 | 9 | 36:38 | 38 |
| ტენერიფე | 27 | 10 | 7 | 10 | 35:35 | 37 |
| კორდობა | 27 | 9 | 9 | 9 | 32:30 | 36 |
| მერიდა | 27 | 9 | 8 | 10 | 27:30 | 35 |
| ატლეტიკო B | 27 | 9 | 7 | 11 | 32:36 | 34 |
| ელჩე | 27 | 7 | 12 | 8 | 31:36 | 33 |
| ალბასეტე | 27 | 8 | 9 | 10 | 29:36 | 33 |
| კომპოსტელა | 27 | 7 | 11 | 9 | 33:36 | 32 |
| ლეგანესი | 27 | 9 | 8 | 10 | 32:36 | 32 |
| ხეტაფე | 27 | 8 | 6 | 13 | 24:30 | 30 |
| ლოგრონიესი | 27 | 7 | 8 | 12 | 38:41 | 29 |
| უელვა | 27 | 8 | 5 | 14 | 26:35 | 29 |
| ტოლედო | 27 | 5 | 7 | 15 | 18:37 | 22 |

## პორტუგალია

XXII ტური

**ბელენენსეში 0:3 ბრაგა**

0:1 ბორგესი (50), 0:2, 0:3 ჟოზე ბაროსო (57, 76)

**სანტა კლარა 1:0 რიუ ავე**

1:0 ჟორჟე (31)

**სპორტინგი 1:1 ჟილ ვისენტე**

0:1 კარლიტუში (23), 1:1 ალბერტო აკოსტა (56)

**კამპომაიორენსე 1:0 პორტუ**

1:0 ლეალსონი (20)

**ბენფიკა 6:2 ფარენსე**

0:1 პაულო ფერეირა (5), 0:2 ჰასანი (8), 1:2, 2:2 მანიჩე (24, 39), 3:2 ნუნუ გომეში (44), 4:2 პობორსკი (59), 5:2 ნუნუ გომეში (69), 6:2 მანიჩე (90)

**სალგეირუში 1:0 სეტუბალი**

1:0 კარლოს ფერეირა (77)

**მარიტიმუ 2:2 ამადორა**

0:1, 0:2 გაუჩო (16, 23), 1:2 ტოდტლი (41), 2:2 ჟორჟე სუარეში (87)

**ლეირია 3:0 ალვერკა**

1:0 დინდა (12), 2:0, 3:0 დერლეი (65, 90)

**გიმარაეში 2:0 ბოავიშტა**

1:0 პრეტო (29), 2:0 რივა სილვა (88)

„პორტუს" წაგება, „სპორტინგის" ფრე, „ბენფიკას" მოგება — ასე გამოირჩა მორიგი, 22-ე ტური, რამაც ჩემპიონატს დამატებითი ინტრიგა შესძინა. ახლა უკვე ძნელი გამოსაცნობია, ვინ არის პორტუგალიაში საუკეთესო. ერთი კი თითქმის ნათელია, ჩემპიონობისთვის ეს სამი გუნდი იბრძოლებს, რადგან მეოთხეადგილოსანი „გიმარაეში" ლიდერ სამეულს მთელი 7 ქულით ჩამორჩება.

რა დაემართა „პორტუს"? გუნდი ზედიზედ მეორე შეხვედრას ვერ იგებს, კარს კი ჩემპიონთა ლიგა მოადგა, არადა, ძალების ხარჯვა ხომ ამ ტურნირშიც მოუწევს. ასე რომ, პორტუელებს ლიდერობა შეიძლება თვალსა და ხელს შუა გამოეცალოთ.

მათი ბედი, რომ „სპორტინგმა" შინ „ჟილ ვისენტეს" ვერ მოუგო და ფრეს დასჯერდა, თორემ ლისაბონელები გაუსწრებდნენ. ახლა კი ორივე გუნდი 48-48 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფს, თუმცა ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით პირველ პოზიციაზე კვლავ „პორტუ" დარჩა.

ჩემპიონობის კიდევ ერთი მაძიებელი „ბენფიკა" ლიდერთა დუეტს უკვე წამოეწია. ლისაბონელებმა მორიგი ტურის მატჩი კვირას გამართეს, კონკურენტთა შედეგები, რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდნენ, ამიტომ „ფარენსეს" დამარცხება ორმაგად მოინდომეს. გამოუვიდათ კიდეც, რადგან მეტოქე დიდი ანგარიშით, 6:2 გაანადგურეს.

თუმცა მატჩის პირველი 8 წუთის შემყურე „ბენფიკას" გულშემატკივარს სიხარულის საბაბი ნამდვილად არ ჰქონდა. მე-5 და მე-8 წუთებზე ლისაბონელებმა ორი გოლი გაუშვეს და თავი ერთობ რთულ მდგომარეობაში ჩაიგდეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფარ-ხმალი არ დაყარეს და დარჩენილ 80 წუთში მეტოქეს ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს. „ბენფიკა", როგორც მოგახსენეთ, „პორტუსა" და „სპორტინგს" წამოეწია და მათგან მხოლოდ ქულაღა აშორებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 14 | 6 | 2 | 44:12 | 48 |
| სპორტინგი | 22 | 14 | 6 | 2 | 38:18 | 48 |
| ბენფიკა | 22 | 14 | 5 | 3 | 35:16 | 47 |
| გიმარაეში | 22 | 12 | 4 | 6 | 35:22 | 40 |
| მარიტიმუ | 22 | 9 | 7 | 6 | 25:18 | 34 |
| ბოავიშტა | 22 | 10 | 4 | 8 | 22:19 | 34 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 8 | 7 | 7 | 26:23 | 31 |
| ბელენენსეში | 22 | 6 | 11 | 5 | 24:21 | 29 |
| ამადორა | 22 | 6 | 10 | 6 | 23:23 | 28 |
| ბრაგა | 22 | 8 | 3 | 11 | 29:30 | 27 |
| ალვერკა | 22 | 7 | 5 | 10 | 23:31 | 26 |
| სალგეირუში | 22 | 7 | 4 | 11 | 17:26 | 25 |
| კამპომაიორენსე | 22 | 6 | 6 | 10 | 19:30 | 24 |
| ლეირია | 22 | 5 | 8 | 9 | 21:25 | 23 |
| რიუ ავე | 22 | 5 | 7 | 10 | 24:33 | 22 |
| სანტა კლარა | 22 | 4 | 8 | 10 | 22:31 | 20 |
| ფარენსე | 22 | 4 | 8 | 10 | 18:43 | 20 |
| სეტუბალი | 22 | 2 | 5 | 15 | 14:38 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჟარდელი (პორტუ) | 27 |
| ალბერტო აკოსტა (სპორტინგი) | 14 |
| გაუჩო (ამადორა) | 13 |
| ნუნუ გომეში (ბანფიკა) | 13 |

## ჰოლანდია

XXII ტური

**სიტარდი 2:2 ტვენტე**

0:1 ვენეგოორ-ჰესელინკი (2), 1:1 ამოა (12), 2:1 გერიტსენი (25), 2:2 ტერ ავესტი (90)

**დენ ბოსხი 2:2 როდა**

0:1 ზაფარინი (25), 1:1 უნეკენი (68), 2:1 ვან დერ ჰორნი (75), 2:2 პეეტერსი (89)

**მაასტრიხტი 2:2 სპარტა**

0:1 ნილსენი (43), 0:2 მარუსი (61), 1:2 ტაივუ (65), 2:2 ლუის ფირმინო (85)

**ნაიმეგენი 3:1 ვალვაიკი**

1:0 პოტუიზენი (28), 2:0 კონინგი (54), 2:1 ვან დერ ლეგტი (60), 3:1 რენფურნი (90)

**პსვ 3:2 ვიტესი**

1:0 ვან ნისტელროი (3), 1:1 ვან დენ ბრომი (18), 2:1 ბოუმა (30), 3:1 ბრუკინგი (72), 3:2 ზონგო (89)

**უტრეხტი 2:2 ჰერენვენი**

0:1 ტალანი (9), 1:1 რობიმონდი (24), 1:2 ტალანი (53), 2:2 რობიმონდი (67)

**აიაქსი 2:1 გრააფსხაპი**

0:1 ვაისანენი (4), 1:1 მახლასი (7), 2:1 დანი (23)

**ტილბურგი 2:1 ფეიენოორდი**

0:1 ბოსველტი (59), 1:1 აბდელაუი (70), 2:1 პრომაიონი (82)

ლიდერმა პსვ-მ მორიგ ტურში „ვიტესს" უმასპინძლა და 3:2 დაამარცხა. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რუდ ვან ნისტელროიმ ამჯერადაც გამოიჩინა თავი, როდესაც მატჩის დებიუტშივე, მესამე წუთზე დააწინაურა პსვ, მიმდინარე სეზონში კი თავისი 28-ე გოლი გაიტანა. იგი საუკეთესო მეგოლეთა დავაშიც ერთპიროვნულად ლიდერობს, უახლოეს მდევარს, ვიტესელ პიერ ვან ჰოიდონკს მთელი 8 ბურთით უსწრებს. ამ უკანასკნელს გასულ ტურში გოლი არ გაუტანია. სამაგიეროდ, იმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ჯონ ვან დენ ბრომმა, რომელმაც მე-18 წუთზე ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მცირე ხნით. რადგან 30-ე წუთზე ეინდჰოვენელები კვლავ დაწინაურდნენ, ამჯერად გოლი ვილფრედ ბოუმამ მიითვალა. 72-ე წუთზე „ვიტესმა" მესამე ბურთიც გაუშვა და საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. 89-ზე მამადუ ზონგომ ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ამან საქმეს ველარ უშველა და „ვიტესმა" წააგო, პსვ-მ კი მორიგი სამი ქულა მოიპოვა, რითაც ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა.

„ვიტესი" ამჟამად კრიზისს განიცდის. კლუბის თავმჯდომარე კარელ ალბერსი დირექტორთა საბჭოსთან შეუთანხმებლობის გამო თანამდებობიდან გადადგა. გასაკვირი არ არის, რომ ამან გუნდის თამაშის ხარისხზეც იმოქმედა.



ტილბურგი — ფეიენოორდი 2:1. ტილბურგელი სანუ როტერდამელ რზასას (№3) გაურბის

ჩემპიონობისთვის დავაში პსვ-ს მთავარი კონკურენტები „აიაქსი" და „ფეიენოორდი" არიან. მორიგ ტურში მათგან გამარჯვებას მხოლოდ „აიაქსმა" მიაღწია, რომელმაც შინ „გრააფსხაპი" დაამარცხა 2:1.

თუმცა მატჩი ამსტერდამელთათვის უიღბლოდ დაიწყო. უკვე მე-4 წუთზე მათ სწრაფი გოლი გაუშვეს. ვილე ვაისანენმა ზიკო ტუმბას ეფექტური გარღვევის შემდეგ ჩაწოდებულ ბურთს პოზიცია ზუსტად შეურჩია და ახლო მანძილიდან „აიაქსის" კარის ბადეში გაახვია, რითაც „ამსტერდამ არენაზე" შეკრებილი 45 ათასი გულშემატკივარი ერთობ დაალონა. თუმცა ამან დიდხანს არ გასტანა. ბერძენ ნიკოს მახლასს ანგარიშის გასათანაბრებლად მხოლოდ 3 წუთი დასჭირდა. 23-ე წუთზე კი მახლასი-დანის ლამაზ კომბინაციას პორტუგალიელის მიერ გატანილი მეორე გოლიც მოჰყვა. „აიაქსი" დაწინაურდა.

ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა და „აიაქსმაც" მეტად საჭირო 3 ქულა მოიპოვა. პსვ-სგან მას კვლავ 7 ქულა აშორებს, თუმცა ლიდერმა მატჩით მეტი ჩაატარა.

ტური უიღბლო გამოდგა „ფეიენოორდისთვის", რომელიც სტუმრად „ტილბურგთან" დამარცხდა 1:2. თუმცა 59-ე წუთზე სწორედ ისინი დაწინაურდნენ. გოლი პოლ ბოსველტმა გაიტანა, მაგრამ სტუმრებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და დარჩენილ დროში ორი უპასუხო ბურთი გაუშვეს, შედეგად კი საკმაოდ პრინციპული ქულები დაკარგეს.

როტერდამელები ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფებიან და პსვ-ს მთელი 10 ქულით ჩამორჩებიან, თუმც „აიაქსის" მსგავსად ერთი მატჩი მათაც მარაგში აქვთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 23 | 17 | 2 | 4 | 71:19 | 53 |
| აიაქსი | 22 | 14 | 4 | 4 | 56:32 | 46 |
| ფეიენოორდი | 22 | 12 | 7 | 3 | 43:26 | 43 |
| ჰერენვენი | 22 | 13 | 3 | 6 | 41:25 | 42 |
| ტვენტე | 22 | 11 | 9 | 2 | 38:21 | 42 |
| ვიტესი | 23 | 11 | 7 | 5 | 45:35 | 40 |
| ალკმარი | 22 | 12 | 2 | 8 | 43:36 | 38 |
| ტილბურგი | 22 | 11 | 4 | 7 | 37:39 | 37 |
| როდა | 21 | 10 | 4 | 7 | 35:29 | 34 |
| ვალვაიკი | 22 | 10 | 2 | 10 | 32:42 | 32 |
| უტრეხტი | 22 | 9 | 2 | 11 | 36:41 | 29 |
| სპარტა | 22 | 7 | 3 | 12 | 31:46 | 24 |
| გრააფსხაპი | 23 | 4 | 8 | 11 | 27:38 | 20 |
| ნაიმეგენი | 22 | 5 | 4 | 13 | 28:44 | 19 |
| მაასტრიხტი | 22 | 4 | 5 | 13 | 29:47 | 17 |
| სიტარდი | 22 | 3 | 7 | 12 | 27:38 | 16 |
| დენ ბოსხი | 23 | 2 | 6 | 15 | 22:58 | 12 |
| კამბური | 21 | 2 | 5 | 14 | 17:42 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (პსვ) | 28 |
| ვან ჰოიდონკი (ვიტესი) | 20 |
| იან ვენეგოორი (ტვენტე) | 13 |
| კნოპერი (აიაქსი) | 12 |
| ნილისი (პსვ) | 12 |
| პეეტერსი (როდა) | 12 |

## ბელგია

XXIV ტური

**სტანდარდი 2:0 მუსკრონი**

1:0 ტაისი (36 პ), 2:0 მორნარი (54)

**გენტი 2:0 ლიერსი**

1:0 ვასოვი (4), 2:0 ხარიფი (61)

**მეხელენი 0:0 ბრიუგე**

**ანდერლეხტი 5:0 ლოკერენი**

1:0 ანასტასიუ (43), 2:0 ბარტ-გორი (52), 3:0 ანასტასიუ (62), 4:0 ბარტ-გორი (73), 5:0 ზეტერბერგი (89 პ)

**ვესტერლო 1:0 ლომელი**

1:0 მახილსი (28)

**შარლერუა 1:3 გეელი**

0:1 რაისინგერი (55), 0:2 დელენი (67), 1:2 სერხიო როხასი (85), 1:3 კერე (89 ს.კ.)

**ჰარელბეკე 3:2 სტ. ტრუიდენი**

1:0 კლომპი (3), 1:1 ბურგი (23), 1:2 ჰაიენი (33), 2:2 ლაამერსი (52), 3:2 პაასი (89)

**აალსტი 1:2 ბეერსკოტი**

0:1 სონკი (15), 0:2 ჰერემანი (61 პ), 1:2 გრომენი (85)

**გენკი 4:1 ბევერენი**

1:0 ჰასი (2), 2:0 ბანი (20), 2:1 ვან დენ ედი (41), 3:1 გუდიონსონი (60), 4:1 სკოკო (83)

ცნობილ მიზეზთა გამო საქართველოში ყველაზე პოპულარული უცხოელი მწვრთნელის, იოჰან ბოსკამპის ხელმძღვანელობით ბელგიის ჩემპიონმა „გენკმა" პირველი შეხვედრა მოიგო. მრისხანე ჰოლანდიელის ახალმა შეგირდებმა კვირას „ბევერენს" უმასპინძლეს და 4:1 დაამარცხეს. ადგილობრივი პრესის ცნობით, ბოსკამპმა გუნდში რამდენიმე ტაქტიკური ცვლილება განახორციელა, რამაც ხსენებულ მატჩში დადებითი შედეგი გამოიღო. „გენკმა" „ბევერენი" შეხვედრის პირველი წუთებიდანვე მიაჯაჭვა კარს და მთელი 90 წუთის მანძილზე უპირატესობა აღარ დაუთმია. მასპინძლებმა ანგარიში უკვე მეორე წუთზე გახსნეს. მაიკ ორიგისა და ბესნიკ ჰასის ურთიერთშეთანხმებული კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა. მეორე გოლი მატჩის მე-20 წუთზე გავიდა. აქაც მაიკ ორიგიმ იაქტიურა — ზორან ბანს საგოლე პასი მისცა. ორიგის თავადაც შეეძლო გამორჩევა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა. „გენკმა" 41-ე წუთზე საპასუხო ბურთი მიიღო. თუმცა, სტუმრებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს, საკუთარ კარში კიდევ ორი გოლი გაუშვეს და საბოლოოდ 1:4 დამარცხდნენ. „გენკმა" კი, როგორც მოგახსენეთ, ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით პირველი შეხვედრა მოიგო, გათამაშების ცხრილშიც ორი საფეხურით დაწინაურდა და მეშვიდედან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

ქართველ ლეგიონერ გელა შეყილაძის „ლიერსი" სტუმრად „გენტთან" დამარცხდა 0:2, შედეგად მეოთხედან მეექვსე პოზიციაზე ჩამოქვეითდა. თავად გელა ამ შეხვედრაში არ მონაწილეობდა.

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი კი კვლავ „ანდერლეხტია", რომელმაც მორიგ ტურში „ლოკერენი" გაანადგურა 5:0 და უახლოეს მდევარ „სტანდარდს" 7 ქულით უსწრებს, თანაც მასზე შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 23 | 16 | 6 | 1 | 62:23 | 54 |
| სტანდარდი | 24 | 15 | 2 | 7 | 55:36 | 47 |
| ბრიუგე | 23 | 13 | 4 | 6 | 52:23 | 43 |
| გენტი | 24 | 14 | 1 | 9 | 58:44 | 43 |
| გენკი | 24 | 12 | 6 | 6 | 51:37 | 42 |
| ლიერსი | 24 | 12 | 5 | 7 | 48:31 | 41 |
| ბეერსხოტი | 23 | 12 | 5 | 6 | 42:33 | 41 |
| მუსკრონი | 24 | 12 | 4 | 8 | 51:36 | 40 |
| ვესტერლო | 24 | 10 | 6 | 8 | 45:53 | 36 |
| მეხელენი | 24 | 10 | 3 | 11 | 39:53 | 33 |
| აალსტი | 24 | 9 | 2 | 13 | 43:50 | 29 |
| ლოკერენი | 23 | 8 | 5 | 10 | 42:50 | 29 |
| ჰარელბეკე | 24 | 8 | 4 | 12 | 48:48 | 28 |
| ბევერენი | 24 | 5 | 6 | 13 | 33:52 | 21 |
| შარლერუა | 24 | 5 | 6 | 13 | 28:48 | 21 |
| სტ. ტრუიდენი | 24 | 5 | 4 | 15 | 24:52 | 19 |
| გეელი | 24 | 3 | 9 | 12 | 19:43 | 18 |
| ლომელი | 24 | 1 | 10 | 13 | 22:50 | 13 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აარსტი (გენტი) | 20 |
| ბრონო (ვესტერლო) | 19 |
| პაასი (ჰარელბეკე) | 17 |
| კოლერი (ანდერლეხტი) | 15 |
| ჟევლიაკოვი (მუსკრონი) | 15 |

**თასის მეოთხედფინალის წილისყრა**

26 თებერვალი

სტანდარდი — მონსი (III); ლიერსი — ლოკერენი; სენტ ტრუიდენი — აალსტი

27 თებერვალი

გენკი — გენტი

## ამხანაგური მატჩები

23 თებერვალი

**ისრაელი — რუსეთი**

*ისრაელის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: რაფი კოენი (ჰაპოელი, ფეთაჰ თიკვა), იტზიგ კორნფეინი (ბეითარი);*

*მცველები: არიკ ბენოადო, ალონ ხარაზი, ადორამ კეისი (ყველა მაკაბი, ჰაიფა), ამირ შელახი, ალონ ჰალფონი (ორივე ჰაპოელი, ჰაიფა), შიმონ გერშონი (ჰაპოელი, თელ ავივი);*

*ნახევარმცველები: ოფერ ტალქარი (ჰაპოელი, ჰაიფა), ავი ნიმნი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ტალ ბანინი (ბრეშა, იტალია), ვალიდ ბადირი (უიმბლდონი, ინგლისი), იან ტალასნიკოვი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია), იდან ტალი (მერიდა, ესპანეთი), იოსი ბენაიონი (მაკაბი, ჰაიფა), ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია);*

*თავდამსხმელები: ამირ ტურჯემანი (ჰაპოელი, ჰაიფა), კფირ უდი (ჰაპოელი, თელ ავივი)*

23 თებერვალი

**თურქეთი — ნორვეგია**

*თურქეთის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: რუშთუ რექბერი, ენგინ იპექოღლუ (ორივე ფენერბახჩე), ფეზვი თუნქაი (ბეშიქთაში);*

*მცველები: ალფაი ოზალანი, ოგიუნ თემიზქანოღლუ (ორივე ფენერბახჩე), ფათიჰ აკიელი (გალათასარაი), მერთ კორკმაზი (გაზიანთეფსფორი), ზაფერ დემირეი (ანთალიასფორი);*

*ნახევარმცველები: აბდულა ერქანი, ტაიფუნ კორკუტი (ორივე ფენერბახჩე), ოკან ბურუქი, სერგენ იალჩინი, არიფ ერდემი, ემრე ბელოზოღლუ, დავალა უმითი (ყველა გალათასარაი), აიან აქმანი, ტაიფურ ჰავუტჩუ (ორივე ბეშიქთაში), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია);*

*თავდამსხმელები: ჰაქან შუქური (გალათასარაი), აჰმეთ დურსუნი (ბეშიქთაში), კარან უმითი (გენჩლერბირლიგი)*

23 თებერვალი

**ბელგია — პორტუგალია**

*ბელგიის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ფილიპ დე ვილდე (ანდერლეხტი), რონი გასპერჩიჩი (ესტრემადურა, ესპანეთი);*

*მცველები: დენი ბოფინი (მეცი, საფრანგეთი), რეჟის ჟენო (უდინეზე, იტალია), ფილიპ ლეონარი (მონაკო, საფრანგეთი), ჯეკი პეეტერსი (არმინია, გერმანია), ლორენცო სტალენსი (ანდერლეხტი), იოს ვალგაერენი (როდა, ჰოლანდია), ერიკ ვან მეირი (ლიერსი);*

*ნახევარმცველები: ფილიპ კლემენტი, გერტ ვერჰეიენი (ორივე ბრიუგე), ბარტ გოორი (ანდერლეხტი), სტეფან ტანგე, ივს ვანდერჰეიგი (ორივე მუსკრონი), მარკ ვილმოტსი (შალკე, გერმანია);*

*თავდამსხმელები: ტონი ბრონო (ვესტერლო), ჟილ დე ბილდე (შეფილდ უენსდი, ინგლისი), ემილ მპენზა (შალკე, გერმანია), მბო მპენზა (სპორტინგი, პორტუგალია), ბრანკო შტრუპარი (დერბი ქაუნთი, ინგლისი)*

23 თებერვალი

**ხორვატია — ესპანეთი**

*ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ხოსე ფრანსისკო მოლინა (ატლეტიკო), გარსია ხუანმი (სარაგოსა);*

*მცველები: ხუან ველასკო (სელტა), ენრიკე რომერო (დეპორტივო), აუგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი), პაკო ხემესი (სარაგოსა), აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა), ფერნანდო იერო (რეალი);*

*ნახევარმცველები: ხუან კარლოს ვალერონი (ატლეტიკო), ლუის ენრიკე მარტინესი (ბარსელონა), ვისენტე ენგონგა (მალიორკა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია), გონსალეს ფრანი (დეპორტივო);*

*თავდამსხმელები: სალვა ბალესტა, პედრო მუნიტისი (ორივე რასინგი), ხოსება ეჩებერია, ისმაელ ურსაისი (ორივე ატლეტიკი, ბილბაო), ვიქტორ ფერნანდესი (ვალიადოლიდი);*

## თურქეთი

21-ე ტური. ფენერბაჰჩე — ისთანბული 1:0; ქოჯაელი — გენჩლერბირლიგი 0:0; გალათასარაი — ადანა 4:0; გიოზთეფე — გაზიანთეფი 0:1; ერზურუმი — ალთაი 0:0; ბეშიქთაში — ვანი 2:1; სამსუნი — დენიზლი 6:2; ბურსა — ტრაბზონი 2:3; ანთალია — ანკარაგიუჯიუ 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 21 | 17 | 3 | 1 | 45:14 | 54 |
| ბეშიქთაში | 21 | 13 | 4 | 4 | 40:13 | 43 |
| ფენერბაჰჩე | 21 | 10 | 9 | 2 | 36:22 | 39 |
| გაზიანთეფი | 21 | 9 | 8 | 4 | 26:15 | 35 |
| ტრაბზონი | 21 | 8 | 7 | 6 | 28:23 | 31 |
| სამსუნი | 21 | 9 | 3 | 9 | 29:27 | 30 |
| გენჩლერბირლიგი | 21 | 8 | 6 | 7 | 28:30 | 30 |
| დენიზლი | 21 | 8 | 6 | 7 | 34:37 | 30 |
| ალთაი | 21 | 8 | 5 | 8 | 27:24 | 29 |
| ანთალია | 21 | 7 | 6 | 8 | 24:33 | 27 |
| ადანა | 21 | 7 | 5 | 9 | 25:30 | 26 |
| ერზურუმი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:34 | 26 |
| ანკარაგიუჯიუ | 21 | 6 | 6 | 9 | 28:35 | 24 |
| ბურსა | 21 | 6 | 5 | 10 | 27:31 | 23 |
| ისთანბული | 21 | 5 | 8 | 8 | 22:26 | 23 |
| ქოჯაელი | 21 | 5 | 5 | 11 | 25:38 | 20 |
| გიოზთეფე | 21 | 4 | 5 | 12 | 15:30 | 17 |
| ვანი | 21 | 3 | 4 | 14 | 22:42 | 13 |

## საბერძნეთი

ტური. პაოკ — პანათინაიკოსი 1:3; ოფი — პანაჰაიკი 2:2; აეკ — ეთნიკოსი 2:1; არისი — პროდეფტიკი 2:1; იონიკოსი — პანიონიოსი 2:0; კავალა — პანილიაკოსი 2:1; ოლიმპიაკოსი — აპოლონი 2:0; ქსანტი — კალამატა 1:0; ტრიკალა — ირაკლისი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 20 | 18 | 0 | 2 | 55:14 | 54 |
| პანათინაიკოსი | 20 | 17 | 2 | 1 | 52:14 | 53 |
| ოფი | 20 | 13 | 5 | 2 | 37:23 | 44 |
| აეკ | 20 | 10 | 4 | 6 | 36:24 | 34 |
| ირაკლისი | 20 | 10 | 3 | 7 | 36:30 | 33 |
| არისი | 20 | 9 | 5 | 6 | 28:22 | 32 |
| პანილიაკოსი | 20 | 8 | 4 | 8 | 27:22 | 28 |
| პაოკ | 20 | 7 | 7 | 6 | 31:27 | 28 |
| ქსანტი | 20 | 7 | 7 | 6 | 21:22 | 28 |
| პანიონიოსი | 20 | 9 | 1 | 10 | 30:39 | 28 |
| ეთნიკოსი | 20 | 7 | 2 | 11 | 18:28 | 23 |
| იონიკოსი | 20 | 4 | 10 | 6 | 20:25 | 22 |
| კავალა | 20 | 5 | 4 | 11 | 21:34 | 19 |
| პანაჰაიკი | 20 | 4 | 6 | 10 | 19:29 | 18 |
| კალამატა | 20 | 3 | 6 | 11 | 19:40 | 15 |
| აპოლონი | 20 | 3 | 5 | 12 | 14:30 | 14 |
| პროდეფტიკი | 20 | 3 | 5 | 12 | 13:31 | 14 |
| ტრიკალა | 20 | 3 | 4 | 13 | 16:39 | 13 |

## ჩეხეთი

მე-17 ტური. სპარტა — ოპავა 4:0; ლიბერეცი — დუკლა 0:0; ტეპლიცე — იაბლონეცი 2:0; ბრნო — დრნოვიცე 2:3; ჰ. კრალოვე — ბლშანი 1:1; ბუდეიოვიცე — ვიქტორია 1:0; ბოჰემიანსი — სიგმა 1:3; ბანიკი — სლავია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 17 | 13 | 4 | 0 | 29:8 | 43 |
| სპარტა | 17 | 11 | 4 | 2 | 43:15 | 37 |
| დრნოვიცე | 17 | 9 | 3 | 5 | 23:16 | 30 |
| ბოჰემიანსი | 17 | 6 | 7 | 4 | 17:14 | 25 |
| ტეპლიცე | 17 | 6 | 6 | 5 | 23:23 | 24 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 7 | 3 | 7 | 21:22 | 24 |
| ლიბერეცი | 17 | 5 | 7 | 5 | 12:13 | 22 |
| ბანიკი | 17 | 5 | 6 | 6 | 23:22 | 21 |
| დუკლა | 17 | 5 | 6 | 6 | 16:22 | 21 |
| ბრნო | 17 | 5 | 4 | 8 | 20:22 | 19 |
| ბლშანი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:30 | 19 |
| სიგმა | 17 | 3 | 9 | 5 | 19:25 | 18 |
| ოპავა | 17 | 4 | 5 | 8 | 21:23 | 17 |
| იაბლონეცი | 17 | 4 | 4 | 9 | 15:27 | 16 |
| ჰ. კრალოვე | 17 | 3 | 6 | 8 | 17:24 | 15 |
| ვიქტორია | 17 | 3 | 6 | 8 | 24:34 | 15 |

## საფრანგეთი

### ლიგის თასის მეოთხედფინალი

**გენიონი 2:0 სტრასბური**

1:0 ტრაორე (13), 2:0 კოლინი (89)

**ლიონი 0:1 დ.დ. (0:0) ბასტია**

0:1 ნე (101)

**სედანი 0:1 რედ სტარი**

0:1 ანიაკა (5)

**პსჟ 3:0 ნანსი**

1:0 მადარი (17), 2:0 მურატი (76), 2:1 რობერი (88)

### თასის მერვედფინალის წილისყრა

სტრასბური — პსჟ; ბორდო — მეცი; პონტივი (IV) — მონაკო; რედ სტარი (III) — ლიონი; რენი — ლორიანი (II); ნანტი — გენიონი (II); ნიმი (II) — ამიენი (II); კლაისი (IV) — კანი (II)

## შოტლანდია

### თასის მეთექვსმეტედფინალი

გადათამაშება

**მოზერუელი 2:0 არბროთი**

1:0 გუდმენი (13), 2:0 მაკკალოჰი (61)

### მერვედფინალი

**აინვერნსი 1:1 აბერდინი**

1:0 მანი (50), 1:1 ჟუნტვეიტი (80)

**ალოა 2:2 დანდი იუნ.**

1:0 ბიტონი (6), 2:0 მ. კამერონი (33), 2:1, 2:2 ჰამილტონი (55, 79)

**ბერვიკი 0:0 ფალკირკი**

**კლაიდი 0:2 ჰართსი**

0:1 ჯექსონი (2), 0:2 უელსი (7)

**გრინოკ მორტონი 0:1 რეინჯერსი**

0:1 მური (50)

**ჰიბერნიანი 1:1 კლაიდბანკი**

0:1 გარდნერი (63 პ), 1:1 ჰარტლი (66)

**პარტიკ თისტლი 2:1 ლივინგსტონი**

0:1 ბინგემი (9), 1:1 კრეიგი (40), 2:1 მაკლინი (79)

**მოზერუელი — ეირი**

### მეოთხედფინალის წილისყრა

მოზერუელი ან ეირი (I) — პარტიკ თისტლი (II); რეინჯერსი — ჰართსი; ჰიბერნიანი ან კლაიდბანკი (I) — ბერვიკი (III) ან ფალკირკი (I); ალოა (II) ან დანდი იუნაიტედი — აინვერნსი (I) ან აბერდინი

*მატჩები გაიმართება 11 და 12 მარტს*

### კონკაკაფის ოქროს თასი

მეოთხედფინალი

**კანადა 2:1 დ.დ. (1:1) მექსიკა**

0:1 რამირესი (35), 1:1 კორაზინი (83), 2:1 ჰასტინგსი (92)

**ტრინიდადი 2:1 დ.დ. (1:1) კოსტა რიკა**

1:0 დვარიკა (26), 1:1 ვანჩოპე (89), 2:1 ტროტმანი (101)

**პერუ 5:3 ჰონდურასი**

1:0 ჰოლსენი (7), 2:0 სოტო (14 პ), 2:1 კლასვასკინი (32), 3:1 დელ სოლარი (50), 4:1 პალასიოსი (52), 4:2 კ. პავონი (67 პ), 4:3 პინედა (69), 5:3 საენსი (87)

**კოლუმბია 2:2 (პენ. 2:1) აშშ**

0:1 მაკბრაიდი (20), 1:1 ასპრილია (24), 1:2 არმასი (51), 2:2 ბედოია (81)

### სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი. აფრიკა

A ჯგუფი

**უგანდა 2:3 ნიგერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზიმბაბვე | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ანგოლა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| უგანდა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |

*IV ტური. 26 თებერვალი. ანგოლა — ზიმბაბვე; ნიგერია — უგანდა*

B ჯგუფი

**განა 2:0 გვინეა**

**სამ. აფრიკა 2:0 კამერუნი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამ. აფრიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| კამერუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| განა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| გვინეა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

*IV ტური. 26 თებერვალი. კამერუნი — სამხრეთ აფრიკა; 27 თებერვალი. გვინეა — განა*

C ჯგუფი

**კოტ დივუარი 3:3 ეგვიპტე**

**ტუნისი 2:4 მაროკო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| კოტ დივუარი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:5 | 5 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ტუნისი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |

*IV ტური. 27 თებერვალი. ეგვიპტე — კოტ დივუარი; მაროკო — ტუნისი*

## ბრაზილია

### სან პაულუს ტურნირი

ნახევარფინალი

I მატჩები

**ბოტაფოგო 0:0 პალმეირასი**

**სან პაულუ 0:3 ვასკუ და გამა**

*საპასუხო მატჩები გაიმართება 23 თებერვალს*

## სამხრეთ ამერიკა

# ბებეტო შორს, ძალიან შორს წავიდა



ბებეტო

მაინც სად წავიდა ბებეტო? სად და იაპონიაში, იქაურ ჯეი-ლიგაში. ამის მიზეზი კი მავან ხუან ანტონიო ერნანდესთან ფეხბურთელის დაპირისპირება გამხდარა. სენიორ ერნანდესი იმ მექსიკური კლუბის პრეზიდენტი გახლავთ, სადაც ბებეტო აქამდე თამაშობდა. კლუბს კი „ნესა“ ჰქვია და ქომაგები „ტოროს“ უწოდებენ.

ვეტერანი ბრაზილიელი მექსიკაში შარშან ივლისში ჩავიდა და ახალ გუნდში ორი წელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ... „ჩემი კონტრაქტი ორწლიანია, მაგრამ აქ გაჩერება აღარ შემიძლია. როცა დაშავებული ვარ, მაიძულებენ, ვითამაშო. ახლა საუკეთესო ფორმაში ჩავდექი, ესენი კი ამხანაგებს ახლოს არ მაკარებენ — ინდივიდუალურად ივარჯიშეო. ახლახან კლუბის პრეზიდენტმა მექსიკის ფეხბურთის ფედერაციას წერილი გაუგზავნა. მისწერა, თითქოს მე თანაგუნდელებზე ცუდ გავლენას ვახდენ. ტყუილია. საბედნიეროდ, მთელი მსოფლიო მიცნობს. ვერავინ იტყვის, ბებეტოს ცუდი ხასიათი აქვსო“. ეს სიტყვები ბებეტოს ჯერ კიდევ ნოემბერში უთქვამს. ახლა კი სასიამოვნო (უპირველესად, ბებეტოსთვის) ამბავი მოვიდა, ფეხბურთელი შორეულ იაპონიაში (მართლაც ძალიან გაუმწარებიათ მექსიკაში) მიდისო.

ბებეტოს ახალ კლუბს „ანტლერსი“ ეწოდება და ქალაქ კაშიმაში ბინადრობს. იაპონური საზომით კაშიმელებს კარგი გუნდი ჰყავთ — იგი 1996 და 1998 წლებში ქვეყნის ჩემპიონიც გამხდარა. მოგეხსენებათ, იაპონური ჯეი-ლიგა ვეტერანი ფეხბურთელების (მეტადრე ბრაზილიელების) სიმრავლით გამოირჩევა. „ანტლერსშიც“ ასეა. უფრო სწორად, ბოლო დრომდე ასე იყო. ბებეტო გუნდს ცოტა ადრე რომ შეერთებოდა, იქ თავის არაერთ თანამემამულეს იხილავდა. თუ მწვრთნელად ტონინიო სერეზო მუშაობდა, უშუალოდ მინდორზე მაზინიო და რიკარდო ირჯებოდნენ. კლუბის ხელმძღვანელობამ წინა სეზონის შედეგები არასახარბიელოდ მიიჩნია და ბრაზილიური სამეული დაითხოვა. ახლა ბებეტოს პარტნიორობას ბრაზილიელთაგან ბისმარკილა გაუწევს, დანარჩენები იაპონელები იქნებიან.

ასე რომ, ბებეტოზე მორიგ ცნობებს ამომავალი მზის ქვეყნიდან უნდა ველოდოთ. იქამდე დავუმატოთ, რომ ახალი კონტრაქტი მომავალი წლის 1 თებერვლამდე გრძელდება. ფინანსურ მხარეზე კი დუმილს ამჯობინებენ.

# უცნაური და სასაცილო ამბავი

ბრაზილიური „გრემიოს“ პრეზიდენტმა ხოსე ალბერტო გერეირუმ უცნაურზე უცნაური განცხადება გააკეთა: „ლიდსისგან“ წინადადება მოგვივიდა, რონალდინიოში 81 მილიონ დოლარს გვთავაზობენ“. მაგრამ ჯერ სად ხართ, გერეირუმ ამ ცნობას კიდევ უფრო საოცარი კომენტარი მიაყოლა, რონალდინიო არ იყიდება, თუგინდ მასში 100 მილიონი შემომთავაზონო.

ის იყო გერეირუს სენსაციური განცხადება მსოფლიოს მოედო, რომ „ლიდსმა“ ინფორმაცია უარყო, რონალდინიოს ყიდვა აზრადაც არ მოგვსვლია და ეს კაცი რას ლაპარაკობსო. ასე რომ, 19 წლის თავდამსხმელის გარშემო იმდენი ჭორ-მართალი ითქვა, ადამიანს თავგზას აუბნევს. შეგახსენებთ, ფეხბურთელის შეძენის სურვილი იქამდე „ბარსელონასაც“ გამოუთქვამს და „გრემიოსთვის“ 71 მილიონი შეუთავაზებია.

ბრაზილიურ პრესაში ერთი გულისამაჩუყებელი ცნობაც გავრცელდა. ყმაწვილი ფეხბურთელის დედა მიგუელინა გურეირუსთან მისულა და უთხოვია, დედა-შვილს ნუ დაგვაშორებ, ჩემი ბიჭი ოკეანის გაღმა დამეჩაგრება, დედის მზრუნველობა მოაკლდებაო. „ძალიან კარგი შვილი მყავს — განაგრძობს დედა მიგუელინა — ჯერ 19 წლისაა და ოჯახს არჩენს. ხელფასი 50 ათასი რიალი (28 ათასი დოლარი) აქვს, რაც უზრუნველად ცხოვრების საშუალებას გვაძლევს“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ახალი ინფორმაცია, „რეალი“ რონალდინიოში 27 მილიონის გადახდას აპირებსო, სასაცილოდ ჟღერს.

# რონალდოს ფასიც გაირკვა

პატარა რონალდინიოს დიდი ფასი დაედო. ნაკლებად არც დიდი რონალდოა შეფასებული. „ინტერის“ ხელმძღვანელობას უთქვამს, დადეთ 80 მილიონი და წაიყვანეთო. ეს განცხადება ბარზილიურ პრესაში გაჩენილ ცნობას მოჰყვა, რონალდოს შეძენა „ფლამენგოს“ სურსო. რიოდეჟანეიროული კლუბის რონალდოთი დაინტერესებას ასე ხსნიან, გუნდმა რომარიო „ვარსკუ და გამაში“ გაუშვა და მისი ღირსეული შემცვლელის პოვნას ლამობსო. ამ ხმებმა მეტი დამაჯერებლობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ბრაზილიელი ვარსკვლავი მშობლიურ ქალაქს ეწვია.

თავად რონალდო კი „ინტერიდან“ წასვლას არ აპირებს. მისი ერთადერთი წუხილი ჯერაც მოურჩენელი ტრავმაა. რონალდოს ფეხბურთში დაბრუნება აპრილისთვის არის დაგეგმილი და მისი ბრაზილიაში სტუმრობაც ამ მიზანს ემსახურება.

რიოდან 90 კილომეტრის დაშორებით არის პატარა ქალაქი, რომელსაც ტერესოპოლისი ჰქვია. იქაურ საფეხბურთო ბაზაზე ეროვნული ნაკრები თამაშობს და რონალდოც იქ გაეშურა. მის მზადებას პირადი ექიმი, ნილტონ პეტრონე გააკონტროლებს. როგორც ამბობენ, რონალდოს 5 კილოგრამი აქვს მომატებული და თუ ფორმა დროულად არ დაიბრუნა, შესაძლოა „ინტერმა“ დააჯარიმოს კიდეც. თუმცა, პეტრონეს აზრით, რონალდოს ნორმალურ წონამდე მხოლოდ სამი კილოს დაკლება სჭირდება, რასაც 15 დღეში მოახერხებს. აქვე დავუმატოთ, რომ ფეხბურთელს პირმშვენიერი მეუღლე მილენ დომინგუში სამშობლოში არ გაჰყოლია. ის იტალიაში დარჩა და შვილს ელის.

# უმადური პრეზიდენტი და სახელოვანი მწვრთნელი

კარლოს ალბერტო პარეირა, კაცი, ვინაც 1994 წელს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, ბოლო სამუშაო ადგილიდანაც მოხსნეს. „ფლუმინენსე“ — აი, იმ კლუბის სახელი, რომელსაც პარეირა ერთი წლის განმავლობაში წვრთნიდა.

ბრაზილიაში გუნდის თავკაცის შეცვლა გაკვირვებას არ იწვევს. სეზონის მანძილზე ორიოდე მწვრთნელი თუ ახერხებს თანამდებობის შენარჩუნებას. მაგრამ პარეირას შემთხვევაში ერთი უცნაურობა მაინც შეინიშნება. ქვეყნის პირველი დივიზიონის გუნდების ჩამონათვალს თუ გადავხედავთ, „ფლუმინენსე“ მათ შორის არ გვხვდება. ეს კლუბი პარეირას მისვლამდე მესამედივიზიონელი გახლდათ და გამოცდილი მწვრთნელის წყალობით მეორე დივიზიონში ალზევდა. აქედან გამომდინარე, განა საოცარი არ არის, რომ საეჭვო კლასის გუნდი პარეირას დარ მწვრთნელზე უარს ამბობს? მით უმეტეს, მაღალ დივიზიონში გადაყვანის შემდეგ.

პარეირას გადაყენების მიზეზი სან პაულუს ტურნირში „ფლუმინენსეს“ არასახარბიელო გამოსვლაა. B ჯგუფში „ფლუმინენსეს“ გარდა „პალმეირასი“, „ვასკუ და გამა“ და „კორინთიანსი“ — ბრაზილიური ფეხბურთის სამი გრანდი თამაშობდა. აი, ამ გუნდებთან წაგება არ აპატიეს პარეირას.

თუმცა, კლუბის პრეზიდენტი დევიდ ფიშელი მიხვდა, რომ ნამესამედივიზიონელის მარცხი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონთან მწვრთნელის მოსახსნელად ვერაფერი არგუმენტია. ამიტომ ჭირვეულ პრეზიდენტს უთქვამს: „კლუბი ჰორიზონტალურ ფეხბურთს თამაშობს. ფეხბურთელები ერთმანეთს უამრავ პასს აწვდიან და მეტოქის საჯარიმოს კი ვერ უახლოვდებიან. მსურს, რომ გუნდს უფრო შემტევი სტილი ჰქონდეს“. თქვა და გადაწყვიტა. პრეზიდენტმა და მწვრთნელმა ორი საათი ისაუბრეს, რის შემდეგაც პარეირა ფეხბურთელებთან გამოსამშვიდობებლად მივიდა.

როგორც ჩანს, პარეირას გადაყენების საკითხი კარგა ხნის მომწიფებული იყო. ამ ვარაუდის სისწორეს ის ფაქტი მოწმობს, რომ ძველ მწვრთნელს ჯერ პირადი ნივთებიც არ ჩაელაგებინა და „ფლუმინესემ“ უკვე ახალი თავკაცი მიიწვია. მისი სახელი ვალდაირ ესპინოზა გახლავთ.

ბოლოს დავამატოთ, რომ კარლოს ალბერტო პარეირას კლუბიდან წასვლა დიდად არ უნაღვლია. როგორც ბრაზილიური პრესა იუწყება, მისი პიროვნებით „ფლამენგო“ და „ვასკუ და გამა“ არიან დაინტერესებულნი.

**გიორგი დარჯანია**



სელესტინ ბაბაიარო

# გაუჩინარება

„ჩელსი“ გაოცდა, „ჩელსი“ გაბრაზდა და „ჩელსიმ“ ფიფაში იჩივლა: ლონდონელთა მარცხენა მცველი, ნიგერიელი სელესტინ ბაბაიარო აფრიკის თასის დაწყებამდე კლუბიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

დიახ, 21 წლის ბაბაიაროს გუნდში არც კი დაურეკავს. ბოლოს მას თვალი „შავი კონტინენტის“ თასის ფინალში, ტელეეკრანზე მოჰკრეს — კამერუნთან აგებდა.

„ჩელსის“ მწვრთნელს, ჯანლუკა ვიალის ნიგერიელი ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალში „ჯილინგემთან“ სათამაშოდ ძირითად შემადგენლობაშიც კი ჰყავდა დასახელებული, მაგრამ გულუბრყვილო იტალიელს კვირა დილით იმედი მოუკვდა.

ვიალის თანაშემწემ, გევინ უილიამსმა თქვა: „დღემდე არ ვიცით, სად არის ბაბაიარო. იყო რამდენიმე ვერსია. მაგალითად, ერთი მათგანის თანახმად იგი ნიგერიაში საავადმყოფოში დაწვა და ტრავმას იშუშებს, მაგრამ, ვიმეორებ, დანამდვილებით არაფერი გახლავთ ცნობილი. მისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ბაბაიარო ნაკრების ხელმძღვანელობამ წინა ორშაბათს დაითხოვა. ბუნებრივია, ჩვენი მხრივ საქმეს ბოლომდე ჩავყვებით, მაგრამ, იმავდროულად, დავუკავშირდებით ფიფასაც, რათა მან შესაბამის საფეხბურთო კანონმდებლობაში გაგვარკვიოს.

ჩვენ ფეხბურთელი 14-დღიან შეკრებაზე გავუშვით. დაგვეთანხმებით, დიდ დათმობაზე წავედით, რათა ნიგერიის ნაკრებს მასთან სრულყოფილი მუშაობის საშუალება ჰქონოდა; მაგრამ აი, ფინალის მერე მთელი კვირაა გასული და ის კი არ ჩანს“.

ჟურნალისტები, ბუნებრივია, დაინტერესდნენ რა სასჯელი ელის ნიგერიელს ლონდონში ოდესმე დაბრუნების შემდეგ, მაგრამ ამ საკითხზე კომენტარი არც ვიალიმ თქვა და არც უილიამსმა.

თუმცა, უილიამსმა დასძინა: „როგორც შევიტყვეთ, იმავე პრობლემის წინაშე დგას ევროპის ექვსი დიდი კლუბი, მათ შორის „პარი სენ ჟერმენი“, „მილანი“, „მონაკო“ და „არსენალი“. მათაც არ დაბრუნებიან თავიანთი ნიგერიელები“.

„არსენალის“ თავდამსხმელმა, ნვანკვო კანუმ, მოგეხსენებათ, აფრიკის თასის ფინალში საბედისწერო თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა. სწორედ მისი შეცდომის წყალობით იზეიმა კამერუნმა კონტინენტის ჩემპიონობა. სავარაუდოდ, უიღბლო ვარსკვლავი ახლა დარდს იოხებს, მაგრამ ლონდონელებს მისი გაუჩინარება, ჯერჯერობით მაინცდამაინც არ აწუხებთ, რადგან თამაში შაბათამდე არ უწევთ. შაბათს კი „არსენალი“ შინ „საუთჰემპტონს“ ხვდება.

# ჯანყი ბაქოში

აზერბაიჯანმა ზამთრის არდადეგების შემდეგ სეზონი ველარ განაგრძო: წამყვანმა კლუბებმა მონაწილეობაზე უარი თქვეს.

რვა კლუბმა, მათ შორის ჩემპიონმა, განჯის „ქაიფაზმა“ და დღევანდელმა ლიდერმა, „შამქორმა“ განაცხადეს, რომ თასისა და ჩემპიონატის შეხვედრებში არ ითამაშებენ, სანამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში შინააშლილობა არ დასრულდება.

მოგეხსენებათ, თებერვლის დასაწყისში აზერბაიჯანი ფიფას რისხვას მხოლოდ მას მერე გადაურჩა, რაც ფედერაციის თავკაც ფუად მუსაევსა და მის ოპოზიციონერებს შორის მსუბუქი კომპრომისი გამოინახა.

შემდეგ ფიფამ აზერბაიჯანელებს საყოველთაო ყრილობის ჩატარება ურჩია. ამით შესაძლებელი გახდებოდა ერთიანი, დემოკრატიული გზით შექმნილი ფედერაციის ამოქმედება. თეორიულად ყრილობა პირველ აპრილს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ბაქოში ამისთვის მოუმზადებლები აღმოჩნდნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ ყრილობის ჩატარება, ხოლო შემდეგ სეზონის განახლება აზერბაიჯანში შეუძლებლად მიიჩნიეს. თქვეს, ასეთ შემთხვევაში ჩემპიონატის დამთავრებას ვეღარ მოვასწრებთო და ვითომ შაბათს უნდოდათ შეჯიბრების აღდგენა, მაგრამ...

აზერბაიჯანის 12-გუნდიან ლიგაში ჯერ მხოლოდ 7 ტურია ჩავლილი. მიზეზი: შემოდგომაზე კონფლიქტების გამო ორი თვის განმავლობაში ერთი მატჩიც არ გამართულა.

„ჩემპიონატში მონაწილეობას აზრი მანამდე არ ექნება, სანამ დანამდვილებით არ გვეცოდინება, რომ ფედერაციას პატიოსანი კაცი ხელმძღვანელობს“ — განაცხადა მუსაევის ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ვიდავი ახმედოვმა.

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. I დივიზიონი

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 001 ბოლტონი-პორტსმუთი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

ინგლისი. II დივიზიონი

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 002 ბერი-კემბრიჯი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 003 კარდიფი-ბრისტოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ინგლისი. III დივიზიონი

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 004 ლინკოლნი-პლიმუთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 005 პიტერბრო-ჰალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

საფრანგეთი. II დივიზიონი

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 006 კაენი-სოშო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ჰოლანდია

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 007 ალკმაარი-კამბური | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 008 ალკმაარი-კამბური 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

შოტლანდია

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 009 მოზერველი-კილმარნოკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 010 სენტ ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 011 დანდი-აბერდინი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

ამხანაგური მატჩები

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 501 საბერძნეთი-ავსტრია (17⁰⁰) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 502 ყატარი-უელსი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 503 ისრაელი-რუსეთი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 504 უნგრეთი-ავსტრალია | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 505 თურქეთი-ნორვეგია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 506 ლუქსემბურგი-ჩრდ.ირლანდია | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 507 ხორვატია-ესპანეთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 508 პოლანდია-გერმანია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 509 იტალია-შვედეთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 510 ბელგია-პორტუგალია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 511 საფრანგეთი-პოლონეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 512 ინგლისი-არგენტინა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 513 ირლანდია-ჩეხეთი | 2,5 | 2,8 | 2,6 |

კალათბურთი

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 801 ნიუ ჯერსი-ლეიკერსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 802 ვაშინგტონი-მილუოკი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 803 შარლოტი-ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 804 ჩიკაგო-ვანკუვერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 805 მინესოტა-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 806 ფინიქსი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 807 სიეტლი-ორლანდო | 1,2 | 12,0 | 3,5 |

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 808 ნიუ იორკი-ტორონტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 809 ფილადელფია-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 810 მაიამი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 811 კლივლენდი-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 812 დეტროიტი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 813 მილუოკი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 814 საკრამენტო-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 815 ვაშინგტონი-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 816 შარლოტი-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 817 ინდიანა-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 818 მინესოტა-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 819 დალასი-იუტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 820 ჰიუსტონი-დენვერი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 821 პორტლენდი-ორლანდო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 822 ვანკუვერი-ბოსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 823 სლოვაკეთი-ლატვია | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 824 შვეიცარია-უნგრეთი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 825 ინგლისი-ხორვატია | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 826 ბელარუსი-ესტონეთი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 827 ავსტრია-საბერძნეთი | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 828 პოლონეთი-ჩეხეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 829 ჰოლანდია-ბულგარეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 830 ფინეთი-ბოსნია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 831 შვედეთი-ისრაელი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 832 პორტუგალია-ბელგია | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 833 ისლანდია-მაკედონია | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 834 უკრაინა-სლოვენია | 2,0 | 12,0 | 1,5 |

ჰოკეი

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 835 მონრეალი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 836 რეინჯერსი-პიტსბურგი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 837 ფილადელფია-ჩიკაგო | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 838 კოლორადო-ატლანტა | 1,25 | 4,0 | 4,4 |

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 839 ვაშინგტონი-ფლორიდა | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 840 ტორონტო-ფინიქსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 841 დეტროიტი-დალასი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 842 ჩიკაგო-ნეშვილი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 843 კალგარი-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 844 ედმონტონი-ბოსტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 845 სან ხოსე-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 846 ანაჰაიმი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 847 მონრეალი-ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 848 ფილადელფია-პიტსბურგი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 849 კაროლინა-ფლორიდა | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 850 ტამპა ბეი-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# დაგვიბრუნეთ კოშკელოვი!

გიორგი ბიკაშვილი

შაბათს ვერის ბაღში მისულმა ირგვლივ მიმოვიხედე და... უბრალოდ გეტყვით, სახტად დავრჩი. ჩემი ანგარიშით, ტურისა და დღის პირველ მატჩში „მაკაბი“ „შევარდენს“ უნდა შებმოდა, თავიდანვე ასე იყო ნათქვამი და ასე ვფიქრობდი მეც. „მაკაბის“ არას ვერჩი, მაგრამ მისი მეტოქის ბანაკს თვალი რომ გადავავლე, ეჭვი და უამრავი კითხვა გამიჩნდა.

რომ დავრწმუნდი, არაფერი მეშლებოდა და „მაკაბის“ მოწინააღმდეგე მართლაც „შევარდენი“ უნდა ყოფილიყო, კიდევ უფრო გავოცდი. რა ხდება — ვეკითხები თავს — სად „შევარდენი“ და სად ეს...

აშკარად უცხო სახეებია მოედანზე, ნამდვილი შევარდენელები კი ერთად მოქუჩებულან ტრიბუნაზე(!) და რაღაცას ბჭობენ, არჩევენ. თითქოს მივხვდი რაღაცას, ყოველ შემთხვევაში, კარგი არაფერი მიგრძნო გულმა...

რას აღარ ნახავს და გაიგებს კაცი. თურმე ნუ იტყვით და „შევარდენის“ მწვრთნელი გივი კოშკელოვი მოუხსნიათ კლუბის შეფებს, მის ნაცვლად კი სერგო იშხნელი დაუმტკიცებიათ. ყოველივეს შედეგად იმ მოჰყვა, რომ კალათბურთელებმა კოშკელოვს დაუჭირეს მხარი, უფრო სწორად, იშხნელის ხელმძღვანელობით თამაში იუარეს და დანაქადნები საქმედ აქციეს. ახალდანიშნულ მწვრთნელსაც ისღა დარჩენოდა, სხვაგან მოეძია ხალხი, თუმც აქაც პრობლემას წააწყდა. დებულების თანახმად, განაცხადში სულ თექვსმეტი კალათბურთელი უნდა იყოს, თორმეტი ლიცენზია კი მანამდე გასცა ფედერაციამ. გამოდის, რომ იშხნელს ოთხი მოთამაშის დამატებაღა შეეძლო.

საბოლოო ჯამში იშხნელმა ხუთ კალათბურთელს მოუყარა თავი და „მაკაბისთან“ შეხვედრაც ისე გალია, რომ შეცვლა არ გაუკეთებია. „შევარდენის“ მესვეურთ სხვა მხრიდანაც შემოუტია დებულებამ, კანონი გუნდს, რომელიც რვა კაცსაც ვერ შეკრებს, ფინანსურ სასჯელს აკისრებს.

ერთი სიტყვით, ერთობ ჩახლართული საქმეა და ყველა გზაც ფედერაციისკენ მიდის. სწორედ ფედერაციის აღმასკომმა უნდა მოჰფინოს ნათელი ყოველივეს, ან ის თქვას, ან ეს. კიდევ იმას დავძენ, რომ ამ გუნდით „შევარდენი“ თამაშის მომგები არ არის. ისიც საეჭვოა, რომ ეს ნაბიჯი კლუბის წარმატებულ მომავალს მოასწავებდეს.

ყოველივეს, ალბათ, კარგად აწონ-დაწონიან „შევარდენის“ თავკაცები, დაფიქრდებიან და წინაც გაიხედავენ. დღეს კი...

*სოსო საბაშვილი, კლუბ „შევარდენის“ თავმჯდომარე:* „სეზონის წინ ექვსეულში მოხვედრას ვგეგმავდით. რაკი ასე არ მოხდა, გადავწყვიტეთ, გაგვეშვა კოშკელოვი და მწვრთნელად იშხნელი დაგვენიშნა. გუნდის დაშლა აზრადაც არ მოგვსვლია. ჩვენ უბრალოდ მის გაახალგაზრდავებაზე ავიღეთ კურსი და ვფიქრობთ, ამ პროცესს იშხნელი უკეთ წარმართავს“.

*გივი კოშკელოვი, „შევარდენის“ ყოფილი მწვრთნელი:* „გუნდის წარუმატებელი თამაშის მიზეზი პირველ ყოვლისა მწვრთნელია და როცა მათ ჩემი გაშვება გადაწყვიტეს, ულაპარაკოდ დავწერე განცხადება. დანარჩენი ჩემი საქმე აღარაა“.

*„შევარდენის“ კალათბურთელები:* „იშხნელის ხელმძღვანელობით თამაში წარმოუდგენლად მიგვაჩნია, გვაქვს ამის მიზეზი და იმიტომ. დააბრუნონ კოშკელოვი, ჩვენ მხოლოდ ის გვინდა“.

ამ შეხვედრის შინაარსზე(?) ანგარიშიც მეტყველებს და თავს აღარ შეგაწყენთ. ახლა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე მოგახსენებთ.

წესით, თსუ — „გორის“ თამაში არ უნდა გამართულიყო, ამასვე ამბობდა ფედერაციის გენერალური მდივანი აკაკი მეგრელაძეც, მაგრამ დარბაზში გორელთა გამოჩენამ ხალხი სულ სხვაგვარად აალაპარაკა. ვალის გადაუხდელობის გამო ზედიზედ ორჯერ დასჯილ ქართლელებს, როგორც იქნა, მოწყალე თვალით გადმოხედეს. ბეჭედდასმული გადარიცხვის ფურცელიც ხელიდან ხელში გადადიოდა და როცა აკაკი მეგრელაძემაც ფედერაციის ანგარიშზე დაიგულა ფული, მატჩის გამართვა ბრძანა. კანონი ამ შემთხვევაშიც დაირღვა, რადგან დებულების თანახმად, „გორი“ ავტომატურად უნდა მოკვეთილიყო ჩემპიონატიდან, თუმც მეგრელაძის სიტყვას წინ რაღა დაუდგებოდა...

ასეა თუ ისე, აღმასკომი ამ საკითხზეც იმსჯელებს და დაზუსტებით მერეღა შევიტყობთ ყოველივეს. მანამდე კი იმის თქმა შეიძლება, რომ აქამდე არ უნდა მიეყვანათ საქმე გორელებს, ხვალ-ზეგ მავანნი აუცილებლად წამოაძახებენ ამას და ესენიც ვერ შეეპასუხებიან.

შეხვედრის პირველ ნახევარში „გორი“ ტოლ-სწორად ეპაექრა ფავორიტად მიჩნეულ თსუ-ს და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ტაიმს თავის სასარგებლოდ დაასრულებდა. შესვენების შემდეგ კი უნივერსიტეტელებმა იძალეს, თანაც ისე, რომ მათ წარმატებაში ეჭვი აღარავის შეჰპარვია.

მეთვრამეტე ტურის ცენტრალური შეხვედრა მესამეადგილოსან სტუ-სა და ერთი საფეხურით წინ მყოფ „აზოტს“ შორის გაიმართა. გუნდები საბრძოლო შემადგენლობებით წარდგნენ ერთმანეთის წინაშე და ცხადი გახდა, არავინ არაფერს დათმობდა.

მეტოქეებმა თავიდანვე პერსონალური დაცვითი ტაქტიკა ირჩიეს. რამდენიმე უსარგებლო შეტევა გაიცვალა და პირველად რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილის ნასროლმა უწია მიზანს: „აზოტის“ ცენტრი მეურვე კორძაძეს დაუსხლტა, მიშამ უჩვეულო, უკანახაზელის პოზიციაზე ამოიწია და სამქულიანით დალაშქრა მოწინააღმდეგის კალათი. სტუდენტთაგან მას უმალ უპასუხა ზურაბ ჩუბინიძემ, რომელმაც მომდევნო ეპიზოდშიც სწორად შეარჩია ადგილი ფარქვეშ და თანაგუნდელთა მორიგი ორი ქულაც მოინაგრა. შუალედში კი ზვიად ბაბიაშვილის გარღვევა აღმოჩნდა შედეგიანი, მას კორძაძე ეუხეშა და აზოტელმა პლუს ერთი საჯარიმოც შეირგო.

ვერ იტყვი, მეტოქეები დუნედ თამაშობდნენო, თუმც ტემპი აშკარად არ იყო სასურველი. საკალათბურთო ენაზე რომ ვთქვათ, დამდგარი თამაში გაჩაღდა, გუნდები კომბინაციებს მიეძალნენ.

გამოჩნდა, რომ მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის შეცდომაზე გამოჭერის ტაქტიკა ირჩიეს, ინიციატივას არც ერთ მათგანი არ იჩენდა და შესაფერის მომენტს ელოდებოდა. ასეთ დროს კი ოდნავი დაუდევრობაც კი ძალიან ძვირად უჯდება გუნდს.

რუსთაველთა ლიდერს, რამაზ გოგობერიშვილს, თავიდანვე ჩუბინიძე მეურვეობდა და კარგადაც, მაგრამ ერთხანს მოადუნა ყურადღება ჩუბინიძემ, რაც „აზოტის“ აღმაფრენას დაედო საფუძვლად. შუაგული ტაიმისთვის გოგობერიშვილმა პირველი სამქულიანი ჩააგდო, ამას ზედიზედ ორი გარღვევა მიაყოლა, მოგვიანებით კვლავ შორიდან ივარგა (ტამში სულ ხუთი სამიანი გააზერხა) და „აზოტი“ ცხრა ქულით — 25:16 დააწინაურა. თავის მხრივ, ტექნიკოსებს მდგომარეობის გამოსწორება მართებდათ, თუმც აშკარად ჩანდა, რომ მწვრთნელთა ხელთ არსებული რეზერვი გამოუყენებელი იყო. საქმე ისაა, რომ სტუ-ს თავდამსხმელ ამროსი ორმოცაძეს აზოტელთა უკანახაზელი ზაზა გაბისონია იჭერდა. ასეთ სიტუაციაში უპრიანი იქნებოდა ორმოცაძე შეტევისას ფარქვეშ გარჯილიყო, ან სულაც ცენტრი დაეყენებინა. ამით გაბისონიაც ჩვეულ პოზიციას მოსცილდებოდა და სტუ მეტოქის ფარზე უპირატესობას დაიბევებდა. ყოველივეზე მსჯელობა-ვარაუდი იოლია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ორმოცაძის ფრთის ამპლუაში მოცდენამ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს სახეირო ვერაფერი მოუტანა.

სტუ-ს ნათხოვნი წუთშესვენებით „აზოტმა“ მეტად ისარგებლა [illegible] გუნდის უნიათო თამაშით [illegible] ჭეიშვილმა ისღა გააკეთა, რომ ერთბაშად ოთხი მოთამაშე შეცვალა — ძველთაგან მხოლოდ ორმოცაძე დატოვა მოედანზე.

რუსთაველთა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ იმავდროულად წიკლაური შეუნაცვლა გაბისონიას, რომელიც ჩინებულად ჩაერთო თამაშში. თავგზააბნეულ ტექნიკოსებს კი კვლავაც გოგობერიშვილი დაატყდა რისხვად, რომელმაც მალე „აზოტს“ ჩვიდმეტქულიანი უპირატესობა მოუპოვა — 37:20.

ტაიმის ბოლომდე სცენარი აღარ შეცვლილა. ეგაა, გახელებული ჭეიშვილი გამოღვიძებისკენ მოუწოდებდა შეგირდებს.

შესვენების შემდეგ სურათი საპირისპიროდ შეიცვალა. ბოლოს და ბოლოს, ჭეიშვილმა ოპტიმალურ ხუთეულს მიაგნო — გამთამაშებლობა ზვიად მიქაძეს დააკისრა, რომელმაც სრულად გაუმართლა იმედი. თორთლაძე მეორე ნომრად გაამწესა, კორძაძის ნაცვლად კი მოედანზე მინაშვილს უხმო. „აზოტის“ უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა. სტუ საბოლოოდ გამოერკვა, დაცვითი თამაში შეათანხმა, შეტევა კი ერთიორად მწყობრი გახადა.

მალე რუსთაველთა ცენტრმა მიხეილ ბერუაშვილმა ოთხი პერსონალური მიიღო და ხმელიძემ იგი შეცვალა. სტუ-მ ეს შეიფერა და მეორე ტაიმის დაწყებიდან რვა წუთის შემდეგ მატჩში პირველად გაათანაბრა ანგარიში — 55:55.

ამის მერე თანაბარი თამაში გაჩაღდა. რუსთაველთაგან წიკლაური, სტუდენტთაგან კი ლოსაბერიძე და მიქაძე გამოირჩეოდნენ. შეხვედრაც ქულა ქულაში გაგრძელდა.

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე უკვე ხუთი პერსონალურით მოედნიდან დათხოვნილი მიხეილ ბერუაშვილი მსაჯთა ქმედებამ აღაშფოთა და მაჩალაძეზე გაიწია. მსაჯმა არც აცია, არც აცხელა, ჯერ ტექნიკური შენიშვნით დასაჯა მომხვდური, მერე კი სულაც მოედნიდან მიაბრძანა.

ეს იქნებ დამღუპველიც ყოფილიყო რუსთაველთათვის, თუმც ორმოცაძემ ოთხიდან მხოლოდ ორი საჯარიმო გამოიყენა და ისღა შეძლო, რომ თავისიანთა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა — 77:78. ბურთი კვლავაც სტუ-ს დარჩა, გამოცდილმა თორთლაძემ ეს შეტევაც ორ ქულად გარდასახა და პირველად დააწინაურა სტუდენტობა — 79:78.

ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. გოგობერიშვილმა კვლავ წინ გაიყვანა თავისიანები 80:79. ტექნიკოსთა საპასუხო შეტევისას კორძაძემ გარისკა და სამიანი ისროლა. ფარიდან ასხლეტილი ბურთი გოგობერიშვილმა მოიხელთა, წიკლაურს უზუსტესი პასი გაუჭრა და მანაც აუღელვებლად მოათავსა ბურთი კალათში — 82:79. ჭეიშვილის გუნდს კიდევ ჰქონდა მატჩის გადარჩენის შანსი, მაგრამ ახლა ორმოცაძეს გაუცუდდა ნასროლი.

იგივე განმეორდა, გოგობერიშვილმა ბურთი კვლავაც წიკლაურს მიაწოდა და ... 84:79.

მატჩის დამთავრებამდე თოთხმეტი წამით ადრე თორთლაძის სამიანმა მცირე ინტრიგა მაინც შეუნარჩუნა შეხვედრას, მაგრამ...

საქართველოს ჩემპიონატი. 18 ტური

ვერის ბაღი. 19 თებერვალი

**მაკაბი 105:54 შევარდენი**

I ტაიმი 59:29

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (26), ი. ბერიშვილი (16), ტალაბაძე (20), მჭედლიშვილი, ფერიაშვილი (16); ბ. ნოზაძე (6), ლასარეიშვილი (1), კრიხელი (9), ზ. ჩაჩუა (4), დავარაშვილი (7)

**შევარდენი:** ფრანგიშვილი (9), იშხნელი (16), ბოჭორიშვილი, ოქროპირიძე (15), გულხადარაშვილი

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

საქართველოს ჩემპიონატი. 18 ტური

ვერის ბაღი. 19 თებერვალი

**თსუ 88:59 გორი**

I ტაიმი 32:32

**თსუ:** მშვილდაძე (6), წოწელია (22), გ. მარკოიშვილი (13), არსიაშვილი (8), გ. ბერუაშვილი (2); ხეცურიანი (13), გელაშვილი (9), ვეფხვაძე (2), მგალობლიშვილი (9), სანიკიძე (4)

**გორი:** ნინოშვილი (12), დ. იაშვილი (9), გრძელიშვილი (18), აბრამაშვილი (4), მანველიშვილი (12); კურტანიძე (2), არუთინიანი (2)

**მსაჯები:** ლაშა თოიძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

საქართველოს ჩემპიონატი. 18 ტური

ვერის ბაღი. 19 თებერვალი

**სტუ 82:87 აზოტი**

I ტაიმი 36:50

**სტუ:** თორთლაძე (13), ტუღუში (6), ზ. ჩუბინიძე (12), ორმოცაძე (18), კორძაძე (6); მოისწრაფიშვილი, ოთიურიძე, ლოსაბერიძე (13), მინაშვილი (8), მიქაძე (6)

**აზოტი:** ა. ქლენტი (8), გაბისონია (3), გოგობერიშვილი (34), ბაბიაშვილი (14), მ. ბერუაშვილი (12); ლ. ჩაჩუა, წიკლაური (16)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე



ძველი შევარდენელებისთვის ახალი მწვრთნელი მიუღებელია და ამიტომ „მაკაბი“ — „შევარდენს“ ტრიბუნიდან უცქერენ

საქართველოს ჩემპიონატი. 18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 17 | 17 | 0 | 1664:1315 | 34 |
| აზოტი | 18 | 14 | 4 | 1713:1435 | 32 |
| ვითა | 18 | 13 | 5 | 1490:1335 | 31 |
| სტუ | 18 | 13 | 5 | 1583:1248 | 31 |
| სდასუ | 18 | 12 | 6 | 1515:1385 | 30 |
| თსუ | 18 | 11 | 7 | 1580:1529 | 29 |
| მაკაბი | 18 | 10 | 8 | 1514:1358 | 28 |
| დინამო* | 18 | 6 | 12 | 1253:1435 | 23 |
| შევარდენი | 18 | 5 | 13 | 1293:1524 | 23 |
| სსუ | 18 | 2 | 16 | 1291:1654 | 20 |
| ასკ | 18 | 1 | 17 | 1300:1692 | 19 |
| გორი* | 17 | 3 | 14 | 1085:1371 | 18 |

*დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა, გორს — ორი ქულა*

**საქართველოს ჩემპიონატი 18 ტური**

ვერის ბაღი. 20 თებერვალი

### სდასუ 90:63 ასკ

I ტაიმი 47:34
სდასუ: არჩვაძე (13), ხოშტარია (16), გ. ჩხეიძე (19), უძილაური (12), მაჭარაძე (9); გვრიტიშვილი (4), ანდღულაძე (6), ლ. აბულაძე (8), სუხიშვილი, ნ. ნოზაძე (3)
ასკ: მარხვაშვილი (3), მ. მარკოიშვილი (10), ლ. საყვარელიძე (13), მ. ფიცხელაური (2), ათუაშვილი (4); ზანგურაშვილი (15), ლ. საყვარელიძე (8), რუსია, ლვინაშვილი (8)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**საქართველოს ჩემპიონატი 18 ტური**

ვერის ბაღი. 20 თებერვალი

### დინამო 44:72 ბასკო

I ტაიმი 18:31
დინამო: ნიკოლაძე (16), ორდენიძე (6), ნიკურაძე (2), ბათხაძე (11), ზერეკიძე (9)
ბასკო: აბრამიძე (4), დავითულიანი, კვაჭაძე (8), ბეჟანიშვილი (18), ვ. კილაძე (2); ბაქრაძე, მაისურაძე (9), გ. კილაძე (5), კეშელავა (11), ბერია (2), ქარაბაკი (13)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე
კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი 18 ტური**

ვერის ბაღი. 20 თებერვალი

### ვითა 83:77 სსუ

I ტაიმი 36:43
ვითა: ტ. ვაშაკიძე (9), გ. გაგნიძე, ჭირაქაძე (7), შანიძე (16), ახალკაცი (22); ტურაშვილი (5), ქევხიშვილი (4), უსტიაშვილი (2), კოკოლიშვილი (18)
სსუ: ბ. ბერიშვილი (38), თოდუა (11), ლაცუზბაია (1), ლ. ვაშაკიძე (5), ერქვანია (10); გ. ჟღენტი (7), ქვილითაია (5)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

როლანდ ლაბუჩიძე

კვირას გამართულ შეხვედრებში ფავორიტად მიჩნეულ გუნდთაგან ყველაზე მეტად თბილისის „ვითას“ გაუჭირდა. მან ბოლო წუთზეღა შეძლო ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერის, სსუ-ს დამარცხება, რომლის ლიდერმა ბუბა ბერიშვილმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და შეხვედრის ბოლომდე მოსვენება არ მისცა საქართველოს შვიდგზის ჩემპიონს. აუტსაიდერებთან შეხვედრებში ექსპერიმენტების მოყვარულმა „ვითამ“ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა, მატჩი მეორე შემადგენლობით დაიწყო და შესვენებამდე ალარავინ შეუცვლია. მან მხოლოდ მეორე ტაიმში უხმო სარბიელზე ძირითადის კალათბურთელებს, რომლებიც, ბუბა ბერიშვილის გამოკლებით, გადაღლილ სტუდენტებს ადვილად უმკლავდებოდნენ. სსუ-ს ლიდერის შეჩერება ვერავინ მოახერხა, რომელმაც პირველი ტაიმის ბოლო წამზე საკუთარი ფარის სიახლოვიდან ბურთის მეტოქის კალათში მოთავსება შეძლო. ბერიშვილის მიერ შესრულებული 8 სამქულიანიდან ხუთმა მიაღწია მიზანს, შვიდი საჯარიმოდან შვიდივე გამოიყენა. 38 ქულით იგი ტურის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა.

ახლა კი მივყვეთ მატჩის მსვლელობას, რომლის ანგარიში მართალია მეორე შემადგენლობით მოასპარეზე „ვითამ“ გახსნა, მაგრამ რეზო თოდუას ზუსტი სამქულიანის შემდეგ მალე მდევრის როლში აღმოჩნდა. ახალკაცს და შანიძეს თუ არ ჩავთლით, მოედანზე მყოფ ვითელებს თამაში აშკარად არ გამოსდიოდათ. სტუდენტები კი თოდუას, ერქვანიას და განსაკუთრებით ბერიშვილის კარგი თამაშის შედეგად ქულას ქულაზე აგროვებდნენ. როდესაც ტაიმის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე გიორგი ჟღენტმა ფარქვეშიდან ეფექტური სროლით თანაგუნდელთა უპირატესობა ათ ქულამდე გაზარდა — 40:30, სსუ მოულოდნელად მოეშვა და მეტოქეს ექვსი ქულის გაქვითვის საშუალება მისცა.

მეორე ტაიმში კოკოლიშვილის აქტიური თამაშის შედეგად ჩემპიონმა მხოლოდ მეხუთე წუთის ბოლოს შეძლო დაწინაურება — 50:49, მაგრამ სსუ, ბერიშვილის ხელმძღვანელობით, სულაც არ აპირებდა უპირატესობის დათმობას. ერთი პერიოდი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის სარბიელი ბერიშვილი-კოკოლიშვილის დუელის ველად გადაიქცა და შეხვედრაც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

როცა ტაბლოზე მხოლოდ 40 წამი იყო დარჩენილი და სსუ-ს მეტოქისაგან მხოლოდ 3 ქულაღა აშორებდა, ისლა დარჩენოდა, ჯარიმაზე ეთამაშა. გამოცდილი უსტიაშვილის საჯარიმოებით „ვითა“ კიდევ უფრო დაწინაურდა — 82:77. როდესაც საპასუხო შეტევისას ისევ და ისევ დროის მოგების მიზნით ბერიშვილის ნაჩქარევად ნასროლი სამქულიანი კალათში არ ჩაეშვა, აშკარა გახდა, რომ ამ შეხვედრაში „ვითას“ დამარცხებით ვერის ბაღი სენსაციური შედეგის მომსწრე ველარ გახდებოდა.

„დინამო“ — „ბასკოს“ შეხვედრა თბილისელთა მიერ გამეორებული ანტირეკორდებით აღინიშნა. ამის თავითავი ძირითადად ცარიელი ჯიბის მქონე „დინამოს“ მეპატრონეები არიან, თორემ მოედანზე მყოფ კალათბურთელებს ოსტატობას თუ არა, მონდომებას მაინც ნამდვილად ვერ დაუკარგავ.



სტუ — აზოტი 82:87. სტუ-ელი ამროსი ორმოცაძე (ბურთით) მიხეილ ბერუაშვილის და ზვიად ბაბიაშვილის (№5) კედელს წააწყდა

უხელფასოდ დარჩენილ ბევრ კალათბურთელს ჯერჯერობით სრულიად უპერსპექტივო „დინამოში“ თამაშზე გული აუცრუებია, ზოგიც ტრავმას შეუწუხებია, ხოლო ვახტანგ უჩუმბეგაშვილი და მამუკა ჩხაიძე ტრიბუნებიდან იმიტომ ადევნებდნენ მატჩს თვალს, რომ შესაბამისად ჯარიმისა და ლიცენზიის თანხა ჯერაც არ შეუტანია გუნდს ფედერაციაში. დინამოელთა სათადარიგო სკამი კი სრულიად ცარიელი იყო.

ზემოთ დინამოელთა მონდომება ვახსენეთ, რომლის წყალობითაც მასპინძლებმა პირველი ტაიმის დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ჯერჯერობით დაუმარცხებელ ზღვისპირელებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. ქარაბაკის და ბაქრაძის მოედანზე გამოსვლის შემდეგ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამო“ შეხვედრის ბოლომდე მდევრის როლში აღმოჩნდა.

„ბასკომ“ განაცხადში შეყვანილ თერთმეტივე კალათბურთელს მისცა თამაშის საშუალება. „დინამო“ კი 4 კალათბურთელის ამარა დარჩა მას შემდეგ, რაც 33-ე წუთის დასაწყისში 5 ჯარიმის გამო მოედანი ნიკოლაძემ დატოვა.

ახლა კი თბილისელთა მიერ გამეორებულ ანტირეკორდებზე მოგახსენებთ. „დინამო“ შეხვედრაში მონაწილეობისათვის სპორტსმენთა იმ მინიმალური (5 კალათბურთელი) შემადგენლობით გამოცხადდა (განაცხადში მაქსიმუმ 12 კალათბურთელი უნდა ჰყოლოდა), რაც აუცილებელია მატჩის დაწყებისათვის. დინამოელებმა გაიმეორეს „შევარდენის“ მიერ წინა დღეს დამყარებული ანტირეკორდი, რომელიც „მაკაბის“ ასევე ერთი ხუთეულით შეება.

მეორე კი 1999 წლის 20 ნოემბერს „გორის“ მიერ დამყარებული ანტირეკორდის გამეორებაა. მაშინ გორელებმაც 44 ქულა ჩაუგდეს „მაკაბის“.

არავინ იცის, როგორი კალათბურთელი დადგება მეჯვრისხეველ (გორის რაიონი) სერგო ათუაშვილისაგან, მაგრამ 1983 წლის 28 დეკემბერს დაბადებული ქართველი ჭაბუკი თავისი სიმაღლით (215 სმ) რომ ყველაზე გამორჩეულია, ფაქტია. მისი სიმაღლის კალათბურთელს საქართველოში ჯერ არ უთამაშია.

კვრას, 20 თებერვალს, არმიელმა სერგო ათუაშვილმა სდასუ-სთან შეხვედრისას საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თავისი პირველი მატჩი ჩაატარა. ათუაშვილი სულ 4 ქულით შეეწია თანაგუნდელებს, მაგრამ მთავარი ეს არ გახლავთ. იგი დიდი ხანი არ არის, რაც კალათბურთში ვარჯიშობს და გამოუცდელობის კვალობაზე ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია.

აშკარაა, რომ ცენტრისათვის დამახასიათებელი სამი უმთავრესი თვისებიდან ათუაშვილს ორი ნამდვილად აქვს — სიმაღლესთან ერთად ჯანიც მოსდევს. თუ ქართველ ჭაბუკს ნიჭიც აღმოაჩნდა და გონივრულად ითამაშა, უახლოეს მომავალში სწორუპოვარი მებრძოლი გვეყოლება, ოღონდ მხოლოდ სწორი და თავდაუზოგავი ვარჯიშის შემთხვევაში.

რაც შეეხება შეხვედრას, სტუდენტებს მისი მოგება არ გასჭირვებიათ. მხოლოდ ერთხელ შეძლო ასკ-მ წინ გასვლა, გუნდის ლიდერების მარკოიშვილისა და მარხვაშვილის ძალისხმევით — 18:17. მანამდე კი 13 ქულით ჩამორჩებოდნენ მეტოქეს — 2:15. მალე ხოშტარიამ არმიელებს გამარჯვების ყოველგვარი შანსი გადაუწურა. კაპიტანის დაწყებული საქმე კი სტუდენტებმა უპრობლემოდ მიიყვანეს ბოლომდე.

რეგულარული ჩემპიონატი

# ყოფილ გუნდებზე დაბოღმილნი

18 თებერვალი

**საკრამენტო 118:85 სიეტლი**
საკრამენტო: ჯ. ვილიამსი (13), ანდერსონი (11), ვილიამსონი (15), ვებერი (12), დივაცი (11), სტოიაკოვიჩი (21), ჯ. ბერი (12), პოლარდი (8 ქულა, 14 მოხსნა), მარტინი (6), დელკი (5), ფანდერბურკი (4)
სიეტლი: პეიტონი (13 ქულა, 12 პასი), ბ. ბერი (21), პატერსონი (4), ბეიკერი (19), გრანტი (6); მაკკოი (6), ლუისი (5), დევისი (5), შ. ვილიამსი (4), პერსონი (2), ფოსტერი

19 თებერვალი

**სიეტლი 94:91 ბოსტონი**
სიეტლი: პეიტონი (27 ქულა, 9 პასი), ბერი (10 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), პატერსონი (14), ბეიკერი (17), გრანტი (2); ფოსტერი (8), მაკკოი (8), ლუისი (6), დევისი (2)
ბოსტონი: ანდერსონი (16), გრიფინი, პირსი (23), უოლკერი (21), პოტაპენკო (15); ფორტსონი (5), ბაროსი (5), ვილიამსი (2), ბეტი (2), მაკარტი (2)

„საკრამენტო კინგზი“ იმ დონის გუნდი არ გახლავთ, „სიეტლ სუპერსონიქსს“ მისი შიშით მუხლები აუკანკალდეს. ვოვა სტეფანიას გუნდიც პარასკევს, 18 თებერვალს, კალიფორნიის შტატის დედაქალაქ საკრამენტოს გამარჯვების იმედით ეწვია, იქიდან კი გაბითურებული გამობრუნდა. გვარიანად შერცხვნენ „ზებგერითები“, თავისივე დონის გუნდთან ვეება სხვაობით დამარცხდნენ. საკრამენტოში მარცხის შემდეგ პოლ ვესტფოლის ბიჭებს მეორე დღეს შინაც გაუჭირდათ და ახლა ლამის „ბოსტონ სელტიქსს“ დაეჩაგვრინნენ.

საკრამენტოში პოლ ვესტფოლმა თავის შეგირდებს პირველ რიგში მეტოქე გუნდის ლიდერის, კრის ვებერის გაუვნებლება დაავალა და ეს საქმე მის კბილა ვინ ბეიკერს მიანდო. ისიც თავგამოდებით და ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა მწვრთნელის დავალებას. ბეიკერის სახიფათო შეტევებმა თავისი გააკეთა და ვებერს პერსონალურები დაუგროვდა. საბოლოოდ მასპინძელთა ლიდერმა სულ რაღაც ოც წუთში ექვსი ჯარიმა მიიღო, უმრავლესობა სწორედ ბეიკერის წყალობით, და თამაშსაც გამოეთიშა. მაგრამ ვებერის გავარდნამ „სიეტლს“ კარგი არაფერი მოუტანა. „საკრამენტოს“ მშვენიერი სათადარიგოები ჰყავს. მწვრთნელმა რიკ ადელმანმა სწრაფად შეაფასა სიტუაცია და მოედანზე იუგოსლავიელი თავდამსხმელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი შეუშვა. ევროპაში გამზრდილმა ჭკვიანმა კალათბურთელმა მეტოქეთ რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარა და ლიდერი ვებერი მშვენივრად შეცვალა. სტოიაკოვიჩს ბევრი არ უთამაშია, სულ 25 წუთს ებრძოდა იგი სტეფანიას თანაგუნდელებს და მაინც მოახერხა სეზონში ყველაზე მეტი, 21 ქულის მოგროვება. ჯაბანნი არც „კინგზის“ სხვა სათადარიგოები აღმოჩნდნენ. მოედანზე იმ დღეს გამოჩენილმა ექვსმა შემცვლელმა ერთობლივად 56 ქულა დააგროვა, მაშინ, როცა „სიეტლის“ ასევე ექვსი სათადარიგო სულ 22 ქულას დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ იმ შეხვედრაში „სიეტლის“ ყველა სათადარიგომ მიიღო მონაწილეობა, სტეფანიას გარდა.

წინა დღით სირცხვილნაჭამ „სონიქსს“ 19 იანვარს „ბოსტონის“ დამარცხება გაუჭირდა. „სელტიქსი“ პირველი მეოთხედის შემდეგ 28:23 უგებდა მასპინძელს და ჩანდა, ამით არ დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ მასპინძლებმა შეხვედრას დიდი ძალ-ღონე შეალიეს. „კინგზთან“ ჩაფლავებული თამაშის შემდეგ ჩვეულად გაიბრწყინა გერი პეიტონმა, მატჩის ბოლოს კი ვინ ბეიკერმა იყოჩაღა. მან ბოლო წუთებში თამაშში ოთხი სროლიდან ყველას კალათში მიუჩინა ადგილი, რამაც საბოლოოდ გატეხა სტუმარი.

18 თებერვალი

**გოლდენ სტეიტი 122:100 ბოსტონი**
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (21), ბლეილოკი (18)
ბოსტონი: ფორტსონი (18)

**პორტლენდი 93:85 ვაშინგტონი**
პორტლენდი: სტუდემაიერი (15)
ვაშინგტონი: სტრიკლენდი (18)

**ფინიქსი 85:73 ატლანტა**
ფინიქსი: როჯერსი (24)
ატლანტა: მუტომბო (12 ქულა, 24 მოხსნა)

**სან ანტონიო 116:92 ჰიუსტონი**
სან ანტონიო: დანკანი (19)
ჰიუსტონი: ფრენსისი (18)

**მინესოტა 103:91 ვანკუვერი**
მინესოტა: ბრენდონი (21), გარნეტი (17 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)
ვანკუვერი: დიკერსონი (27)

**ორლანდო 99:107 ლეიკერსი**
(ძირითადი დრო 88:88)
ორლანდო: არმსტრონგი (24)
ლეიკერსი: ონილი (39 ქულა, 16 მოხსნა), რაისი (26)

**ნიუ ჯერსი 91:84 მაიამი**
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (19 ქულა, 11 მოხსნა)
მაიამი: ჰარდევეი (18)

**შარლოტი 115:87 კლიპერსი**
შარლოტი: კოულმენი (17)
კლიპერსი: ტეილორი (22)

**ტორონტო 91:95 დენვერი**
ტორონტო: კარტერი (31)
დენვერი: მაკდაიესი (24)

**ფილადელფია 104:75 კლივლენდი**
ფილადელფია: აივერსონი (19)
კლივლენდი: კემპი (17 ქულა, 13 მოხსნა)

კერკეტი „ორლანდო“ დასავლელ გრანდს არ შეეპუა და ბოლო მეოთხედის მიწურულს 88:86 უგებდა სტუმარს, მაგრამ „ლეიკერსს“ მხსნელად შაკილ ონილი მოევლინა. ონილმა, ვისაც თავისი კარიერის პირველი ოთხი სეზონი სწორედ „ორლანდო მეჯიქში“ გაუტარებია, ბოლო წამებზე მეტოქის ფართან ბურთი ჩაჭრა და თავის ყოფილ გუნდს ჩაუტენა, რითაც მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. შაკმა ოვერტაიმშიც ივარგა და შვიდი ქულით დაეხმარა თავისიანებს.

19 თებერვალი

**მილუოკი 100:111 ვანკუვერი**
მილუოკი: ალენი (32), რობინსონი (21)
ვანკუვერი: დიკერსონი (26), აბდურ-რაჰიმი (24)

**ჩიკაგო 74:72 კლიპერსი**
ჩიკაგო: კარი (19)
კლიპერსი: ჰადსონი (22)

**იუტა 91:87 დეტროიტი**
იუტა: მელოუნი (33 ქულა, 13 მოხსნა)
დეტროიტი: ჰანტერი (24), სტეკჰაუზი (21)

**ნიუ იორკი 87:73 ინდიანა**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (19)
ინდიანა: მილერი (16)

20 თებერვალი

**ტორონტო 96:100 დალასი**
ტორონტო: კარტერი (24), დევისი (20)
დალასი: სებალოსი (23), ფინლი (23)

**შარლოტი 80:85 მაიამი**
შარლოტი: ჯონსი (18)
მაიამი: ჰარდევეი (23 ქულა, 12 პასი), მურნინგი (21), მაშბურნი (20)

**მინესოტა 89:91 ნიუ ჯერსი**
მინესოტა: გარნეტი (27 ქულა, 18 მოხსნა, 6 პასი)
ნიუ ჯერსი: მარბერი (39)

**საკრამენტო 103:108 პორტლენდი**
(ძირითადი დრო 96:96)
საკრამენტო: ვებერი (33 ქულა, 19 მოხსნა, 7 პასი), სტოიაკოვიჩი (25)
პორტლენდი: ვოლესი (24), პიპენი (21)

**ჰიუსტონი 111:113 სან ანტონიო**
(ძირითადი დრო 103:103)
ჰიუსტონი: ოლაჯუონი (21), ფრენსისი (19 ქულა, 12 პასი)
სან ანტონიო: დანკანი (25 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია 84:87 ლეიკერსი**
ფილადელფია: რეთლიფი (20 ქულა, 10 მოხსნა)
ლეიკერსი: ონილი (22 ქულა, 16 მოხსნა, 9 პასი)

**გოლდენ სტეიტი 112:103 ვაშინგტონი**
გოლდენ სტეიტი: კეფი (25 ქულა, 16 მოხსნა)
ვაშინგტონი: ვაითი (23 ქულა, 14 მოხსნა)

ნიუჯერსელმა სტივენ მარბერიმ პირველად ითამაშა მინეაპოლისის დარბაზ „ტარჯეტ სენთერში“ მას შემდეგ, რაც ამ გუნდში აღარაა და მას უსახურ „ნიუ ჯერსიში“ გაშვებისათვის 39 ქულით სამაგიერო გადაუხადა.

ირაკლი ფირაშვილი

# ვარდები, ფრანგთა დარდები

**საფრანგეთი 9:15 ინგლისი**

პარიზი, „სტად დე ფრანსი“, მსაჯი: დიკინსონი (ავსტრალია)

**საფრანგეთი** 3 ს — დურთი (46, 52, 73)

15 დურთი
14 ნტამაკი 13 ვანდიტი 12 ლომბარი 11 დომინისი
10 კასტენიედი 9 გალტიე
7 მანი 8 პელუ (კაპ.) 6 ბენაზი (ბეტსენი, 62)
5 ბრუზე 4 მატიუ (ლიევრემონი, 40)
3 ტურნერი (დე ვილიე, 73) 2 დალ მაზო (იბანესი, 73) 1 კალიფანო
— — — — — — — — — • — — — — — — — — —
1 ლეონარდი 2 რეგინინგი 3 ვიკერი
4 არჩერი 5 შოუ
6 ჰილი (კორი, 74) 8 დალალიო 7 ბეკი
10 უილკინსონი 9 დოუსონი (კაპ.)
11 კოჰენი 12 კეტი 13 ტინდელი 14 ჰილეი
15 პერი (ბოლშოუ, 62)

5 ს — უილკინსონი (13, 20, 31, 57, 66) **ინგლისი**

„ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს საუკეთესომ გაიმარჯვა. ჩვენს სუსტ თამაშს ტრავმებსა და მსაჯის შეცდომებს არ გადავაბრალებ. მეტოქემ აშკარად დაგვჯაბნა. ინგლისელები უფრო სწრაფად თამაშობდნენ, ვიდრე ჩვენ და იშვიათად ცდებოდნენ“ — თქვა საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხის შემდეგ, ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა.

საფრანგეთ — ინგლისის მატჩი, ექვსი ერის პირველობის მეორე ტურის და საერთოდ, მთელი ტურნირის ცენტრალური შეხვედრა იყო. მატჩმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა და რომ არა მსაჯის მიერ ტყუილად გაუქმებული ლელო, გამარჯვება იქნებ მასპინძლებს დარჩენოდათ. ინგლისმა ტრადიციულად ძლიერ შერკინებაზე ააგო თამაში, მაგრამ ბურთს ხელითაც ხშირად ათამაშებდა. ეს კი ნამდვილი მოულოდნელობა იყო — ინგლისელები ხომ მეტოქის დაჯარიმებებს ელიან და ისე აგროვებენ სამ-სამ ქულას. შაბათს კი სცადეს სტუმრებმა, ლაღი ბურთაობა გაეჩაღებინათ, მაგრამ ორიოდ მომენტის გარდა ფრანგების დაცვა ვერ გაარღვიეს და წარმატებას მაინც ტრადიციულ სტილში, საჯარიმოებით მიაღწიეს. მთელი მატჩის განმავლობაში „თეთრები“ უფრო ხშირად ფლობდნენ ბურთს, ვიდრე „ლურჯები“, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, ბურთი ფეხით გადაეტანათ მეტოქის ნახევარზე.

დაცვაში ორივე გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა. სწორედ ამის გამო იყო,რომ ლამაზი შეტევები იშვიათობა გახლდათ. ვერც ერთი იერიში ვერ დამთავრდა ლელოთი, გარდა ერთისა. კრისტოფ დომინისის გარღვევა ტომა ლომბარმა დააგვირგვინა, მაგრამ... არადა, ფრანგებმა ლელო ყველა წესის დაცვით გაიტანეს და ავსტრალიელმა მსაჯმა წინ პასი ნამდვილად გამოიგონა. უკეთესი იქნებოდა, არბიტრს, ის დაენახა, რომ დომინისის დასახმარებლად გამოქცეული რიშარ დურთი ბენ კოჰენმა მეტისმეტად სახიფათოდ შეაჩერა. თუმცა მსაჯმა სტიუარტ დიკინსონმა ამ შეცდომის გარდაც ბევრი რამ დაუშავა ფრანგებს და ანტიფარნგი მსაჯების სია კიდევ ერთი სახელით შეავსო.

არბიტრისგან ხელფეხგახსნილმა ინგლისელებმაც გაილაღეს და სახიფათო შებოჭვებს, ხელით წინ პასი და თამაშგარე მდგომარეობები დაუმატეს. ასეა თუ ისე, ინგლისმა უილკინსონის ხუთი ზუსტი საჯარიმო დარტყმით გაიმარჯვა და ახლა, ალბათ, დიდი სლემის შესრულებაზეც ფიქრობს, რაც სულ აღარაა შეუძლებელი საქმე.

„იმედი მაქვს, ეს მოგება მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება“ — თქვა „ვარდების“ დამრიგებელმა კლაივ ვუდვორდმა, მსაჯის შეცდომებზე კი კრინტიც არ დაუძრავს.

# ორიდან მეთი ლანდია

**ირლანდია 44:22 შოტლანდია**

დუბლინი, „ლენსდოუ როადი“, მსაჯი: დიუმე (საფრანგეთი)

**ირლანდია** 5 ლ — ოკელი (27), ჰორგენი (43), ოდრისკოლი (57), ჰამფრიზი (67), ვუდი (72); 5 გ — ოგარა (27, 43), ჰამფრიზი (57, 67, 72); 3 ს — ოგარა (28, 40), ჰამფრიზი (60)

15 დემპსი (ჰენდერსონი, 38)
14 ჰორგანი 13 ოდრისკოლი 12 მალინსი 11 ჰიკი
10 ოგარა (ჰამფრიზი, 51) 9 სტრინგერი
7 ფოლი 8 დოუსონი 6 ს. ისტერბი
5 ოკელი 4 გალვეი (დევიდსონი, 57)
3 ჰეიესი 2 ვუდი (კაპ.) 1 კლოჰესი
— — — — — — — — — • — — — — — — — — —
1 სმიტი 2 ბალოკი (რასელი, 69) 3 სტიუარტი (გრეჰემი, 66)
4 მიურეი (ვეირი, 52) 5 გრიმზი
6 მ. ლესლი 8 პაუნტნი 7 სიმპსონი
10 თაუნსენდი 9 რედპათი (კაპ.) (ნიკოლი, 66)
11 ლოგანი 12 შილი 13 მაიერი 14 ლონგსტაფი
15 მეტკელფი

3 ლ — ლოგანი (19), მეტკელფი (75), გრეჰემი (80); 2 გ — ლოგანი (19, 75); 1 ს — ლოგანი (3) **შოტლანდია**

ირლანდიამ კეიტ ვუდის კაპიტნობით პირველი გამარჯვება მოიპოვა. შაბათის თამაში „სამყურებისთვის“ სხვა მხრივაც იყო გამორჩეული. თორმეტი წელია მათ სკოტებისთვის არ ეჯობნათ ხუთი ერის პირველობაზე, თანაც ასეთი სხვაობით.

ორივე გუნდს სურდა მოგება, რათა პირველ ტურში განცდილი მარცხი დაევიწყებინა. ორივე გუნდის მწვრთნელს წყალი ჰქონდა შემდგარი. ირლანდიელთა დამრიგებელმა, ახალზელანდიელმა უორენ გეტლენდმა ისიც კი განაცხადა, თუ წავაგეთ თანამდებობას აუცილებლად დავტოვებო. უკეთესად საქმე არც შოტლანდიელ მაკგიჩენს ჰქონდა — მისმა გუნდმა მსოფლიოს თასზე საკმაოდ კარგად იასპარეზა, მაგრამ ახლა თავისსავე აჩრდილს ჰგავს.

თამაში სტუმრების უპირატესობით დაიწყო. ისინი ბურთს კარგად ათამაშებდნენ და სახიფათოდაც უტევდნენ. ირლანდიელები კი მეტად პასიურები იყვნენ და თითქოს ისეთივე ბედი ელოდათ, როგორც ინგლისთან. ანგარიში ლოგანმა გახსნა საჯარიმო დარტყმით და მანვე მე-19 წუთზე გარდასახული ლელოც მიითვალა — 0:10.

ამის მერე რა მოხდა, ძნელი გამოსაცნობია. შოტლანდიელები თითქოს მიღწეულით დაკმაყოფილდნენ და მეტად დუნედ განაგრძეს თამაში. ირლანდიელებში კი „უტეხმა სულმა“ გაიღვიძა და ისინი გააფთრებით ეკვეთნენ მოწინაამდეგეს. მასპინძლების შეტევები ერთმანეთზე უფრო სახიფათო ხდებოდა და ტაიმიც მათი გამარჯვებით დასრულდა — 13:10.

შესვენების შემდეგაც მატჩის ბატონ-პატრონნი „მწვანეები“ იყვნენ. მათ მართლაც ძლიერად წინამძღოლობდა კაპიტანი ვუდი. ირლანდიელებმა ოთხი ლელო გაიტანეს, და ყველა გარდასახეს — ოგარამ და მისმა შემცვლელმა ჰამფრიზმა, რომელმაც ამას ერთი საჯარიმოც დაამატა და 73-ე წუთისთვის ანგარიში 44:10 გახდა. ანუ დაახლოებით 45 წუთში შოტლანდიამ მეტოქეს 44 ქულა დაანება, თვითონ ერთიც ვერ მოიპოვა. მატჩის მიწურულს მეტკელფისა და გრეჰემის ლელოებს კი შეხვედრის ბედის შეცვლა აღარ შეეძლოთ.

გეტლენტი გადარჩა, მაკგიჩენისა ჯერჯერობით არაფერი ისმის. ისე ხის კოვზისთვის შოტლანდიაც აგრძელებს „ბრძოლას“.

**გაიოზ თალაქვაძე**



ირლანდიელთაგან მესამე ლელო ბრაიან ოდრისკოლმა გაიტანა

# დამრტყმელები გააშველეს

უელსელთა დამრტყმელ ნილ ჯენკინსს სულ ორი ქულა დააკლდა პირველ ტურში, ტალიელი დიეგო დომინგესის მიერ დამყარებულ რეკორდამდე. იტალიელთა დამრტყმელმა შოტლანდიასთან 29 ქულა მიითვალა, რაც ტურნირის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. თუმცა ჯენკინსის 27 ქულას მისმა თანაგუნდელებმა ოციც დაუმატეს და იტალია ღრუბლებიდან მიწაზე დაუშვეს. „მილენიუმზე“ 72 500 მაყურებელმა ნახა, რომ უელსი მეტოქეზე მთელი თავით მაღლა იდგა, თუმცა იტალია ისე სამარცხვინოდ არ დამარცხებულა, როგორც შარშან შემოდგომაზე მსოფლიოს თასზე.

მასპინძლებმა წარმატებას ძირითადად შერკინების ხარჯზე მიაღწიეს. ანგარიში ნილ ჯენკინსმა გახსნა მე-3 წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით. დომინგესის პასუხმაც არ დააგვიანა. არგენტინული წარმოშობის იტალიელმა არეკნით და საჯარიმოთი თავისიანები კიდეც დააწინაურა, მაგრამ აპენინელებმა ამის მეტი ვერაფერი შეძლეს. უპირატესობა ნელ-ნელა გადავიდა უელსელების ხელში. მათაც გვარიანად შეავიწროვეს და საკუთარ საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს მეტოქე. სტუმრებიც მხოლოდ წესების დარღვევით ახერხებდნენ მასპინძელთა შეტევების ჩაშლას, ჰოდა, ჯენკინსსაც მეტი რა უნდოდა? 29-ე წუთზე კი პირველი ლელოც გავიდა — თავი სკოტ ქვინელმა გამოიჩინა.

იტალია არ გატყდა და ბრძოლა გააგრძელა — 32-ე წუთზე ლელოს გატანაც შეეძლო, მაგრამ გუნდის კაპიტან ტრონკონს ცოტა დააკლდა მეტოქის სალელოე მოედნამდე, თუმცა დომინგესმა ანგარიშში სხვაობა სამი ქულით შეამცირა, მაგრამ შესვენებამდე შონ უილიამსისა და ნილ ჯენკინსის ძალისხმევით სტუმრებს მატჩის გადარჩენის ყველა იმედი გადაეწურათ — 30:9.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ჯენკინსმა ერთი საჯარიმოც შეაგდო. თუმცა იტალიას თამაშზე გული მაინც არ აცრუებია. „სკუადრა ატურა“ რამდენიმე წუთით მეტოქის ნახევარზეც დაბანაკდა და იოლად გასატანი საჯარიმოს უფლებაც მოიპოვა ძელებიდან დაახლოებით 15 მეტრში, მაგრამ სტუმრებს ლელო უნდოდათ. ამიტომაც ბურთი აუტში გადააგდეს, მაგრამ მერე შეტევისას თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მალე სიტუაცია შეიცვალა და უკვე უელსმა გადააგდო ბურთი აუტში. ბეიტმანმაც ივარგა და ლელო გაიტანა. ჯენკინსმა გარდასახვა მეტად რთული მდგომარეობიდან ზუსტად შეასრულა — 40:9.

იტალიას ლელო სწყუროდა და 55-ე წუთზე მიაღწია კიდეც საწადელს. ისევ სჯარიმო, ისევ აუტი, ამჯერად სტუმრებმა უკეთ შეუტიეს და ვისერმა თავისი პირველი სანაკრებო ლელო გაიტანა. ბოლო სიტყვა კი მაინც მასპინძლებისა იყო. ჰოვარტის ლელო ჯენკინსმა გარდასახა და რომ არ შეეცვალათ, ვინ იცის, ეგებ დომინგესის რეკორდიც მოეხსნა.

**უელსი 47:16 იტალია**

კარდიფი, „მილენიუმი“, მსაჯი: რემიჯი (შოტლანდია)

**უელსი** 4 ლ — ს.ქვინელი (28), ს.უილიამსი (39), ბეიტმენი (49),ჰოვარტი (68); 3 გ — ნ. ჯენკინსი (39, 49, 68); 7 ს — ნ. ჯენკინსი (3, 15, 19, 23, 26, 37, 42)

15 ჰოვარტი
14 ტომასი (ჯეიმსი, 72) 13 ტეილორი 12 ბეიტმენი 11 შ. უილიამსი
10 ნ. ჯენკინსი (ჯონსი,70) 9 ჰოული
7 სინკინსონი 8 ს. ქვინელი 6 ლუისი (ჩარვისი, 41)
5 ვიატი (გოუგი, 68) 4 კ. ქვინელი
3 იანგი (კაპ.) 2 გ. ჯენკინსი (ბ.უილიამსი, 68) 1 როჯერსი (ჯონი, 80)
— — — — — — — — — • — — — — — — — — —
1 კუტიტა 2 მოსკარდი (ორლანდი, 41) 3 პაოლეტი
4 ლანძი (პერსიკო, 65) 5 გრიტი
6 ჩეკინატო 8 ბერგამასკო 7 ვისერი
10 დომინგესი 9 ტრონკონი (კაპ.)
11 დალანი 12 რივარო (ფრანცეზიო, 53) 13 მარტინი 14 სტოიკა
15 პინი

1 ლ — ვისერი (55); 1 გ. და 2 ს — დომინგესი (11, 33); 1 ა — დომინგესი (8) **იტალია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 65:27 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 45:18 | 2 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 50:52 | 2 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 62:72 | 2 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 50:67 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 42:78 | 0 |

# ჩემპიონი დამტვრეული მუხლებით

REUTERS როტერდამიდან



სედრიკ პიოლინი

**როტერდამი. ჰოლანდია. ABN/AMRO-ს პირველობა**
**დარბაზი, ჰარდი.**
**საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — გრეგ რუზეცკი (7, ინგლისი) 6:7 (3:7), 6:4, 6:4; **სედრიკ პიოლინი** (8, საფრანგეთი) — ნიკოლას კიფერი (2, გერმანია) 2:6, 6:3, 7:5; **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:4, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (5, ინგლისი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:6 (7:3), 6:2.
**ნახევარფინალი:** **ჰენმანი** — კაფელნიკოვი 6:3, 4:6, 6:3; **პიოლინი** — გოლმარი 6:3, 6:4
**ფინალი:** **პიოლინი** — ჰენმანი 6:7 (3:7), 6:4, 7:6 (7:4).

სანამ როტერდამის ტურნირზე გასულ უქმეებზე მომხდარ მოვლენებზე გადავიდოდით, მინდა, ერთი საინტერესო (ცოტა საშინელიც) ამბავი მოგითხროთ სედრიკ პიოლინის ცხოვრებიდან.

რუმინული წარმოშობის ფრანგი ბავშვობიდან ოცნებობდა, ჩოგბურთის ვარსკვლავი გამხდარიყო. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, სედრიკს თანატოლებში ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ 11 წლისამ უმძიმესი მუხლის ტრავმა მიიღო.

ძვალტყავა ბიჭს ოპერაცია გაუკეთეს, თუმც ექიმმა გააფრთხილა, რომ პროფესიონალი სპორტსმენი ვერასოდეს გახდებოდა: ერთი მუხლი მეორეზე მტკიცე დარჩებოდა და მუდმივად შეუშლიდა ხელს.

ამერიკული ფილმებისგან განსხვავებით, გამოსავალი არსად ჩანდა, პიოლინის კარიერა დაწყებამდე სრულდებოდა, მაგრამ მიზანსწრაფულმა ბიჭმა შიშისმომგვრელი გადაწყვეტილება მიიღო — მეორე, ჯანმთრელი მუხლი მთელი ძალით კედელს ხეთქა, ისიც დაისახიჩრა და თვალებგაფართოებულ ქირურგს მორიგი ოპერაციის წინ განუცხადა, ახლა ორივე მუხლი ერთნაირია, ველარაფერი დამაბრკოლებსო.

უცნაურია, მაგრამ პიოლინი არსად, თვით მშობლიურ საფრანგეთშიც კი არ უყვართ. ჩოგბურთელს, რომელსაც ერთნაირად ეხერხება უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმები და ბადესთან ტექნიკური, დახვეწილი თამაში, ძალიან ცოტა გულშემატკივარი ჰყავს. ბევრი როდი დაიტრაბახებს დიდი სლემის ტურნირებზე მისებრი მიღწევებით — ორჯერ ფინალში, ორჯერაც ნახევარფინალში გასვლით, მაგრამ ფრანგი, როგორღაც ყოველთვის, ჩრდილში რჩება.

შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ გადამწყვეტ მატჩებში პიოლინს გამუდმებით ღალატობდა ნერვები (კარიერაში 14 ფინალიდან მხოლოდ 4 მოიგო), კორტზე კი, მატჩის დასაწყისში თუ დასასრულში, მუდმივად შეწუხებული, გადაღლილი გამომეტყველება აქვს, რაც მტკივანი მუხლებით აიხსნება.

ფინალში ტიმ ჰენმანთან შეხვედრაში 30 წლის ფრანგი უფრო საკუთარ თავს ებრძოდა, ვიდრე მეტოქეს. ნერვიულობისგან მოწოდების დროს ბურთს უხერხულად ისვრიდა ზევით და ისევ იჭერდა, ჩერდებოდა და ცდილობდა, ფილტვებისთვის საკმარისი ჰაერი პირით მაინც ჩაესუნთქა, ყურებამდე ატანილი მხრები კი ნორმალური მდგომარეობაში დაებრუნებინა.

პირველ სეტში პიოლინი 5:2-ით დაწინაურდა, მაგრამ უაზრო შეცდომებით ინგლისელს ანგარიშის გათანაბრების და წინ გასვლის საშუალებაც მისცა. ფრანგისდა საბედნიეროდ, კრიზისმა დიდხანს არ გასტანა, მან მეორე ხელის დასაწყისშივე აართვა მოწოდება ჰენმანს, თავისი კი მატჩის ბოლომდე აღარ დაუკარგავს.

საქმე გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკამდე მოვიდა, თუმც, ბევრისდა მოულოდნელად, პიოლინს არც აქ მოსვლია ნერვიული შეტევა: 4:4-ზე უზადო შემოვლებული გვერდითა ხაზს დაასვა, მერე კი საკუთარი თავის დასაწყნარებლად ხანგრძლივი პაუზებით ისარგებლა და ამას ორი აუღებელი მოწოდებაც მიაყოლა.

„ასეთი დიდი ტურნირი არასოდეს მომიგია და, ბუნებრივია, ბედნიერი ვარ — აღნიშნა გამარჯვებულმა, რომელსაც ჯილდოდ 139 300 დოლარი ერგო — ჩოგბურთი ჯერაც არ ამომსვლია ყელში და სანამ ჯანმრთელი ვარ, მისთვის თავის დანებების მიზეზსაც ვერ ვხედავ".

პიოლინის არ იყოს, გადამწყვეტ მატჩებში უკეთ გარჯა არც ტიმ ჰენმანს აწყენდა. 25 წლის ინგლისელი 1998-ში ბაზელის ტურნირზე გამარჯვების შემდეგ ზედიზედ მეხუთე ფინალში დამარცხდა: „რა თქმა უნდა, წაგებას ძალიან დიდი იმედგაცრუება მოჰყვება, მაგრამ ამ კვირაში უარყოფით მაინც დადებითი სჭარბობდა. ასეთი მატჩების ბედს თითო-ოროლა დარტყმა და მსაჯის გადაწყვეტილებები წყვეტს, ამჯერად მე ნაკლებად გამიმართლა".

სამაგიეროდ, ჰენმანს ნახევარფინალში გაუმართლა, ტურნირზე პირველად განთესილ თავისივე მეწყვილე ევგენი კაფელნიკოვთან. სოჭელმა, რომელმაც წინა დღით 26-ე დაბადების დღე გრეგ რუზეცკის დამარცხებით აღნიშნა, გადამწყვეტი ხელში 3:4-ზე ბრეიკ-პოინტი ზუსტი ბექჰენდით გადაარჩინა. ჟენიამ ძალიან გაიხარა, მაგრამ გვერდითა მსაჯს რუსის დარტყმული თვალში არ მოუვიდა და რატომღაც აუტად ჩათვალა.

ჰენმანს მოსაგებად საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაღა სჭირდებოდა და მანაც სწრაფად იძია შური შარშანდელ ფინალში წაგებისთვის.

**მემფისი. აშშ. KROGER ST. JUDE-ის პირველობა.**
**დარბაზი, ჰარდი.**
**საპრიზო 750 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** **ტომი ჰაასი** (2, გერმანია) — უეინ ფერერა (7, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 2:6, 6:4; **ბაირონ ბლექი** (13, ზიმბაბვე) — მაიკლ ჩანგი (5, აშშ) 7:5, 6:2; **მაგნუს ლარსონი** (16, შვედეთი) — რაინერ შუტლერი (9, გერმანია) 2:6, 7:6 (7:5), 6:3; **ანდრე სა** (ბრაზილია) — სარგის სარგსიანი (11, სომხეთი) 6:4, 6:4.
**ნახევარფინალი:** **ბლექი** — ჰაასი 7:6 (7:2), 7:6 (7:5); **ლარსონი** — სა 3:6, 7:6 (7:2), 6:4.
**ფინალი:** **ლარსონი** — ბლექი 6:2, 4:6, 6:3.

იმის გათვალისწინებით, რომ ერთხანს ვეტერანი შვედი მაგნუს ლარსონი სულაც არ აპირებდა მემფისში ასპარეზობას, ქალაქის ტიტულით ხელდამშვენებული დატოვება ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის.

„სან ხოსეში წინა კვირაში მუხლი ამტკივდა და მწვრთნელს ვუთხარი, შინ წავიდეთ-მეთქი. კიდევ კარგი, რომ არ დამიჯერა. აქ რაიმე წარმატების მიღწევას არ ველოდი, ალბათ, სწორედ ეს დამეხმარა ყველაზე მეტად" — აღნიშნა ლარსონმა, რომელსაც ტურნირი 1994 წლის შემდეგ არ მოეგო.

მემფისში შვედს გაუმართლა: პირველი წრიდან გათავისუფლებული იყო, მეორეში გამოუცდელ ტომაშ ჟიბს იოლად აჯობა, მეოთხედფინალის საგზური კი სულაც უბრძოლველად მოიპოვა, რაკიღა მთავარმა ფავორიტმა მარკ ფილიპუსისმა შეხვედრის წინ ტრავმა მიიღო.

ფინალში ზორბა ლარსონმა 16 ეისი მოაწოდა, ტანად გაცილებით პატარა ბაირონ ბლექი თავისი ჯანის წყალობით საკმაოდ იოლად დაჯაბნა და 120 ათასი დოლარითაც გამდიდრდა.

**ჰანოვერი. გერმანია. ფაბერის გრან პრი. დარბაზი, ხალიჩა.**
**საპრიზო 540 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** **სერენა უილიამსი** (1, აშშ) — პატი შნიდერი (8, შვეიცარია) 6:1, 6:4; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:2, 6:1; **ანა-გეილ სიდო** (საფრანგეთი) — კრისტი ბუგერტი (ჰოლანდია) 6:4, 6:2; **დენიზა ხლადკოვა** (ჩეხეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:3.
**ნახევარფინალი:** **უილიამსი** — მორესმო 6:2, 6:7 (4:7), 7:6 (7:3); **ხლადკოვა** — სიდო 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:4).
**ფინალი:** **უილიამსი** — ხლადკოვა 6:1, 6:1.

პარიზის ტურნირის ფინალში ნატალი ტოზიასთან მუხლის „ტრავმის" გამო დამარცხებული უმცროსი უილიამსი სამ დღეში „სასწაულებრივ" გამოჯანმრთელდა, ნახევარფინალში ამელი მორესმოსთან ორსაათნახევრიან ორთაბრძოლასაც გაუძლო და კარიერის მეექვსე ტიტულიც მოიგო.

„საკმაოდ კმაყოფილი ვარ ახალი სეზონის დასაწყისით. წლეულს უფრო მეტ ტურნირზე თამაშს და კლასიფიკაციის გაუმჯობესებას ვაპირებ" — განაცხადა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, რომელსაც მსახიობობასა და წაგების მიზეზების გამოგონებაში გაუმჯობესება აშკარად არ სჭირდება.

**ავთანდილ სვანიძე**



მაგნუს ლარსონი



# რეკორდები შავების ფეხებზე ჰკიდია…



უილსონ კიპკეტერი

**უილსონ კიპკეტერი** საკუთარი თავით კმაყოფილია. ორი კვირა არც იქნება, რაც შტუტგარტში 1000 მეტრის მკვირცხლად გარბენით ალჟირელი ნურედინ მორსელის რვაწლიანი რეკორდი დაამხო. გუშინწინ კიდევ თავისივე რეკორდს გამოუყვანა წირვა, როცა ბირმინგემის დარბაზში მას წამის მეოთხედზე მეტი ჩამოაჭრა. მთელი დისტანციის მანძილზე კიპკეტერი რეკორდის გრაფიკს უსწრებდა და ფინიში უკვე ოვაციების თანხლებით გადაკვეთა. იმით უფრო ბედნიერი ვარ, რეკორდი მაინდამაინც ბირმინგემში რომ დავამყარეო, უთხრა აქოშინებულმა კიპკეტერმა ჟურნალისტებს, რომლებიც უმალ შემოეხვივნენ. „მორსელიმაც სწორედ აქ დაამყარა თავისი რეკორდი" — განმარტა შემდეგ კიპკეტერმა — „როგორღაც სიმბოლურად გამოვიდა..."

ბირმინგემში კვირას კიდევ ერთი რეკორდიც დამყარდა. ორ მილზე რბენაში აშკარა ფავორიტი არ იყო, გამარჯვება ერთნაირად შეეძლოთ ეთიოპიელებს — მილიონ ვოლდესა და ჰაილუ მეკონენს, ამათზე არანაკლებ — კენიელ მოზეს კიპტანუის. ერთ-ნახევარი მილი რომ გაილია, ვოლდე დაწინაურდა, მაგრამ კიპტანუიც იქვე, სულ ახლოს მირბოდა და არც მეკონენი იყო მაინცდამაინც დასაკარგავში. ამ კრიტიკულ მომენტში სწორედ უკანასკნელმა გაიხსენა, რომ გამარჯვებულისთვის ტურნირის ორგანიზატორებს სულ ტკიცინა 15 000 ამერიკული დოლარი ჰქონდათ გადანახული, აენთო და ისარივით გავარდა წინ. ფინიშის ხაზზე გადაბიჯების შემდეგ ეთიოპიელს კიდევ ერთი სიხარული ელოდა — მას ამცნეს, რომ მსოფლიოს რეკორდისთვის 4 წამით გადაუბიჯებია და ამგვარად რეკორდსმენთა კოჰორტიდან გაუძევებია ბელგიელი ემილ პუტემანსი, რომლის მიღწევაც 27 წლის წინათ შევიდა მძლეოსნობის ისტორიაში.

ახლა კი იმაზეც ვთქვათ, ტრინიდადელ ატო ბოლდონს როგორ შეუყვარდა ბრინჯაო. გასულ კვირას ბოლდონი ესპანეთში დარბოდა და იქ 60-მეტრიან დისტანციაზე ბრიტანელ ჯეისონ გარდნერსა და კუბელ ფრედი მაიოლას ჩამორჩა. მაიოლამ ბოლდონი ბირმინგემშიც დაჩაგრა და მეორე ადგილიც წაართვა, სამაგიეროდ, ბოლდონის ამერიკელ მეგობარ მორის გრინს ვერაფერი მოუხერხა. ამერიკელი თავიდანვე ისე აგრესიულად გაიქცა, ცხადი შეიქნა, მისი დამწევი არავინ იყო. გრინს მსოფლიოს რეკორდისკენ ხელის გაწვდენის ფარული ოცნებაც აწვალებდა, მაგრამ ამდენი ველარ შეძლო, ისევე როგორც რუმინელმა გაბრიელა საბომ 3000 მეტრიან გარბენში. საბო თავიდან ძლიერ მონდომებით გაქნდა და რეკორდის გრაფიკიც გზის ნახევრამდე დაიცვა, შემდეგ კი მოეშვა და უზენაესი მაჩვენებელი წამ-ნახევრით გადაფარა. „ასე მარტო ვერაფერს მივაღწევ" — ხელი ჩაიქნია რუმინელმა — „ერთი ვინმე მაინც იყოს, ვინც ცოტა ახლოს მომყვება და მე დავძლევ რეკორდს. ვგრძნობ, შემიძლია ამის გაკეთება."

და ბოლოს, ორიოდ სიტყვით თარჯრბენში კუბელთა გამარჯვებებზეც ვთქვათ. ბრიტანეთს არ ჩასულა ამერიკელი ვეტერანი ტონი დიისი და ანიერ გარსიამ და ჯოელ ფერნანდესმა სხვებს თავისუფლად გადაუარეს, ოღონდ გარსიამ თვისტომს ორჯერ აჯობა — მან 50 და 60 მეტრიანი გარბენები მოიგო, ხოლო ფერნანდესი ორჯერვე ვერცხლს დასჯერდა.

# ბუბკა მესაზღვრეებს გადაახტა, ჯეფ ჰარტვიგს — მერა

**32 წლის** ამერიკელმა არკანზასის შტატიდან, ჯეფ ჰარტვიგმა დონეცკში კინაღამ იტირა, ისე ჰქონდა გული აჩუყებული. და რატომ უნდა ეტირა ვაჟკაც ამერიკელს, რომელმაც კვირას, უკრაინაში მეჭოკეთა წარმომადგენლობითი ტურნირი მოიგო? პასუხი ნაწილობრივ კითხვაშივე მოსჩანს, გამარჯვებას ბევრი აუტირებია, მაგრამ როცა ამ თემაზე ვლაპარაკობთ, გამარჯვების ფასიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. დონეცკამდე ჰარტვიგი კიევში ჩაფრინდა და უკრაინელმა მესაზღვრეებმა სწორედ დაატუსაღეს, შენს გემოზე უვიზოდ რომ ჩამოხვედი, აქ რომელიმე ბანანის ქვეყანა ხომ არ გგონიაო. გამწარებულ ამერიკელს სერგეი ბუბკამ და მისმა ძმამ, ვასილიმ უშველეს, სასწრაფოდ კიევისკენ გაცვივდნენ და მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის ნებას რომელი ერთი მესაზღვრე დაუდგებოდა წინ. აღფრთოვანებულმა ჰარტვიგმა კვირას ყველაზე კარგად იფრინა და 5 მეტრისა და 80 სანტიმეტრის დაძლევით პირველობასაც გამოჰკრა ხელი. მერე ერთხანს ამერიკის რეკორდსაც უტრიალა, მაგრამ 5,96 მეტრზე გადებული თამასა სამჯერვე რომ ჩამოაგდო, დიდად არც ეს ამბავი შეუცხადებია, ბუბკას ქება-დიდებით იყო დაკავებული: „ძალიან ვღელავ და უფრო იმიტომ, რომ ამ დონის ოსტატის გვერდით ვზივარ. გამარჯვებას რომ თავი დავანებოთ, ეს უკვე დიდი საჩუქარია ჩემთვის."



ჯეფ ჰარტვიგი

კარგად იხტუნავა ვეტერანმა რუსმა როდიონ გატაულინმა, რომელმაც 5,70 მეტრი დაძლია და ბუბკას გაუსწრო. გენიალური უკრაინელი მეჭოკე ისევ ვერაა ჩვეულ ფორმაში. იგი ამჯერად მეოთხე იყო, თუმცა ჟურნალისტებს მეტად იმედიანად ესაუბრა. მალე ნახავს ხალხი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და ხტომაც შემიძლიაო, თქვა უკვე ოცდათექვსმეტს მიტანებულმა ბუბკამ. თავისი ტალანტის კიდევ ერთხელ სრულად გამომზეურებას იგი სიდნეის ოლიმპიადაზე აპირებს.

**დავით გულუა**

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

25 თებერვალს თბილისის ჟურნალისტთა სახლში ქართული ძიუდოს პრობლემებზე პრესკონფერენციას გამართავს ღვაწლმოსილი მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი.

*დასაწყისი 14 საათზე*

REUTERS არქივი



რენატა გოეტჩლი

# სლოვენიური სლალომის დღე

ევროპის მთიან კურორტებზე სადაცაა დასრულდება სამთომოთხილამურეთა სეზონი. დათბა და სპორტსმენებიც ჩქარობენ, ემანდ თოვლი არ შემოგვადნეს, მსოფლიოს თასის პატრონი დროზე გავარკვიოთო. ჯერ ქალებზე ვთქვათ. ისინი შვედეთში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და შაბათს, კურორტ არეს ფერდობებზე ჯერ სწრაფდაშვებაში იასპარეზეს, კვირას კი სლალომშიც მოსინჯეს ძალა. პირველი ბევრად უფრო საინტერესო იყო, რადგან საერთო ჩათვლის არც ერთი ლიდერი სლალომს არ სწყალობს და ხშირად გვერდსაც უვლიან მას, როგორც ეს მეორეადგილოსანმა ავსტრიელმა მიქაელა დორფმაისტერმა გააკეთა. სამაგიეროდ, მიქაელა დანარჩენ რჩეულებთან ერთად სწრაფდაშვებას მოეკიდა მუყაითად, თუმცა მარტო სიბეჯითემ ვერ უშველა და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. ეს კი ცუდი შედეგია იმის კვალობაზე, რომ მისი თვისტომი რენატა გოეტჩლი პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო გოეტჩლმა, სულ ახლახან და სულ ცოტათი საერთო ჩათვლაშიც გაუსწრო დორფმაისტერს და სწრაფდაშვების შემდეგ უკვე 56 ქულით დაწინაურდა. „მე უფრო სწრაფდამშვები ვარ“ — გაუმხილა თავისი საიდუმლო უკვე ათას ქულაზე მეტის პატრონმა რენატამ ჟურნალისტებს. „მიულოცეთ რენატას“ — თქვა დორფმაისტერმა, როცა მასმედიამ ახლა მისკენ მიმართა მიკროფონები, დიქტოფონები და ფოტოაპარატები — „მან დღეს დიდებულად ისრიალა, მაგრამ სეზონი ჯერ არ დამთავრებულა და მეც აქა ვარ...“ სლალომის დღეს გოეტჩლს შეეძლო, დორფმაისტერის არყოფნით ესარგებლა და კიდევ ორიოდე ქულა შეემატებინა თავისი ყულაბისთვის, მაგრამ ცუდად ისრიალა და ხელცარიელი დარჩა. სლალომი სლოვენიელმა სპელა პრეტნარმა მოიგო. მისმა თვისტომმა იმარჯვა მამაკაცთა სლალომშიც, რომელიც შვეიცარიულ ადელბოდენში გაიმართა. თუ გავითვალისწინებთ მათიას ვროვნიკის პრინციპს, „იჩქარე ნელა“, კვირას მიღწეული მისი გამარჯვება სავსებით ლოგიკური ჩანს. ვროვნიკი სლალომისტთა საერთო ჩათვლაში სეზონის დაწყებისას 50-ე იყო, ახლა მეორეა, წლეულს არც ერთ ეტაპზე ათეული არ დაუტოვებია, ერთხელ მესამე ადგილი დაიკავა, ერთხელაც — მეორე, გუშინ კი პირველობასაც გაუსინჯა გემო. 27 წლის სლოვენიელი მხიარული სახით წარუდგა ჟურნალისტებს. „დავბერდი ამ საქმისთვის, მაგრამ თხილამურებზე სრიალი ახლა უფრო მიყვარს“ — განაცხადა გულაჩვილებულმა ვროვნიკმა — „ყველაფერი ისე კარგად მიდის...“ ვერაფერს იტყვი, კარგია ამგვარ ხასიათზე ყოფნა.

**დავით გულუა**

**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა

კოტბუსი 0:1 ობერჰაუზენი

**იტალია**

სერია B

ნაპოლი 1:0 ატალანტა

# ლაპარაკის სალეღრელი ჩაეშალათ

## ორი ოქრო ნორვეგიელებს ეცოტავებათ

უკან დარჩა სათხილამურო სეზონის კარგა დიდი ნაწილი, ფინიშს უახლოვდება მსოფლიოს თასის გათამაშება ზამთრის ყველა სახეობაში და ცხადია, რომ შაბათს დაწყებულ ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს ყველა სპორტსმენი თავისი საუკეთესო ფორმით ვერ მიაღწევდა. ესეც არ იყოს, ბოლო წლების რეფორმებმა (მსოფლიოს თასის შეჯიბრებებზე პრემიების ზრდამ, კომერციული ტურნირების მატებამ) თვითონ სპორტსმენთა დამოკიდებულებაც შეცვალა კონკრეტული შეჯიბრების მიმართ. ჯერჯერობით მხოლოდ ოლიმპიურ მედლებს არ დაუკარგავთ თავისი მიმზიდველობა და ფასი თორემ ძალზე ბევრ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონატები მართლაც აღარ არის ის, რასაც წლების მანძილზე ვიყავით შეჩვეულნი. ეს, ცოტა არ იყოს, გრძელი შესავალი მხოლოდ იმიტომ დამჭირდა, რომ მეთქვა — ნუ გაგიკვირდებათ თუ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ნაკლებცნობილი ან სულაც უცნობი სპორტსმენი მოიპოვებს. ჭეშმარიტად ძლიერებმა სეზონის დაწყებიდან თასისთვის ბრძოლებს იმდენი ენერგია შეალიეს, რომ გასაკვირი სულაც არ იქნება, ახლახან დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაფერი თუ არა ზოგი რამ მაინც დათმონ.

ჰოლმეკონკოლენში — პატარა სათხილამურო ტრასებითა და არა ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებით განთქმული ეს ნორვეგიული დაბა, შვეციის საზღვართანაა. ამით თუ აიხსნება ნორვეგიელთა და შვედ ქომაგთა განსაკუთრებული სიმრავლე. ნორვეგიელები განსაკუთრებით ბევრს ელიან ამ ჩემპიონატისგან. ხუმრობა ხომ არ არის, მათ რიგებში ორი ოლიმპიური ჩემპიონი (ბიორნდალენი და ჰანევოლდი) და ამომავალი ვარსკვლავი ანდრესენია.

პირველ დღეს ასეც მოხდა. ნორვეგიელ ქომაგთა იმედები კიდევ უფრო განამტკიცეს ფროდე ანდრესენმა და სკიელბრეიდმა. ერთმა კაცების სპრინტი მოიგო (10 კმ, 2 სასროლეთი), მეორემ ქალებისა (7,5 კმ, 2 სასროლეთი). მეორე დღეს მედლები გამოდევნებით რბოლაში თამაშდებოდა. ასე რომ, ნორვეგიელებს უკვე ჰქონდათ ფორა. საქმე ის არის, რომ შეჯიბრების ეს სახე, წინა დღეს — სპრინტში ნაჩვენებ შედეგებსაც ითავსებს — ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინა დღეს გამარჯვებული სპორტსმენი იმდენი წამით ადრე გავა სტარტიდან, რამდენი წამიც მეორე ადგილზე გასულს მოუგო, მესამე — იმდენი წამის შემდეგ, რამდენიც მეორე ადგილზე გასულთან წააგო და ასე შემდეგ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, იმ დღეს ნორვეგიელი ქომაგები ცხვირჩამოშვებულნი დაბრუნდნენ შინ — ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამი ასეთი ლომის პატრონი გუნდი სულაც უმედლოდ დარჩებოდა. 12,5 კმ დისტანციის ფინიშზე (გზადაგზა ოთხი სასროლეთი — 2 მათგანი წოლელა) პირველი გერმანელი ფრენკ ლუკი მივიდა, მეორე რუსი როსტოვცევი, მესამე ფრანგი პუარე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები ხვდათ ოლე ბიორნდალენს, ჰანევოლდსა და ანდრესენს, რაც მსოფლიო ჩემპიონატში ფაქტობრივად არაფერს ნიშნავს.

ვერ შეინარჩუნა პირველი პოზიცია ნორვეგიელმა სკიელბრეიდმაც. სანაცვლოდ ქალების ამ 10კმ-იან დისტანციაზე ყველაფერი კანონზომიერად დასრულდა. გაიმარჯვა მსოფლიოს თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა და წლევანდელმა ლიდერმა შვედმა მაგდალენა ფორსბერგმა. მეორე იყო არანაკლებ ცნობილი გერმანელი უში დიზლი, მესამე — ფრანგი ბევერელი.

და კიდევ ერთი. საკმაოდ ხმაურიანი პრესის შემდეგ, რაც მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპებზე რუსების გამარჯვებებს მოჰყვა, ნორვეგიაში მათ მიერ ნაჩვენები შედეგები იმდენად უფერული გამოდგა, რომ ამ ქვეყნის ჟურნალისტებმა, როგორც ასეთ შემთხვევებში იციან ხოლმე, წყალი ჩაიგუბეს პირში. ისე, ადამიანურად, ვერც გაამტყუნებ. თუმცაღა ჩემპიონატი ახლახან დაიწყო და სავსებით შესაძლებელია, როგორც ნორვეგიელებს, ისე რუსებსაც ლაპარაკის სალერღელის აშლის მეტი საბაბი მიეცეთ.

**ირაკლი ბერიაშვილი**



ფრენკ ლუკი



მაგდალენა ფორსბერგი

## ჰოკეი

18 თებერვალი

**ანაჰაიმი — სან ხოსე 4:4**

0:0 3:1 1:3 0:0

1:0 კალენი 26'08 (12); 2:0 სელიანე 26'38 (24); 2:1 ნოლანი 35'33 (36); 3:1 ტვერდოვსკი 37'18 (4)9 3:2 ჰენანი 42'28 (1); 3:3 დამფუსი 45'16 (12); 4:3 სალეი 52'16 (3); 4:4 სუნდსტრიომი 57'38 (8)

**კალგარი — ედმონტონი 4:2**

2:0 2:1 0:1

1:0 სავარი 4'42 (12); 2:0 შანცი 19'50 (9); 3:0 იგინლა 32'05 (17); 4:0 იგინლა 38'34 (18); 4:1 ნინიმაა 39'38 (7); 4:2 გერინი 50'44 (19)

**ჩიკაგო — ვაშინგტონი 4:5**

1:1 0:2 3:2

0:1 საიმონი 0'20 (19); 1:1 გილმორი 16'32 (20); 1:2 ზედნიკი 31'16 (15); 1:3 ბონდრა 32'36 (16); 2:3 ჟამნოვი 43'51 (11); 3:3 ამონტე 46'01 (28); 4:3 ნიულანდერი 48'01 (15); 4:4 ბონდრა 49'58 (17); 4:5 იეიკი 55'48 (5)

**დალასი — ფინიქსი 3:4**

1:2 1:1 1:1

0:1 დოუნი 8'26 (18); 1:1 სიდორი 9'33 (7); 1:2 დრეიკი 17'29 (9); 2:2 ლიაშენკო 26'47 (5); 2:3 დოუნი 34'47 (19); 3:3 მოდანო 49'52 (25); 3:4 დრეიკი 57'05 (10)

**ნეშვილი — სენტ ლუისი 1:2**

1:0 0:2 0:0

1:0 რონინგი 17'04 (20); 1:1 რიზონერი 30'53 (5); 1:2 ჰეხტი 36'32 (7)

**რეინჯერსი — კოლორადო 2:4**

1:1 1:2 0:1

1:0 გრეივსი 7'28 (18); 1:1 პოდინი 10'00 (7); 1:2 პოდინი 30'33 (8); 2:2 კ. ჰეჩერი 33'34 (4); 2:3 რეიდი 37'58 (8); 2:4 პოდინი 57'23 (9)

**დეტროიტი — ლოს ანჯელესი 2:3**

1:0 1:2 0:1

1:0 აიზერმანი 14'39 (25); 1:1 ლაპიერიერი 24'01 (6); 1:2 გ. მიურეი 24'55 (20); 2:2 კოზლოვი 29'25 (14); 2:3 რობიტაილი 41'44 (30)

19 თებერვალი

**მონრეალი — ტორონტო 2:1**

0:1 2:0 0:0

0:1 ტომასი 18'12 (15); 1:1 პეტროვი 21'35 (1); 2:1 ქოლტოკი 37'14 (19)

**ფილადელფია — ვაშინგტონი 4:2**

2:0 0:1 2:1

1:0 ლინდროსი 0'55 (24); 2:0 რეკი 2'16 (22); 2:1 სოუთსი 31'39 (11); 3:1 ტერიენი 44'28 (3); 3:2 საიმონი 57'07 (20); 4:2 რეკი 59'29 (23)

**ფლორიდა — პიტსბურგი 1:2**

1:1 0:0 0:1

1:0 შპაჩეკი 3'41 (9); 1:1 მოროზოვი 8'11 (9); 1:2 სტრაკა 40'29 (15)

**კაროლინა — ტამპა 4:2**

1:0 3:1 0:1

1:0 ბატალია 7'16 (11); 2:0 ბრინდამორი 20'16 (7); 3:0 ჰილი 27'46 (8); 3:1 ლეკავალიე 32'45 (18); 4:1 ჟელინა 34'10 (11); 4:2 მოდინი 56'16 (17)

**ედმონტონი — კალგარი 2:4**

0:2 1:0 1:0 0:1

0:1 სავარი 9'05 (13); 0:2 ლინდსეი 11'02 (7); 1:2 რ. სმიტი 39'44 (21); 2:2 მარჩანტი 59'00 (14); 2:3 სავარი 60'35 (14)

**ნიუ ჯერსი — აილენდერსი 2:4**

1:3 1:0 0:1

0:1 სკაჩარდი 4'04 (6); 1:1 მედენი 5'13 (10); 1:2 კონოლი 8'06 (10); 1:3 ჯ. გრინი 19'58 (10); 2:3 არნოტი 38'13 (17); 2:4 სკაჩარდი 52'04 (7)

**ოტავა — ვანკუვერი 1:3**

0:1 1:1 0:1

0:1 ნესლუნდი 9'57 (17); 0:2 ბრაშირი 25'46 (11); 1:2 ჟიუნო 39'33 (9); 1:3 ჰენდრიკსონი 59'12 (3)

**ბუფალო — ლოს ანჯელესი 4:1**

1:1 1:0 2:1

0:1 პალფი 2'58 (23); 1:1 პეკა 17'05 (12); 2:1 ციპლაკოვი 30'08 (7); 3:1 პეკა 47'32 (13); 4:1 შატანი 59'29 (28)

20 თებერვალი

**ჩიკაგო — დეტროიტი 6:4**

1:1 1:2 4:1

1:0 დაზე 11'16 (22); 1:1 აიზერმანი 17'04 (26); 1:2 შენაჰანი 22'45 (32); 2:2 ამონტე 24'07 (29); 2:3 ლაპოინტი 26'22 (12); 3:3 მარჰა 42'05 (5); 4:3 ჟამნოვი 47'08 (12); 5:3 ჟამნოვი 53'19 (13); 5:4 კოზლოვი 53'56 (15); 6:4 ნიულანდერი 56'54 (16)

**კოლორადო — დალასი 1:2**

0:1 0:0 1:1

0:1 ტორნტონი 10'50 (3); 0:2 მოდანო 51'44 (26); 1:2 ტანგეი 59'49 (13)

**რეინჯერსი — ფილადელფია 2:3**

0:1 2:0 0:2

0:1 ლანგკოუ 11'30 (13); 1:1 დვორჟაკი 27'59 (14); 2:1 იორკი 34'56 (19); 2:2 რენბერგი 44'07 (8); 2:3 ლეკლერი 47'41 (30)

**ფინიქსი — ატლანტა 4:2**

1:1 2:1 1:0

0:1 ფერარო 10'47 (15); 1:1 ლუმე 16'18 (8); 2:1 ნეკარი 24'50 (2); 2:2 ტრამბლე 28'52 (7); 3:2 სალივანი 30'11 (4); 4:2 რენიკი 42'47 (27)

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 59 | 36 | 7 | 4 | 16 | 188:141 | 83 |
| ფლორიდა | 58 | 33 | 4 | 3 | 21 | 179:140 | 73 |
| ტორონტო | 59 | 30 | 7 | 3 | 22 | 173:159 | 70 |
| ფილადელფია | 58 | 30 | 11 | 1 | 17 | 170:135 | 72 |
| ვაშინგტონი | 58 | 29 | 9 | 1 | 20 | 158:143 | 68 |
| ოტავა | 58 | 28 | 9 | 2 | 21 | 162:147 | 67 |
| პიტსბურგი | 58 | 26 | 6 | 5 | 26 | 177:166 | 63 |
| რეინჯერსი | 61 | 24 | 9 | 3 | 28 | 168:170 | 60 |
| ბუფალო | 60 | 24 | 9 | 2 | 27 | 147:149 | 59 |
| კაროლინა | 60 | 25 | 8 | 0 | 27 | 153:166 | 58 |
| მონრეალი | 58 | 23 | 7 | 3 | 28 | 136:138 | 56 |
| ბოსტონი | 58 | 18 | 16 | 4 | 24 | 149:167 | 56 |
| აილენდერსი | 59 | 17 | 7 | 1 | 35 | 137:191 | 42 |
| ტამპა | 57 | 12 | 7 | 6 | 38 | 146:219 | 37 |
| ატლანტა | 58 | 11 | 6 | 4 | 41 | 124:214 | 32 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 58 | 37 | 6 | 10 | 15 | 179:119 | 80 |
| დალასი | 59 | 33 | 5 | 2 | 21 | 143:126 | 73 |
| კოლორადო | 61 | 28 | 9 | 1 | 24 | 167:158 | 66 |
| დეტროიტი | 60 | 35 | 6 | 1 | 19 | 203:160 | 77 |
| ფინიქსი | 58 | 32 | 6 | 1 | 20 | 174:153 | 71 |
| ლოს ანჯელესი | 58 | 28 | 7 | 3 | 23 | 183:167 | 66 |
| სან ხოსე | 62 | 25 | 8 | 7 | 29 | 169:158 | 65 |
| ედმონტონი | 60 | 21 | 15 | 8 | 24 | 163:157 | 65 |
| კალგარი | 60 | 25 | 6 | 5 | 29 | 152:180 | 61 |
| ანაჰაიმი | 60 | 25 | 9 | 1 | 26 | 161:166 | 60 |
| ვანკუვერი | 58 | 19 | 10 | 6 | 29 | 148:171 | 54 |
| ნეშვილი | 54 | 20 | 6 | 5 | 33 | 150:180 | 51 |
| ჩიკაგო | 58 | 20 | 7 | 2 | 31 | 169:188 | 49 |


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli